

178  
1963/2




# სახვითა სამართალი

საქართველოს კვანტალური კომიტეტის გამომცემლობა

1963

2



ბიბლიოთეკის საბ. საბ. სახელმწიფო  
ფუნდოვანი  
ბიბლიოთეკა \*  
0 1 6 0



# საბჭოთა სამართალი

## № 2

მარტი-აპრილი

1968 წელი

გამოცემის X წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კოლეგიის ორგანო  
**ო რ ტ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი**

### უ ი ნ ა ა რ ს ი

ნომრიდან ნომრამდე	3
ბ. საბაჯიშვილი — საბჭოები და მათი როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში	5
ა. ფალიაშვილი — საგამომძიებლო-სასამართლო და საექსპერტო ორგანოების მოღვაწეობა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა აღსაყვეთად	13

### სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ბ. იოსავა, ვ. ღვდარიანი — სასამართლო პრაქტიკა მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან მოსპობის ფაქტებზე დადგენაზე	23
ბ. ღოლიძე — სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელოვანი პირობა	30
ა. კორიძე — წინასწარი გამოძიების ხარისხის გაუმჯობესებისათვის	34
ო. ჩაიკოვსკაია — ადვოკატები	39

### ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ლ. მანუჩიძე, მ. ვახალიშვილი — გულისხმიერი და გულმართალი ადამიანი	42
ლ. ისაბაძე — უფროსი ნოტარიუსი — თ. მოღებაძე	45

### დანაშაულის კვალდაკვალ

ო. მგელაძე — მკვლელობა ხმელნიცის მოედანზე	47
---	----

### გამოჩენილი ქართველი იურისტები

თ. შერათელი — ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც პოლიტიკური დამცველი	50
ბ. ბაყაშვილი — ლ. ანდრონიკაშვილის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა	59

ბ. სიღაგონიძე — პირველი იურიდიული ჟურნალი საქართველოში	69
ინფორმაცია	73
არბიტრაჟის პრაქტიკა	84
შმაჩის ორგანოების პრაქტიკა	87
სასამართლო პრაქტიკა	90
ნოტარიატის პრაქტიკა	
წაიკითხეთ მომავალ ნომერში	
ნეკროლოგი	

9145





## СО Д Е Р Ж А Н И Е

- И. САРАДЖИШВИЛИ — Советы и их роль в деле укрепления социалистической законности 5
- А. ПАЛИАШВИЛИ — Деятельность следственно-судебных органов и органов экспертизы по предотвращению обстоятельств, содействующих преступлению 13

### ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

- Г. ИОСАВА, Г. ДЕВДАРИАНИ — Судебная практика по установлению фактов относительно возникновения, изменения или прекращения личных и имущественных прав граждан 23
- В. ДОЛИДЗЕ — Важнейшее условие укрепления социалистической законности 30
- Д. КОРИДЗЕ — Улучшить качество предварительного следствия 34
- О. ЧАЙКОВСКАЯ — Адвокаты 39

### К МЕЖДУНАРОДНОМУ ДНЮ ЖЕНЩИН

- Л. ЧАНТУРИЯ, М. ВАКЕЛИШВИЛИ — Чуткий народный судья 42
- Л. ИСАКАДЗЕ — Старший нотариус — Т. Модебадзе 45

### ПО СЛЕДАМ ПРЕСТУПЛЕНИЯ

- О. МГЕЛАДЗЕ — Убийство на площади Хмельницкого 47

### ВЫДАЮЩИЕСЯ ГРУЗИНСКИЕ ЮРИСТЫ

- Т. ЦЕРЕТЕЛИ — Луарсаб Андроникашвили как политический защитник 50
- В. МАКАШВИЛИ — Научно-педагогическая деятельность Л. Андроникашвили 59
- В. СИДАМОНИДЗЕ — Первый юридический журнал в Грузии 69
- Информация 73
- Арбитражная практика 84
- Практика органов Загса 87
- Судебная практика 90
- Нотариальная практика 95
- Некрологи 96

### სარედაქციო კოლეგია

- ა. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
- ბ. ბერძენიშვილი, ი. დლიძე, გ. ინჯიერგელი,
- მ. ლომიძე, ვ. შაისურაძე, თ. წერეთელი,
- ს. ჯორბენაძე.

შეკ. № 1208  
 ტირაჟი 5.500  
 უფ 04949

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 23/VI-63 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VI-63 წ. ანაწილების ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии Тбилиси, ул. Ленина № 14.



□ 3 მარტი. ჩვენი ძველი ცხრა მოკავშირე რესპუბლიკაში — რსფსრ, უკრაინაში, ბელორუსიაში, უზბეკეთში, ყაზახეთში, მოლდავიაში, ლატვიაში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში გაიმართა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების აღმრიგებელი საბჭოების არჩევნები.

□ 4-5 მარტი. გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი (ინფორმაცია აღნიშნულ პლენუმზე იხილეთ ჩვენი ურნალის 73-ე გვერდზე).

□ 8 მარტი. ქალთა საერთაშორისო დღე დიდი აღმავლობითა და მადლი პოლიტიკური აქტივობით აღინიშნა ჩვენს ქვეყანაში. საზეიმო სხდომები, რომლებიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს გაიმართა მოსკოვში, ლენინგრადში, თბილისში, ბაქოში, ფრუნზეში, ტალინსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში (მასალები ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იხილეთ ჩვენი ურნალის 42-46 გვერდებზე).

□ 8 მარტი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები შეხვდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს. შეხვედრაში სიტყვით გამოვიდა სკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

□ 17 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები. ამომრჩეველთა საერთო რიცხვი საქართველოს რესპუბლიკაში შეადგენდა 2.644.321 კაცს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.644.247 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა 2.643.113 ამომრჩეველმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა. დეპუტატების კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა 1.085 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 0,04 პროცენტმა. „საქარ-

თველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 79-მუხლის საფუძველზე გაუქმებულად ცნობილია 49 ბიულეტენი.

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ამომრჩეველმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, რაც მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის დიად ერთიანობას.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებია. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულია ქალები — 31,2 პროცენტი, უპარტიოები — 28,8 პროცენტი, მუშები და კოლმეურნეები, რომლებიც უშუალოდ წარმოებაში არიან დასაქმებული — 47 პროცენტი.

□ 10 აპრილი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის, სასამართლოს ორგანოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის მონაწილეობით.

მოხსენება — დანაშაუდებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებთან წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა რესპუბლიკაში გააკეთა საქართველოს სსრ პროკურატურის პ. ა. ბარკინიშვილმა. თათბირის მუშაკთაში მონაწილეობდნენ: სკკ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ო. ლ. გოცირიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები მ. მ. ბელაშვილი, გ. მ. ჩოგოვიანი, რ. ი. ფრუიძე, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიული სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ა. ტუშიკოვი, სკკ ცენტრალური კომიტეტის აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ა. ჯ. ბელოვი (ვრცელი ანგარიში ამ თათბირის შესახებ გამოქვეყნდება ურნალის მორიგ ნომერში).

□ მნიშვნელოვანი მოვლენები □ ცნობები □ პრობლემა

□ მნიშვნელოვანი მოვლენები □ ცნობები □ პრობლემა



□ იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის, კომუნისტურ მშენებლობაში მისი როლისა და მნიშვნელობის ზრდის საკითხებს მიეძღვნა ამიერკავკასიის რესპუბლიკების იდეოლოგიურ მუშაკთა თათბირი, რომელიც გაიხსნა 19 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

შესავალი სიტყვით თათბირი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარემ გ. ნ. ბოჩკარიოვმა. მოხსენება „პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური კომისიის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მინისტრმა ა. ვ. რომანოვმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს წევრები ვ. ი. ახუნდოვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ო. დ. გოცირიძე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე, ი. ნ. ზარობიანი — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. თათბირში მონაწილეობდნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ ორგანოების განყოფილების ამიერკავკასიის რესპუბლიკების სექტორის გამგე ვ. პ. შიშანსკი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუჭავა, ა. ტ. სტრუჩენკო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრიაძე, ო. ე. ჩერქეზია.

□ 22 აპრილი. საბჭოთა კავშირის მურომელაბა ჯიჟით აღნიშნეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაული — მუშათა კლასისა და მურომელი ზღეწობის გენიალური ბელადის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი

სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 93 წლისთავი.

□ 24 აპრილი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა განიხილა რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა ამოცანები სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულება ზუგდიდის, გორის, ზესტაფონისა და სიღნაღის საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

□ 26 აპრილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ. სესიის დღის წესრიგი იყო:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის არჩევა.
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების არჩევა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცება.
3. საყოველთაო საგაღებულო რეაქციონი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობა საქართველოს სს რესპუბლიკაში.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის არჩევა.
6. საქართველოს სსრ მთავრობის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შექმნა.

□ 27 აპრილი. საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ამხანაზი ფიდელო კასტრო რუსი. იგი ჩვენს ძველნაწი ჩამოვიდა მებოზროვის ვიზიტით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით.

ამხანაზ ფიდელო კასტროსთან ერთად ჩამოვიდნენ მისი თანხლები პირნი.

მონიშნა  
 ცნობები  
 მოვლენები  
 მნიშვნელოვანი

მონიშნა  
 ცნობები  
 მოვლენები  
 მნიშვნელოვანი

## საბჭოები და მათი როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში

ი. სარაჯიანი

სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე კომუნისტური პარტია თანმიმდევრულად სრულყოფდა საბჭოების საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, აბამდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში მშრომელთა ფართო მასებს, ზრუნავდა საბჭოების როლის ამაღლებისათვის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სკკპ XX და XXII ისტორიული ყრილობების გადაწყვეტილებებს, რომლებმაც უდიდესი ყურადღება მიაქციეს სოციალისტური დემოკრატიისა და საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარებას. პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პარტიის ახალ პროგრამაში ნათქვამია, რომ „კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში გაიზრდება საბჭოების როლი, რომლებიც ხალხის ყოვლისმომცველი ორგანიზაცია, მისი ერთიანობის განსახიერება არიან. საბჭოები, რომლებთანაც ერთმანეთთან შეხამებულია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ნიშნები, ზულ უფრო მეტად გამოდიან რეაგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობაშიც უარყოფით და უშუალოდ მონაწილეობენ მასები“.

მშრომელთა დებუტატების საბჭოები, კერძოდ თბილისის საქალაქო და რაიონული საბჭოები მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, სოციალისტური კანონიერების პრინციპებისა და მოქალაქეთა კანონიერი უფლებების დაცვისათვის. სსრ კავშირის კონსტიტუციით საბჭოები პირველ რიგში არიან პასუხისმგებელნი განუხრელად გაატარონ შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სოციალისტური სახელმწიფოს ყველა კანონები.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები უკანასკნელ წლებში უფრო მეტად და ღრმად მუშაობენ სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. ადგილობრივი საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტების სწდომებზე, სისტემატურად იხილება სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის განუხრელად დაცვის საკითხები. მის შემოწმებასა და მომზადებაში გამოყენებული არიან დებუტატები, ადმინისტრაციული ორგანოების — მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიის წევრები, ქუჩის კომიტეტები, საწარმოო-დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების ამხანაგური სასამართლოების წევრები.

მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოები მრავალ ღონისძიებას ახორციელებენ რათა ამაღლდეს საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების მუშაობა, ჩააბეს მის საქმიანობაში მშრომელთა მასები.

სულ უფრო ფართოდ ვითარდება სახელმწიფო მმართველობაში მშრომელთა მონაწილეობის ისეთი ფორმები, როგორცაა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიები, სახალხო რაზმეულები, ამხანაგური სასამართლოები, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირები და მრავალი სხვ.

პარტიული ორგანიზაციების მუდმივი ხელმძღვანელობითა და დახმარებით, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით, საბჭოებმა დიდი მუშაობა ჩატარეს მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების, ქალაქისა და რაიონული საბჭოების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიების, ქუჩის კომიტეტების, პენსიონერთა საბჭოების შესაქმნელად; შესამჩნევად გაუმჯობესდა ადმინისტრაციული კომისიების მუშაობა. სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში კარგი ღონისძიებაა ქ. თბილისის პარტიულ კომიტეტებთან სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიების შექმნა.

ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამით, იზიდავენ რა თავის საქმიანობაში მოსახლეობის უფართოეს ფენებს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულმა საბჭოებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ქ. თბილისში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საზოგადოებრივი წესრიგი, უფრო მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში საბჭოთა სახელმწიფოს კანონები, შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის სხვადასხვა დანაშაულებრივ გამოვლინებათა რიცხვი.

თუ სკკპ XX ყრილობამდე ეს საკითხები ნაკლებად იყო საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების განხილვის საგანი, ხოლო მუდმივი კომისიების ხუცხაში აღნიშნულიც კი არ იყო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, ქუჩის კომიტეტები და არ მოქმედებდნენ ამხანაგური სასამართლოები, ამჟამად ყველა ეს ფორმები იქცნენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მძლავრ დასაყრდენად საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

იმ ამოცანების განხორციელებაში, რაც ამ დარგში დგას ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების წინაშე, დიდი როლი ითამაშა პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმებმა, რომლებიც გაიმართა 1958 და 1960 წლებში; მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე მიეცათ მოქმედების გაშლილი პროგრამა. თბილისის კომიტეტის დადგენილებების შესაბამისად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების, მისი კომისიების საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში.

საკითხი „საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობისა და მისი განმტკიცების ღონისძიებების შესახებ“ სპეციალური განხილვის საგანი გახდა მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქალაქო სესიებზე 1959 წლის 16 სექტემბერს და 1963 წლის 26 აპრილს.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის, რომლის განხორციელებისათვის ყველა საწარმოში, დაწესებულებაში, უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში ჩატარდა მშრომელთა კრებები მართლწესრიგისათვის ბრძოლაში მთელი საზოგადოების ჩაბმის მიზნით. მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თავისი საქმიანობა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივმა კომისიამ. კომისიის წევრები — დეპუტატები სისტემატურად ეცნობიან საქმის მდგომარეობას ქალაქის რაიონებში, მორიგეობენ სანახაობით დაწესებულებებში, ქუჩებში, პარკებში, ბაღებში, განაზოგადებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს შესაბამისი კომისიების მუშაობის გამოცდილებასა და სახალხო რაზმეულების საქმიანობას, სწავლობენ ქალაქის მილიციის ორგანოების მუშაობას. კომისიის წევრები თათბირებზე, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად, სახავენ ღონისძიებებს შემჩნეული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სესიის გადაწყვეტილებამ დიდი როლი შეასრულა რაიონული საბჭოს აღმასკომების საქმიანობაზეც. ისინი ახლა უფრო ხშირად იხილავენ საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქალაქის აღმასკომმა მაგალითად, მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება „ქ. თბილისში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“, დაამტკიცა „დებულება ქ. თბილისის ქუჩის კომიტეტების შესახებ“, განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების“ ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ელემენტებთან საზოგადოებრივი ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა“, დასახა მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები ამ დარგში ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალაქის მილიციის სამმართველოს საქმიანობაც. სამმართველოსა და მისი ორგანოების ხელმძღვანელობა გაძლიერებულია ახალი კადრებით. გაიზარდა მილიციის ორგანოების ოპერატიული და პროფილაქტიკური მუშაობის დონე. საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების შედეგად გაუმჯობესდა ქალაქის მილიციის სამმართველოს საგამომძიებლო მუშაობა.

ქალაქის მილიციის სამმართველომ სახალხო რაზმეულების აქტიური მონაწილეობით გააძლიერა სასამსახურო-ოპერატიული და პროფილაქტიკური მუშაობა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა და დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ, გააუმჯობესა მოკვლევის ორგანოების საქმიანობა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის სიმძიმე ქ. თბილისში აწვეს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის რაიონულ რგოლს. საქართველოს სსრ კონსტიტუციით ქ. თბილისის რაიონული საბჭოებისათვის მინიჭებულმა უფლებებმა, რესპუბლიკისა და ქალაქის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებულმა ღონისძიებებმა, ქალაქის რაიონული საბჭოების საქმიანობის გაუმჯობესებამ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში უკვე მოიტანეს თავიანთი დადებითი შედეგები.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხები ამ უკანასკნელ დროს რეგულარულად იხილება რაიონული საბჭოს სესიებზე, რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე. ასე მაგალითად, 1961 წლის 28 ივნისს მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის რაიონული საბ-



ქოს მერვე მოწვევის სესიამ განიხილა საკითხი „რაიონში სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 1961 წლის 31 მაისს ოქტომბრის რაისაბჭოს სესიამ განიხილა საკითხი „რაიონში სოციალისტური საკუთრების განმტკიცებისა და საბჭოთა ვაჭრობის წესების დაცვის ღონისძიებების შესახებ“, ხოლო 1961 წლის 15 ივლისს — „რაიონში სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“.

ლენინის რაისაბჭოს სესიამ 1959 წლის 4 სექტემბერს განიხილა საკითხი „ლენინის რაიონში თვითნებური და უპროექტო მშენებლობის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“, ხოლო 1960 წლის 28 ნოემბერს — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების „ანტისაზოგადოებრივ და პარაზიტულ ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა“.

მშრომელთა დეპუტატების პირველი მაისის რაისაბჭოს სესიამ განიხილა ორი საკითხი: „რაიონის მილიციის განყოფილების მუშაობის შესახებ“ და „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის ანგარიში“. რაისაბჭოს სესიამ განიხილა აგრეთვე საკითხი „რაიონში სოციალისტური კანონიერების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების „ანტისაზოგადოებრივი და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა“.

მშრომელთა დეპუტატების კიროვის რაიონული საბჭოს აღმასკომმა 1960 წლის 27 დეკემბრის სესიაზე განიხილა საკითხი „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების „ანტისაზოგადოებრივი და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ შესრულების მიმდინარეობა“.

საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებს გარდა ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის სესიებზე სისტემატურად იხილება მილიციის რაიონული განყოფილებების, სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების, ქუჩის კომიტეტებისა და სხვათა საქმიანობის საკითხები.

მაგალითად ავიღოთ კიროვის რაიონის აღმასკომზე განხილული საკითხები. 1961 წლის 19 იანვარს აღმასკომმა განიხილა საკითხი „რაიონის ბაზრებში საზოგადოებრივი წესრიგისა და ვაჭრობის წესრიგის დაცვის შესახებ“, 21 ივნისს — „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში სახალხო რაზმეულების მუშაობის შესახებ“, ხოლო 1961 წლის 16 აგვისტოს — „№ 40-41 სახლმმართველობაში შემავალ სახლებში საპასპორტო რეჟიმის დაცვის ღონისძიებების შესახებ“.

ლენინის რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები: „მილიციის რწმუნებული ამხ. კობესაშვილის უბანზე თვითნებური მშენებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“, „მილიციის რწმუნებულის ამხ. ხიდაშელის უბანზე საპასპორტო რეჟიმის დაცვის ღონისძიებების შესახებ“, აგრეთვე „აღმასკომის ადმინისტრაციული კომისიის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ანალოგიური საკითხები განხილულია მშრომელთა დეპუტატების სხვა რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზეც. მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება ხელს უწყობს ქალაქ-

ში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას. აუცილებელია აღინიშნოს აგრეთვე, რომ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს ყველა აღმასკომმა დაწესებულებებში, საწარმოებსა და მოსახლეობას შორის დიდი მუშაობა ვასწიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების „ანტისაზოგადოებრივი და პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ ხალხისათვის გასაცნობად.

საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მილიციის რაიგანყოფილებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის წარდგენით რაიონულ აღმასკომების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქ. თბილისიდან რამდენიმე ათეული კაცის გასახლების შესახებ.

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების ყველა რაიონულ საბჭოსთან შექმნილია და წარმატებით მუშაობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისია და ადმინისტრაციული კომისია. ადმინისტრაციული კომისიის კარგი მუშაობის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაისაბჭოს ადმინისტრაციული კომისიების საქმიანობა, რომლის თავმჯდომარეა მილიციის რაიგანყოფილების უფროსი ამხ. გ. მურცხვალაძე. ორი წლის მანძილზე კომისიამ განიხილა 262 საკითხი, აქედან 237 შეეხებოდა თბილისის საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებების დარღვევებს. კომისიის გადაწყვეტილებით გაფრთხილებულ იქნა 23 მოქალაქე, დაჯარიმდა 245, ერთს მიესაჯა შრომა-გასწორებითი მუშაობა ერთი თვით.

ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის მიერ დამტკიცებული „ქ. თბილისის ქუჩის კომიტეტების დებულების“ შესაბამისად ქ. თბილისში შექმნილია და წარმატებით მუშაობს 463 ქუჩისა და სახლის კომიტეტი, რომელთა საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობს 3054 მოქალაქე. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ლენინის რაიონის ქუჩის კომიტეტები. ამ რაიონში ამჟამად მოქმედებს 197 ქუჩის კომიტეტი, რომელთა შემადგენლობაში ღია კენჭისყრით არსებულია 1379 კაცი, ძირითადად დიასახლისები, პენსიონერი ქალები, ადვოკატები. მათი თავმჯდომარეები დამტკიცებული არიან აღმასკომის სხდომებზე. ქუჩის კომიტეტების არჩევისას მოწვეულ სხდომებს ესწრებოდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ქუჩის კომიტეტების უმეტესობა დიდ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივი წესრიგისა და საპასპორტო რეჟიმის დაცვისათვის, ქუჩის კეთილმოწყობისა და ვამწვანებისათვის და ა. შ. რაისაბჭოს აღმასკომები სისტემატურად უწევენ ინსტრუქტაჟს ქუჩის კომიტეტების თავმჯდომარეებს, აცნობენ მათ ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს. ქუჩის კომიტეტებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება ქუჩების კეთილმოწყობისათვის, სანიმუშო საზოგადოებრივი და სანიტარული მდგომარეობისათვის.

26 კომისრის რაიონში მოქმედებს 130 ქუჩის კომიტეტი, რომელიც აერთიანებს 600 ადამიანს. მათთვის ტარდება სემინარები. კარგად მუშაობენ ქუჩის კომიტეტები აგრეთვე ოქტომბრის, პირველი მაისის, ორჯონიკიძისა და სხვ. რაიონებში.

დიდ მუშაობას ეწევა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის 474 ამხანაგური სასამართლო, რომელშიც გაერთიანებულია 3.224 კაცი, 300-მდე ნებაყოფლობითი რაზმეული, რომლის შემადგენლობაშია 17000 კაცი.

პირველი მაისის რაიონის № 7 სახლმმართველობის მცხოვრებთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს აქ არჩეული ამხანაგური სასამართლო. ამხა-

ნავური სასამართლოს წევრებმა 18 სხვადასხვა საქმე განიხილეს. ამას წინათ სასამართლომ განიხილა მოქ. პ. ბარხუდაროვის საქმე, რომელიც შეურაცხყოფას აყენებდა მეზობლებს, წერდა მათზე ცილისმწამებლურ წერილებს. სასამართლომ გააკიცხა ბარხუდაროვის საქციელი. მან შეიგნო თავისი შეცდომა; ამჟამად იგი ერთ-ერთი სამაგალითო მეზობელია.

წარმატებით მუშაობს 134 ამხანაგური სასამართლო 26 კომისრის სახელობის რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში. ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში დადებითი როლი ითამაშა „ამხანაგური სასამართლოების დებულება“, რომელმაც გააფართოვა მათი ზემოქმედების სფერო.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილმა „დამნაშავეთა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ“. ქალაქის ყველა რაიონში შექმნილია და წარმატებით მუშაობენ რაზმეულების რაიონული შტატები. რაზმეულის წევრებმა დააკავეს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი მრავალი პირი, რომელთა მიმართ მიღებულ იქნა აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები. მასალები ზოგიერთ მათგანზე გადაეგზავნა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს; აგრეთვე დაწესებულებების ხელმძღვანელებს; ზოგიერთ პირებზე მასალები გადაეგზავნა ადმინისტრაციულ ორგანოებს ამ პირების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

საკმარისია ითქვას, რომ მიმდინარე წლის 9 თვეში ქალაქის რაზმეულების მიერ დაკავებული და მილიციის განყოფილებაში მიყვანილი იქნა საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი 402 პირი, 28 — წვრილმანი ხულიგნობისათვის, 16 — ქუჩაში ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის გამო, 5 მათხოვრობისათვის, 5 საპასპორტო რეჟიმის დარღვევისათვის, 9 უმეტეაღსაყურო ბავშვი, საერთოდ 539 კაცი, ე. ი. სამუშაოდ ყოველ 24 რაზმეულზე მოდის ერთი დანაშაულებრივი ქმედობის აცილება.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის რაზმეულის წევრები მონასე-ლიძე და მანჯგალაძე არასდროს არ ტოვებენ უყურადღებოდ წესრიგის დამრღვევ პირებს, აძლევენ მათ შენიშვნას, აფრთხილებენ, ხოლო თუ ეს აუცილებლობითაა გამოწვეული დამრღვევნი მიჰყავთ რაიონულ შტაბში ან მილიციის განყოფილებაში.

კარგად მუშაობენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა სახალხო რაზმეულები.

სახალხო რაზმეულების რაიონული შტაბები, პარტიული და საბჭოთა ორგანოები სისტემატურად აწყობენ რაზმეულის წევრებთან ინსტრუქციულ თათბირებს, არჩევენ რაზმეულის წევრთა შემადგენლობაში უფრო მამაცებს და ინიციატივიან რაზმელებს, წახალისების მიზნით აჯილდოებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გატარებულია მთელი რიგი ღონისძიებები, მიმართული ქალაქის მილიციის ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. განახლებულია კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის და 26 კომისრის სახელობის რაიონული განყოფილებების ხელმძღვანელობა. მილიციაში ხელ-

ღღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულია მთელი რიგი ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკები.

მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით კი მასივების ახალმშენებლობებში დამნაშავეობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევებთან ეფექტური ბრძოლისათვის ორჯონიკიძის და 26 კომისრის სახელობის რაიონების მილიციის განყოფილების შემადგენლობაში, ვაკის, საბურთალოსა და III მასივის ტერიტორიაზე შექმნილია მილიციის განყოფილებები. მსგავსი ღონისძიებები უახლოეს ხანში განხორციელდება ლენინისა და პირველი მაისის რაიონებში. ყველაფერმა ამან გამოაცოცხლა ქალაქის მილიციის ორგანოების საქმიანობა, უფრო ეფექტური გახადა მათი ბრძოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის.

ქალაქის მთელ რიგ რაიონებში გაიმართა საბჭოების, მილიციის, სასამართლოს, პროკურატურისა და სახალხო რაზმეულის მუშაკთა თათბირები, სადაც ინსტრუქციული მოხსენებებით გამოვიდნენ რესპუბლიკის პროკურორი, მისი მოადგილეები, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრი, რესპუბლიკური და ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსები.

დიდი მნიშვნელობა აქვს იურიდიული ცოდნის პროპაგანდას. 26 კომისრის სახელობის რაიონში უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური საკუთრების გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარებულია 300-მდე ლექცია-მოხსენება.

ყველა რაიონში სისტემატურად გამოდის სატირული გაზეთები, რომლებშიც გამათრახებულია ანტისაზოგადოებრივი მოქმედებები, პარაზიტული ცხოვრების მოყვარული პირები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები, რასაკვირველია, მთლიანად არ ამოსწურავს იმ ღონისძიებების მთელ კომპლექსს, რომელსაც ატარებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში. მაგრამ ისინი ნათლად ასახავენ უკვე მოპოვებულ მიღწევებს ამ მიმართებით.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს, ქ. თბილისის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი მუშაობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის მიმდინარეობს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობით. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია წარმართავს მთელ ამ მუშაობას. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის, სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხები არაერთხელ იხილებოდა საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროებზე. ამ საქმეში პარტიულ ორგანიზაციების დახმარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს გასულ წელს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით შექმნილ სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიებს, რომლებიც არსებობენ პარტიულ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან:

მათ შემადგენლობაში შედიან თადარიგში მყოფი გენერლები და ოფიცრები, ძველი ბოლშევიკები, პერსონალური პენსიონერები.

პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამაში ნათქვამია, რომ „დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას... პარტია აყენებს ამოცანად უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების ზუსტი დაცვა...“

მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა, ჩვენი პარტიის ამ მნიშვნელოვანი მითითების შესრულებისათვის უფრო ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის, უნდა ჩააბან ამ საქმეში ფართო საზოგადოებრიობა. დაეყრდნონ საბჭოების მუდმივ კომისიებს, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სახალხო რაზმეულებს, ამხანაგურ სასამართლოებს, ქუჩის კომიტეტებს, გააფართოონ მშრომელთა მონაწილეობის ფორმები მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის.

# საგამომძიებლო-სასამართლო და საექსპერტო ორგანოების პროფილაქტიკური მოღვაწეობა დანაშაულის თავიდან აცილების, მისი ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისა და აღკვეთის დარგში წარმოადგენს ამ ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. თუ წინათ ამ საკითხს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, ამჟამად დანაშაულის თავიდან აცილება საპროგრამო ამოცანაა. სკკპ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „პარტია აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილი იქნეს სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“.

ა. ფალიაშვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საგამომძიებლო, სასამართლო და საექსპერტო ორგანოების პროფილაქტიკური მოღვაწეობა დანაშაულის თავიდან აცილების, მისი ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დადგენისა და აღკვეთის დარგში წარმოადგენს ამ ორგანოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას. თუ წინათ ამ საკითხს არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, ამჟამად დანაშაულის თავიდან აცილება საპროგრამო ამოცანაა. სკკპ პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „პარტია აყენებს ამოცანას უზრუნველყოფილი იქნეს სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვა, აღმოფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმომშობი ყველა მიზეზი“.

დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესწავლა და მისი აღმოფხვრა ძალზე დიდი პრობლემაა. ამ საკითხის შესწავლა ეკუთვნის მეცნიერებებს რამდენიმე დარგს: ეკონომიკას, ფსიქოლოგიას, მედიცინას, პედაგოგიკას, იურისპრუდენციას. თვით იურიდიული მეცნიერება აღნიშნულ პრობლემას შეისწავლის სისხლის სამართლის, პროცესის, კრიმინალისტიკისა და შრომა-გასწორებითი სამართლის ასპექტში. აღნიშნული პრობლემის შესწავლის ინტერესი იმდენად დიდია, რომ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი სისხლის სამართლის მეცნიერების ცალკე დარგის „საბჭოთა კრიმინალოგიის“ შექმნის შესახებ<sup>1</sup>, კრიმინალისტიკის კურსში დანაშაულის პროფილაქტიკის საკითხების შესწავლისათვის ცალკე განყოფილების შექმნა<sup>2</sup>, პროფილაქტიკური ღონისძიებების ასახვა საბრალდებო დასკვნაში, განაჩენში<sup>3</sup> და სხვა.

მოკავშირე რესპუბლიკების მოქმედი კანონმდებლობა სერიოზულ ყურადღებას უთმობს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების პროფილაქტიკურ მოღვაწეობას. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს დანაშაულის თავიდან აცილებას და

<sup>1</sup> А. А. Герцензон, Советская юридическая наука и задача предотвращения преступлений, статья в журнале „Советское государство и право“ № 1, 1962 г. стр. 50; егo же, Вопросы науки уголовного права в свете решений XXII съезда КПСС, статья в журнале „Социалистическая законность“, № 3, 1962 год, стр. 35.

<sup>2</sup> А. И. Винберг, Вопросы развития криминалистики, статья в журнале „Социалистическая законность“ № 1, 1962 год, стр. 22; В. П. Колмаков, Некоторые вопросы криминалистической профилактики преступлений, статья в журнале „Советское государство и право“ № 12, 1961 г. стр. 106 ит. д.

<sup>3</sup> См. например А. Б. Сахаров, XXII съезд КПСС и задача ликвидации преступности в СССР, статья в журнале „Советская юстиция“ № 6 1962 год, стр. 8; Вопросы методики изучения и предупреждения преступлений, 1962 год, стр. 22—23 (под ред. А. А. Герцензона) и др.

აღმოფხვრას. ეს საერთო ამოცანა თავის კონკრეტულობას პოულობს კოდექსის სხვა ნორმებში.

ასე მაგალითად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლში აღნიშნულია, რომ მომკვლევე პირი, გამოძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებული არიან გამოარკვიონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და მიიღონ ზომები მათ ასაცილებლად. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება ჩაითვალოს სრულად და ყოველმხრივად განხილული, თუ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა არ გამოავლინეს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები და არ განახორციელეს სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებები.

აღნიშნულ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო. მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1960 წლის 17 სექტემბრის № 5 დადგენილებაში აღნიშნულია, რომ დანაშაულთან წარმატებით ბრძოლის დარგში ძირითად პირობას წარმოადგენს დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებების, მიზეზების ღრმად შესწავლა და საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში პრაქტიკული წინადადების დროულად შეტანა<sup>1</sup>.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ პაშკოვას საქმეზე 1962 წლის 20 იანვრის განჩინებით გააუქმა სასამართლოს განაჩენი იმ მოტივით, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიება მოცემულ საქმეზე ჩატარებული იქნა ცალმხრივად და არასრულად. კერძოდ, არ იყო დადგენილი ყველა პირობები, რომელმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას<sup>2</sup>.

ამრიგად, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების დადგენა და სათანადო პროფილაქტიკური ზომების განხორციელება მომკვლევე პირის, გამოძიებლის, პროკურორის და მოსამართლის მართო სამსახურებრივი ვალდებულება კი არ არის, არამედ შედის მათ პროცესუალურ მოვალეობაშიც.

საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებმა იმით კი არ უნდა დაამთავრონ თავიანთი პროფილაქტიკური მოღვაწეობა, რომ დაადგინონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებები, არამედ მიიღონ პრაქტიკული ზომებიც: შევიდნენ წარდგინებით (კერძო განჩინებით) დაწესებულებებში, საწარმოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში; თვალყური ადევნონ მათი პროფილაქტიკური ღონისძიებების პრაქტიკაში გატარებას. წარდგინებისა და კერძო განჩინების შედგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს პროცესუალური საბუთების კონკრეტულობას და მათ დროულ გაგზავნას.

ახორციელებს რა ზედამხედველობას მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მიმართ, პროკურორმა ისე უნდა წარმართოს თავისი მუშაობა, რომ ყოველთვის საქმის კურსში იყოს და თვალყური ადევნოს მომკვლევე პირის ან გამოძიებლის პროფილაქტიკურ მოღვაწეობას. შემოსული საქმის განხილვისას სხვა საკითხებთან ერთად პროკურორი მოვალეა შეამოწმოს: გამორკვეულია თუ არა გარემოებანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას და მიღებულია თუ არა ღონისძიებანი მათი აღკვეთისათვის (საქართ-

<sup>1</sup> Сборник действующих постановлений Пленума Верховного суда СССР 1958—1960 г.г., 1961 г., стр. 18.

<sup>2</sup> Бюллетень Верховного суда СССР № 2, 1962 год, стр. 32.

ველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლი) ადმდე შემთხვევაში პროკურორი ვალდებულია დაუბრუნოს საქმე მოკვლევის ორგანოს ან გამომძიებელს თავისი წერილობითი მითითებით დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებათა დასადგენად და ამ მხრივ სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიების მისაღებად.

მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების პროფილაქტიკური მოღვაწეობის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ ორგანოების საზოგადოებრიობასთან მჭიდრო კავშირს. სწორედ ამისათვის კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გამომძიებელმა ფართოდ გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი მიზეზების და პირობების გამოსავლენად და ასაცილებლად (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლი).

მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დიდ ყურადღებას უთმობს აგრეთვე სასამართლო ორგანოების პროფილაქტიკურ მოღვაწეობას. ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმის მომზადების დროს სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა დაადგინოს: გამოვლინებულია თუ არა გამოძიების ჩატარების დროს დანაშაულის ჩადენის ყველა ხელშემწყობი პირობები, ხომ არ არის საჭირო ამ მიზნით სასამართლოს სხდომაზე გამოძახებული იქნენ მოწმეები, ექსპერტები, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან სხვა პირები.

თუ კი სისხლის სამართლის საქმის განმწესრიგებელ სხდომაზე განხილვის დროს სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ საქმეზე გამოძიების ჩატარების დროს არ იყო გამოვლინებული დანაშაულის ჩადენის ყველა გარემოება, რომლებმაც გაადვილა ან ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას, ანდა არ იქნა დასახული კონკრეტული პროფილაქტიკური ღონისძიებები, სასამართლოს შეუძლია სცნოს მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ჩატარება არსებითად არასრულად და დაუბრუნოს მათ საქმე დამატებით გამოძიებისათვის. ასეთი გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა მიიღოს იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არასრულობის შევსება არ შეიძლება სამსჯავროს სხდომაზე (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 232-ე მუხლი). ანალოგიური მოტივები შეიძლება საფუძვლად დაედოს სისხლის სამართლის საქმის გადაცემას დამატებითი გამოძიებისათვის სასამართლოს სამსჯავრო სხდომიდან (მუხლი 259), ანდა განაჩენის შეცვლას ან გაუქმებას საქმის მეორე ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს (მუხლები 352, 353).

სასამართლოს უფლება — დააბრუნოს სისხლის სამართლის საქმე დამატებითი გამოძიებისათვის იმ მოტივით, რომ საქმის გამოძიების დროს არ იყო გამოვლინებული დანაშაულის ჩადენის ყველა ხელშემწყობი გარემოება — არ უნდა იქნეს ვაგებული გამარტივებულად. ამ უფლებით სასამართლო ორგანოებმა უნდა ისარგებლონ მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის სასამართლოში განხილვის დროს შეუძლებელია შევსებული იქნეს ზემოაღნიშნული არასრულობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გააჩნია რეალური საშუალებები პროცესის მონაწილეების ან სხვა პირების დაკითხვის გზით დაადგინოს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებანი. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე არ უნდა დაუბრუნდეს საგამომძიებლო ორგანოებს.

განაჩენის დადგენასთან ერთად სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს კერძო განჩინება, რომლითაც მიაქცევს დაწესებულების, საწარმოს ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის ყურადღებას იმ მიზეზებსა და პირობებზე, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას და საჭიროებენ სათანადო ზომების მიღებას (მუხლი 321-ე). კანონი არ ავალდებულებს სასამართლოს ყოველთვის სამსჯავრო სხდომაზე გამოაქვეყნოს კერძო განჩინება, მაგრამ მიზანშეწონილად უნდა იქნეს ცნობილი სასამართლოს ყველა იმ კერძო განჩინების გამოქვეყნება, რომელშიაც დასახულია პროფილაქტიკური ღონისძიებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, — როგორც სწორედ აღნიშნავს ვ. ზლატკოვიჩი, — სასამართლოს სხდომაზე დამსწრე მოქალაქეებს შეეძენებათ შთაბეჭდილება, თითქოს სასამართლომ რეაგირება არ მოახდინა სამსჯავრო სხდომაზე დადგენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებებზე და არ დასახა ამ მხრივ პროფილაქტიკური ღონისძიებანი<sup>1</sup>.

თუ პირველი ინსტანციის სასამართლო, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ გამოიტანს კერძო განჩინებას დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოების აღსაკვეთად, ეს მდგომარეობა გამოსწორებული უნდა იქნეს ზემდგომ სასამართლოში საქმის განხილვის დროს. მეორე ინსტანციის სასამართლოებს არ შეუძლიათ განზე გადაგნენ ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისას.

ასე მაგალითად, რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ თავის 1962 წლის 23 მაისის დადგენილებით გააუქმა ამავე სასამართლოს განჩინება ნ-ის საქმეზე და აღნიშნა, რომ „საკასაციო ინსტანციის სასამართლოები ვალდებულნი არიან რეაგირება მოახდინონ ყველა იმ მიზეზებზე და გარემოებებზე, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას“<sup>2</sup>.

თუ მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს შესაძლებელია გამოიტანილი იქნას დასაბუთებული კერძო განჩინება დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით, სასამართლოს განაჩენის გაუქმება ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი. მაგალითად, რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ განიხილა რაკ-ს და ბ-ს სისხლის სამართლის საქმე, სასამართლოს განაჩენი დატოვა ძალაში და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 355-ე მუხლის საფუძველზე გამოიტანა კერძო განჩინება დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად. ამ განჩინებას საფუძვლად დაედო ექსპერტ-ბუღალტრის დასკვნა იმ გარემოებათა შესახებ, რომელმაც მოცემულ შემთხვევაში ხელი შეუწყო კონკრეტული დანაშაულის ჩადენას<sup>3</sup>.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები აწარმოებენ პროფილაქტიკურ მოღვაწეობას სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა ძირითად ეტაპზე. ამ ორგანოების პროფილაქტიკური მოღვაწეობის წარმატებით შესრულება მოითხოვს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს შორის მჭიდრო კავშირს. ამ მნიშვნელოვან საკითხიდან გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 14 მაისის დადგენილებაში აღნიშნულია: რეკომენდაცია მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს სამხარეო, საოლქო და სახალხო სასამართლოებს, რომ დანაშაულთან ბრძოლისა და გამა-

<sup>1</sup> В. Златкович, Судебное исследование обстоятельств, способствовавших совершению преступлений, статья в журнале „Социалистическая законность“ № 1, 1960 год, стр. 73.

<sup>2</sup> Бюллетень Верховного суда РСФСР № 7, 1962 г. стр. 13.

<sup>3</sup> Бюллетень Верховного суда РСФСР № 6, 1962 г. стр. 13—14.

ფორთხილებელ-პროფილაქტიკური მოღვაწეობის დროს მათ მუდმივი კოორდინაცია დაამყარონ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, რაიონში პროკურატურის ორგანოებთან და მილიციასთან; აწარმოონ მასალების ერთობლივი განხილვა და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება დანაშაულის აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით<sup>1</sup>.

გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებების წარმატებით ჩატარება გულისხმობს აგრეთვე საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მჭიდრო კონტაქტს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის, საექსპერტო დაწესებულებებთანაც. ამ უკანასკნელს შეუძლია დიდი დახმარება აღმოუჩინოს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებაში, დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებების დადგენაში. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ საკითხში ჯერ კიდევ ვერ არის დამყარებული მჭიდრო კავშირი საგამომძიებლო-სასამართლო და საექსპერტო ორგანოებს შორის. ასეთი მდგომარეობა რა თქმა უნდა ხელს არ უწყობს, რათა მთლიანად იქნას გამოყენებული საექსპერტო დაწესებულების მდიდარი შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოების დადგენის საქმეში.

საექსპერტო დაწესებულებების პროფილაქტიკური მოღვაწეობის ფორმები მრავალფეროვანია. ჩვენის აზრით საექსპერტო დაწესებულებების პროფილაქტიკური მოღვაწეობის ძირითად ფორმებს მიეკუთვნება:

— პროფილაქტიკური ხასიათის საკითხების გაშუქება ექსპერტის დასკვნაში;

— ექსპერტის მიერ პროფილაქტიკური ღონისძიებების შეტყობინება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისათვის მისი დაკითხვის დროს;

— ცალკეული სახის ექსპერტიზების ჩატარების დროს სპეციალური ანკეტების შედგენა დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობებისა და გარემოების აღსანიშნავად;

— სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური და განმაზოგადებელი შრომების შესრულება საექსპერტო დაწესებულებებში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების გამოვლინების და აღკვეთის მიზნით.

— შესაბამისი მიმართვით შესვლა სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

— მოხსენებებით გამოსვლა სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის შესახებ;

— კონფერენციებისა და შეკრებების მოწყობა დაინტერესებულ ორგანოებთან ერთად პროფილაქტიკური ხასიათის სადაო და პრობლემატურ საკითხებზე;

— დაინტერესებული უწყების თანამშრომლებისათვის კონკრეტული მეთოდებისა და საშუალებების გაცნობა-შესწავლა გაყალბებული საბუთების დადგენის მიზნით.

განვიხილოთ მოკლედ პროფილაქტიკური მოღვაწეობის აღნიშნული ფორმები:

<sup>1</sup> Бюллетень Верховного суда СССР № 3, 1962 год, стр. 24—25.





1. მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები ავალდებულებენ საგამომძიებლო-სასამართლო ორგანოებს დანაშაულის ჩადენის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოარკვიონ გარემოებანი, რომლებმაც გააადვილეს ან ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას და აღმოფხვრან ეს მიზეზები. ამ საკითხების გადაჭრაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს დიდი დახმარება შეუძლიათ გაუწიონ სასამართლო ექსპერტებმა.

ექსპერტი ატარებს რა გამოკვლევას, რაც შემთხვევაში ნათლად ხედავს ყველა იმ გარემოებას, რამაც გააადვილა დანაშაულის ჩადენა. ასეთი გარემოების დადგენის დროს ექსპერტმა გვერდი კი არ უნდა აუაროს ამ საკითხს, არამედ ასახოს იგი თავის დასკვნაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოები ექსპერტების წინაშე, როგორც წესი არ აყენებენ კითხვას, იმ გარემოებათა დასადგენად, რომლებმაც ხელი შეუწყეს დანაშაულის ჩადენას. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ექსპერტიზის დანიშვნის დროს უმრავლეს შემთხვევაში, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ასეთი გარემოებანი. ამის დადგენა ხდება საქსპერტო გამოკვლევების პროცესში. ამიტომაც, თუ კი თავისი სპეციალური ცოდნის გამოყენების შედეგად ექსპერტი დაადგენს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებებს მას შეუძლია ამის შესახებ აღნიშნოს თავის დასკვნაში, მიუხედავად იმისა, დასმულია თუ არა ექსპერტის წინაშე სათანადო კითხვა. ასეთი გარემოება გამომდინარეობს ექსპერტის უფლებიდან, საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასცეს პასუხი ისეთ კითხველზე, რომლებიც მის წინაშე არ იყო დასმული, მაგრამ ამას მოითხოვს ექსპერტიზისა და საქმის გამოძიება-განხილვის ყოველმხრივად და სრულად ჩატარება. ექსპერტის ასეთი უფლება გამომდინარეობს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 192-ე მუხლიდან.

ა. რ. შლიახოვი აღნიშნავს, რომ სასამართლო ექსპერტმა თავის ინიციატივით დადგენილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოება და რეკომენდაციები ამ მხრივ უმჯობესია ასახოს განსაკუთრებულ წერილში, რომელსაც ექსპერტი ან ლაბორატორიის ხელმძღვანელი უგზავნის ექსპერტიზის დამნიშნავ პირს<sup>1</sup>. ა. რ. შლიახოვის ასეთი აზრი მცდარია, რადგან კანონიდან (192 მუხლი) გამომდინარეობს, რომ ექსპერტის მიერ დამატებითი კითხვების პასუხები უნდა იყოს ასახული თვით ექსპერტის დასკვნაში და არა ცალკე საბუთში.

ამრიგად, სასამართლო ექსპერტის პროფილაქტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს დასკვნაში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების დადგენა და მის აღსაკვეთად საგამომძიებლო სასამართლო ორგანოებისათვის სათანადო რეკომენდაციების მიცემა.

2. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების მიერ ექსპერტის დაკითხვას იმ გარემოებების დასადგენად, რომელმაც ხელი შეუწყო და გააადვილა დანაშაულის ჩადენა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში.

პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად ექსპერტის დაკითხვა უნდა მოხდეს დასკვნის განმარტების, გარკვევის, დაზუსტების ან შევსებისათვის (მუხლი 193, 291).

<sup>1</sup> А. Р. Шляхов, Процессуальные основы производства криминалистической экспертизы, 1962 год, стр. 24.

ექსპერტის დაკითხვა აღნიშნული მიზნით უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ექსპერტმა არ შეისწავლა საკითხი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობების გასარკვევად ან შეისწავლა, მაგრამ ამის შესახებ არ გამოთქვა სათანადო აზრი, ანდა არ ჩამოაყალიბა სათანადო პროფილაქტიკური ღონისძიებანი თავის დასკვნაში. ექსპერტის დაკითხვა მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც მის მიერ დადგენილი დანაშაულის ხელშემწყობი გარემოებანი და პროფილაქტიკური ღონისძიებები მოითხოვენ დამატებით დაზუსტებას ან განმარტებას.


სასამართლო ექსპერტის დაკითხვის შედეგები მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სათანადო წარდგინების (კერძო განჩინების) დასასაბუთებლად და გამოძიება-განხილვის ყოველმხრივ და სრულყოფილად ჩასატარებლად.

3. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების დასადგენად და პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ გარემოებების აღრიცხვა-რეგისტრაციას, როგორც საგამომძიებლო სასამართლო ორგანოების, ისე საექსპერტო დაწესებულებების მიერ. სააღრიცხვო-სტატისტიკური სამუშაოს სწორი ორგანიზაცია საშუალებას იძლევა შემუშავებული იქნეს დასაბუთებული პროფილაქტიკური ღონისძიებანი, როგორც ცალკეული სახის დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოების აღსაკვეთად, ისე კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე. დადებითად უნდა იქნას ცნობილი სააღრიცხვო ბარათის შევსება ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს. ამ ბარათში გათვალისწინებულია ყველა საკითხები რაც საშუალებას გვაძლევს სრული წარმოდგენა ვიქონიოთ საგზაო შემთხვევების ხელშემწყობი მიზეზებისა და გარემოებების დასადგენად. სააღრიცხვო ბარათები 1953 წელს შემოღებული იქნა აგრეთვე საბუთების გაყალბების მეთოდების რეგისტრაციისა და ხელშემწყობი გარემოებების აღნუსხვის მიზნით, მაგრამ სამწუხაროდ დღეისათვის ასეთი ბარათები არ დგება უმრავლეს საექსპერტო დაწესებულებებში.

თანამედროვე პირობებში პროფილაქტიკური მოღვაწეობა სახელმწიფო სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებებში ისე უნდა მოეწყოს, რომ ყოველი ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ივსებოდეს სათანადო სააღრიცხვო ბარათი (ანკეტა) ყველა იმ გარემოებების რეგისტრაციის მიზნით, რამაც ხელი შეუწყო და გააადვილა დანაშაულის ჩადენა.

4. თავისთავად იგულისხმება, რომ სააღრიცხვო ბარათების (ანკეტების) შევსება საექსპერტო დაწესებულებებში არ წარმოადგენს თვითმიზანს. ასეთი ბარათები შეიცავს დიდ ფაქტიურ მასალას და სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია სერიოზული პროფილაქტიკური ხასიათის მეცნიერული შრომების შესრულება, მეთოდური წერილების, მიმოხილვებისა და ინსტრუქციების შედგენა. სააღრიცხვო ბარათებში აღრიცხული ფაქტიური მონაცემების განზოგადება საშუალებას იძლევა აგრეთვე გამოვლინდეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში ან ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებების სპეციფიკა და შემუშავებულ იქნას სწორი პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებანი.

სააღრიცხვო ბარათების (ანკეტების) ანალიზი და განზოგადება ერთი მიმართულებით არ უნდა წარმოებდეს. აქედან გამომდინარე, მკდარად უნდა იქნას ცნობილი ტ. ფ. შარკოვას აზრი, რომელიც აღნიშნავს, რომ პროფილაქტი-



კური ხასიათის ღონისძიებანი სახელმწიფო ქონების დატაცების თავიდან აცილების მიზნით უნდა ტარდებოდეს არა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, არამედ საბუთების გაყალბების ჩადენის ხერხებისა და მეთოდების შესწავლის გზით<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ სინამდვილეში სააღრიცხვო ბარათების (ანკეტების) განზოგადება, ანალიზი და პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებების დასახვა უნდა ხდებოდეს, როგორც სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით, ისე საბუთების გაყალბების ჩადენის ცალკეული ხერხებისა და მეთოდების გამოძევების გზითაც.

ამრიგად, პროფილაქტიკური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური და განმაზოგადებელი შრომების შესრულება საექსპერტო დაწესებულებებში წარმოადგენს ამ დაწესებულებების პროფილაქტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმას.

5. საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებისაგან განსხვავებით, რომლებსაც, როგორც წესი წარდგინება (კერძო განჩინება) შეაქვთ ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეებზე, საექსპერტო დაწესებულებას შეუძლია მიმართვის შეტანა, რომელსაც საფუძვლად უდევს სააღრიცხვო ბარათების და ანკეტური მონაცემების დიდი ოდენობით განზოგადება. ის გარემოება, რომ საექსპერტო დაწესებულებები საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს ემსახურებიან ძირითადად ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით იმის საშუალებას იძლევა, რომ აღნიშნულ დაწესებულებებმა პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებათა ჩატარება დასახონ, როგორც ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში ისე რაიონის, ქალაქის, ოლქის და რესპუბლიკის მასშტაბითაც კი.

დასაბუთებელი მიმართვის შედგენა და კონკრეტული პროფილაქტიკური ხასიათის ღონისძიებების დასახვა წარმოადგენს საექსპერტო დაწესებულების მოვალეობას, მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამით არ ამოიწურება საექსპერტო დაწესებულებების როლი. მათ ყველა კანონიერი საშუალება უნდა იხმარონ იმისათვის, რომ მიადწიონ თავიანთი პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებას.

თუმცა კანონი არ ადგენს საექსპერტო დაწესებულებების მიმართვის განხილვის ვადას, მაგრამ პროფილაქტიკური ხასიათის მიმართვები სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებმა უნდა განიხილონ მოკლე ვადაში. სასურველი იქნებოდა ასეთი მიმართვების განხილვისათვის დაწესებული იყოს მაქსიმალური ვადა 1 თვე და მიღებული ღონისძიება ეცნობოს საექსპერტო დაწესებულებას, ე. ი. დაცული იყოს წესი, რომელიც დადგენილია კანონით წარდგინებისა და სასამართლოს კერძო განჩინების განსახილველად.

6. მიმართვების გარდა საექსპერტო დაწესებულებებმა უნდა გამოიყენონ აგრეთვე პროფილაქტიკური მოღვაწეობის სხვა ფორმებიც. კერძოდ, ექსპერტებს გააჩნიათ საშუალება გამოვიდნენ პროფილაქტიკური ხასიათის მოხსენებებით სათანადო სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ასეთ მოხსენებებში ანალიზი უნდა გაუკეთდეს ცალკეულ სისხლის სამართლის საქმეს, ან რიგ ასეთ საქმეებს, რომელიც დაკავშირებულია მოცემულ საწარმოსთან ან დაწესებულებასთან; ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებებზე და იმ კონკრეტული პრო-

<sup>1</sup> Т. Ф. Шаркова, О мерах предупреждения хищений социалистической собственности, совершаемых путем подлога документов, статья в сборнике № 2, „Теория и практика криминалистической экспертизы, 1956 год, стр. 91—93.

ფილაქტიკური ღონისძიების ჩატარების აუცილებლობაზე, რომელმაც ხელი შეუწყო ან გაადვილა დანაშაულის ჩადენა.

სასამართლო ექსპერტები პროფილაქტიკური ხასიათის თემებზე უნდა გამოვიდნენ არა მარტო მოხსენებებით, არამედ პრესაში, რადიოში, ტელევიზიაში. მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული ექსპერტისა და გამომიებლის (მოსამართლის) ერთობლივი გამოსვლა მოხსენებებით, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს. ცხადია ასეთ ერთობლივ გამოსვლებს აქვს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

მოწონებას იმსახურებს როსტოვის სამეცნიერო-კვლევითი სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის პრაქტიკა, რომლის თანამშრომლებიც ავტოკოლონებში სისტემატურად გამოდიან მოხსენებებით მომხდარი ავტოშემთხვევის ვასანალიზებლად. ასეთი პროფილაქტიკური ხასიათის მოხსენებებს კითხულობენ აგრეთვე თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის თანამშრომლებიც.

7. სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიდი ფაქტიური მასალაა დაგროვილი დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოებებზე. ეს მასალები მოითხოვს სისტემატურ შესწავლას, ანალიზსა და განზოგადებას. ასეთი მუშაობის პროცესში ხშირად წამოიჭრება სადაო ან პრობლემატური ხასიათის საკითხები, რომელთა სწორად გადაჭრაც, შესაძლებელია სპეციალისტთა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად. სწორედ ამიტომ მიზანშეწონილად უნდა იქნას ცნობილი აღნიშნული საკითხების განხილვა სათანადო შეკრებებზე ან კონფერენციებზე, რომლის მოწვევის ინიციატივაც საექსპერტო დაწესებულებებმა უნდა იკისრონ. სამეცნიერო-კვლევითი საექსპერტო დაწესებულებების ასეთი მუშაობა წარმოადგენს მათი პროფილაქტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმას.

8. საგამომიებლო-სასამართლო და საექსპერტო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევებში სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების, შემნახველ სალონების, ნოტარიატის თანამშრომლები, რევიზორები იღებენ გაყალბებულ საბუთებს, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენას. ცხადია, რომ კრიმინალისტურ საექსპერტო დაწესებულებებმა ამ მხრივაც უნდა მიიღონ გარკვეული ზომები.

კრიმინალისტურ-საექსპერტო დაწესებულებებში, პრაქტიკის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემატურად უნდა მუშავდებოდეს მეთოდური წერილები, ინსტრუქციები, რომლებშიაც გაშუქებული უნდა იყოს სათანადო რეკომენდაციები დოკუმენტების გაყალბების ოპერატიული დადგენისათვის. ამის გარდა, ექსპერტ-კრიმინალისტებმა სოციალური უზრუნველყოფის, შემნახველი სალონების, ამხანაგური სასამართლოების, კადრების განყოფილების თანამშრომლებს სისტემატური პრაქტიკული დახმარება უნდა აღმოუჩინონ გაყალბებული საბუთების ამოცნობაში. ჩაატარონ აღნიშნული ორგანოების თანამშრომლებისათვის სათანადო საუბრები, მოაწიონ მათთვის მოკლევადიანი კურსები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს ენიჭება სერიოზული მნიშვნელობა მკვლარად უნდა იქნას ცნობილი ზოგიერთი კრიმინალისტის აზრი, რომლებიც მოითხოვენ, რომ ზემოაღნიშნულ ორგანოებს მიენიჭოს ექსპერტიზის ჩატარების

რების უფლება. ასე მაგალითად, ვ. ნ. ესტიუკოვი აღნიშნავს, რომ „ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევით სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიამ უკანასკნელი წლის მანძილზე ქ. ლენინგრადის და ლენინგრადის ოლქის სოცუზრუნველყოფის ორგანოების თხოვნით საპენსიო დოკუმენტებზე მისცა 156 დასკვნა“<sup>1</sup>.

ამავე საკითხზე ი. ა. ფრიდმანი აღნიშნავს, რომ: „სოცუზრუნველყოფის და ნოტარიატის ორგანოებს უნდა მიეცეთ უფლება უშუალოდ გადაგზავნონ საბუთები კრიმინალისტიკურ გამოკვლევებზე“<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას. კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარება პროცესუალური მოქმედებაა და მისი დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს. სათანადო დადგენილების (გაჩინების) გამოტანის საფუძველზე. სასამართლო ექსპერტებს შეუძლიათ ჩატარონ გამოკვლევა და მისცენ დასკვნა მხოლოდ საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების დავალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ მაგალითად, სოცუზრუნველყოფის ორგანოებში მომუშავე პირს შეეპარება ეჭვი საპენსიო საბუთების სისწორეში მან ასეთი საბუთები უნდა გადაუგზავნოს საგამომძიებლო ორგანოს; რომელსაც გააჩნია უფლება ჩატაროს ექსპერტიზა და შეკრიბოს მის ჩასატარებლად ყველა საჭირო მასალები. ექსპერტ-კრიმინალისტების დახმარება აღნიშნულ საკითხში იმაში კი არ უნდა გამოიხატოს, რომ მათ ჩატარონ სოცუზრუნველყოფის ორგანოების თხოვნით კრიმინალისტიკური ექსპერტიზა და მისცენ დასკვნა, არამედ იმაში, რომ გაუწიონ სათანადო კონსულტაციები გაყალბებული საბუთების ამოცნობასა და დადგენაში.

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო დაწესებულებების პროფილაქტიკური მოღვაწეობა დაკავშირებული არ არის მარტო დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ გარემოების დადგენასთან და ამ მხრივ სათანადო ღონისძიებების ჩატარებასთან. საექსპერტო დაწესებულებებს შეუძლიათ შევიდნენ სათანადო რეკომენდაციებით და წინადადებებით იმ ორგანოებში, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი მუშაობა.

ასე მაგალითად, სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარების შედეგად საექსპერტო დაწესებულებაში გროვდება დიდი ფაქტიური მასალა, რომლის განზოგადების საფუძველზეც შეიძლება შემუშავებული იქნეს ფსიქიკურ დაავადებათა მკურნალობის ეფექტური ან ახალი მეთოდები; სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად ამ დაწესებულებებს შეუძლიათ შესთავაზონ სხვადასხვა უწყებებსა და საწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვის უფრო ეფექტური წესი და საშუალებები.

ასეთი ხასიათის რეკომენდაციების მიცემა შეუძლია აგრეთვე სხვა საექსპერტო დაწესებულებებსაც. ამიტომ ცხადია, რომ პროფილაქტიკური მოღვაწეობის ამ მხარესაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება სამეცნიერო-კვლევით საექსპერტო დაწესებულებებში.

<sup>1</sup> Н. В. Естюков, К вопросу о профилактической работе учреждений судебной экспертизы по предупреждению преступлений и ее методах. См. рефераты докладов второй научной конференции Ташкентского НИИСЭ, 1961 г. стр. 36.

<sup>2</sup> И. Я. Фридман, О некоторых мерах по предупреждению преступлений, связанных с подделкой документов, см. Вопросы судебной экспертизы. Л.—1960 год. стр. 29.



სასამართლო პრაქტიკა მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობის, შესვლის ან მოსპობის ფაქტების დადგენაზე

ბ. იოსავა,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს  
თავმჯდომარის მოადგილე

ბ. ღვდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს  
წევრი

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ შეისწავლა სასამართლო პრაქტიკა მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობის, შეცვლის ან მოსპობის ფაქტების დადგენაზე.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ 1961 წელს სახალხო სასამართლოებში განხილულ იქნა 2.714 საქმე, ხოლო 1962 წელს — 2.832. პრაქტიკის შესწავლასთან დაკავშირებით გადასინჯულ 1.550 საქმიდან 1010 საქმე აღძრულია საქორწინო ურთიერთობის ფაქტის დადგენაზე.

პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სასამართლოები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისას უმრავლეს შემთხვევაში არ იცავენ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის დადგენილებს — „იმ ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომლებსგანაც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა“ — მოთხოვნას, საქმეთა გადაწყვეტის დროს უშვებენ სერიოზულ დარღვევებს.

რაში გამოიხატება ეს დარღვევები?

I პროცესუალური დარღვევები:

კანონის შესაბამისად იურიდიული ფაქტის დადასტურების საქმეს სასამართლო განიხილავს განსაკუთრებული წარმოების წესით და გამოაქვს სათანადო დადგენილებას.

ზოგიერთი სასამართლო არ იცავს კანონის ამ მოთხოვნას. საქმეებს იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ იხილავს საერთო სასარჩელო წესით და ნაცვლად დადგენილებისა საქმეებზე გამოაქვს გადაწყვეტილებას.

მაგალითად: ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეზე 1962 წლის 27 იანვარს გამოიტანა გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნა „...დაკმაყოფილდეს სარჩელო, რომ არუთინოვა ვარსენიკ მიკიჩის ასული და განგერიანი ვარსენიკ მიკიჩის ასული ერთი და იგივე პიროვნებაა“. საჩხერის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა მ. ა. ზამბახიძის „სარჩელო“ იმის შესახებ, რომ იგი „იყო ქორწინების რეგისტრაციაში დ. დ. გაბრიაძესთან“.

ქალაქ რუსთავის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 20 მაისის გადა-

წყვეტილებით დააკმაყოფილა თ. ს. ჩიხრაძის „სარჩელი“, რომ ჩიხრაძე თამარ სარდიონის ასული და ჩიხრაძე თამარ სააკას ასული არის ერთი და იგივე პიროვნება“.

იურიდიული ფაქტის დადგენის საქმეებზე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მე-8 და მე-9 მუხლებისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად განცხადების მიღებისას, სასამართლოები საქმის წინასწარი მომზადების წესით ვალდებული არიან გამოარკვიონ რა მიზნისათვის ესაჭიროება განმცხადებელს ფაქტის დადგენა, გამოიძახონ პროცესზე ის პირები ან ორგანიზაცია, რომლებიც შესაძლოა დაინტერესებული არიან საქმის შედეგით.

სასამართლოები უმრავლეს შემთხვევაში არ ასრულებენ კანონის ამ მოთხოვნას, არ არკვევენ თუ რა მიზნისათვის სჭირდება პირს იურიდიული ფაქტის დადგენა და საქმეებზე არ იწვევენ პირებს ან ორგანიზაციას, რომლებიც შესაძლოა დაინტერესებული არიან შედეგით.

მაგალითად: ქ. ქიათურის სახალხო სასამართლომ 1962 წლის მაისის დადგენილებით დადასტურებულად ჩათვალია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი, რომ ი. ნ. ლაბაძე ქორწინებაში იმყოფებოდა ფ. ა. ლაბაძესთან 1919 წლიდან. სასამართლოს არ გაურკვევია თუ რისთვის სჭირდებოდა განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა და არ გამოუწვევია პროცესზე პირი ან ორგანიზაცია, რომელიც შესაძლოა დაინტერესებული იყო შედეგით. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 24 ივნისის დადგენილებით დადასტურა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ ა. ს. პანიშენკო და მისი შვილი იყვნენ აწ გარდაცვალებულ გ. ა. შანიძის კმა-

ყოფაზე. სასამართლომ არ გამოარკვია თუ რისთვის სჭირდებოდა განმცხადებელს ამ ფაქტის დადასტურება, არ გამოიწვია საქმის შედეგით დაინტერესებული პირი ან ორგანიზაცია. ანალოგიური დარღვევითაა განხილული გ. ბ. ჯამბოვეის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის საქმე 1962 წლის 9 ივნისს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ და სხვ. პრაქტიკის შესწავლასთან დაკავშირებით გადასინჯული 1.550 საქმიდან 940 საქმე განხილულია ფაქტის დადგენის მიზეზების გამორკვევისა და შედეგით დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციითა გამოწვევის გარეშე.

კანონის შესაბამისად უკეთეს საქმის განხილვისას დაინტერესებული პირი ან ორგანიზაცია აღძრავს დავას სამოქალაქო უფლებაზე, ან თვით სასამართლო მიეცა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეზე ფაქტის დადგენა უშუალოდაა დაკავშირებული სამოქალაქო უფლებაზე დავის გადაწყვეტის აუცილებლობასთან, სასამართლო წყვეტს საქმის შემდგომ განხილვას განსაკუთრებული წარმოების წესით. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ პირს ან ორგანიზაციას შეუძლია წარადგინოს სარჩელი საერთო წესით.

სახალხო სასამართლოები ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნის წინააღმდეგ საერთო სასარჩელო ხასიათის დავებს იხილავენ იურიდიული ფაქტის დადგენის წესით.

მაგალითად: ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 22 თებერვლის დადგენილებით ს. ა. ბოკუჩავას დაუდასტურა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ მან მისი მამიდის — ე. ა. ლიანოზოვას დასაფლავებასთან დაკავშირებით დახარჯა სამასი მანეთი და რომ მას (ს. ა. ბოკუჩავას) როგორც გარდაცვალებულის ერთადერთ მემკვიდრეს უფლება მიეცეს

მიიღოს გარდაცვალებულის სახელზე შემსალაროში შეტანილი ანაბარი 87 მანეთი.

ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 21 მაისის დადგენილებით გ. ი. პეპენაშვილს დაუდასტურა იურიდიული ფაქტი, რომ მან მისი მამიდის ნ. პ. ბაღევას დასაფლავებასთან დაკავშირებით გასწია ხარჯები და რომ მას უფლება მიეცეს მიიღოს გარდაცვალებულის სახელზე შემსალაროს ანაბარზე არსებული 453 მანეთი. მსგავსი ფაქტები მრავალია.

საქმეები იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ ექვემდებარება განსახილველად სახალხო სასამართლოს, უკეთუ მოქმედი კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული მათი დადგენის სხვა წესი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის დადგენილების მესამე მუხლში ჩამოთვლილია ის საქმეები, რომლებიც ექვემდებარებიან განსახილველად სასამართლოს.

როგორც სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა იურიდიული ფაქტების დადგენის შედარებით მნიშვნელოვან და გავრცელებულ კატეგორიას მიეკუთვნებიან:

1. საქმეები ქორწინების რეგისტრაციის ფაქტის და ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის მდგომარეობის ფაქტის დადგენაზე;

2. საქმეები უფლების დამდგენი საბუთების კუთვნილების შესახებ;

3. საქმეები პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის ფაქტის დადგენაზე.

შევხვით ცალ-ცალკე აღნიშნული კატეგორიის საქმეებს და მათი დადგენის კანონიერებას სასამართლო პრაქტიკაში.

საქმეები ქორწინების რეგისტრაციის

ფაქტის და ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის მდგომარეობის ფაქტის დადგენაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მესამე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად სასამართლოები იხილავენ და ადგენენ მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოში ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს, როდესაც რეგისტრაციას ადგილი ჰქონდა და ასეთის ჩანაწერები არ აღმოჩნდა. გარდა აღნიშნულისა სასამართლოები იხილავენ და ადგენენ რელიგიური წესით შესრულებული ქორწინების რეგისტრაციის ფაქტს, თუ ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფამდე ე. ი. „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების შესახებ“ საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის გამოცემამდე.

კანონის მოთხოვნის წინააღმდეგ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სასამართლოები იხილავენ და ადგენენ აღნიშნული დეკრეტის გამოცემის შემდეგ რელიგიური წესით შესრულებული ქორწინების რეგისტრაციის ფაქტებს.

მაგალითად: ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ „ოლია კოკის ასული ყალიჩავა 1921 წლის ნოემბრის თვეში დაქორწინდა „წმინდა გიორგის“ ეკლესიაში მიხეილ გოგის ძე ყალიჩავასთან“.

ცხაკაიას რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 3 მარტის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ „მინადორა პავლეს ასული ცანავა-ბასალავასი 1925 წელს დაქორწინდა ლავრენტი სოლომონის ძე ბასალავასთან ძველი სენაკის „მაცხოვრის“ ეკლესიაში“. მსგავსი ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლება.



ფაქტიური საქორწინო ურთიერთობათა მდგომარეობის ფაქტის დადგენასასამართლოს შეუძლია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში: ა) როდესაც ერთ-ერთი მეუღლის სამამულო ომის პერიოდში სიკვდილით ან უკვალოდ დაკარგვის გამო ფაქტიური საქორწინო ურთიერთობა არ შეიძლებოდა გაფორმებულიყო მმაჩის ორგანოებში ქორწინების რეგისტრაციის გზით; ბ) ისეთ ცალკეულ გამოჩაყლის შემთხვევებში, როდესაც ერთ-ერთი მეუღლის სიკვდილი თუმცა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მოხდა, მაგრამ ფაქტიური საქორწინო ურთიერთობა წარმოშობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე, გრძელდებოდა მეუღლის სიკვდილის მომენტამდე და ობიექტურმა გარემოებებმა (ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა და სხვა, რამაც ხელი შეუშალა ქორწინების რეგისტრაციას) არ მისცეს მეუღლეებს საშუალება 1944 წლის 8 ივლისის შემდეგ მმაჩის ორგანოებში გაეტარებიათ ქორწინება (პლენუმის დადგენილების მესამე მუხლის „დ“ პუნქტი). ზოგიერთი სასამართლო არ იცავს კანონის ამ მოთხოვნას, ცალკეულ შემთხვევაში იხილავს სასამართლოს არაქვემდებარე საქმეებს; სახელდობრ, 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შემდეგ წარმოშობილ ფაქტიურ ცოლქმრული ურთიერთობის ფაქტებს და აგრეთვე ფაქტიური ცოლქმრული ურთიერთობის ფაქტებს იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მეუღლე ცოცხალია.

მაგალითად: ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 9 აპრილის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი იმის შესახებ, რომ „ვალია კედუცას ასული ლიგვავა 1951 წლიდან ფაქტიურ ქორწინებაში იყო აწ გარდაცვალებულ ბარნაბა ქირსეის ძე შურღაიასთან“.

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 30 მაისის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ „ლილი ბესარიონის ასული ჩალათაშვილი 1954 წლიდან ფაქტიურ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვალებულ ვანო გიორგის ძე ჩალათაშვილთან“.

ქ. ბბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ „გელუა იოსების ასული ძულიაშვილი ფაქტიურ ქორწინებაში იმყოფება მიხეილ რევაზის ძე ძულიაშვილთან“, მაშინ, როდესაც სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის ორივე მეუღლე ცოცხალი იყო.

ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 8 ივნისის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი, რომ „ლილია კინტორის ასული თოლორდავა 1934 წლიდან ფაქტიურ ქორწინებაში იმყოფებოდა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე შენგელიასთან“, მაშინ, როდესაც სასამართლოსათვის ცნობილი იყო, რომ საქმის განხილვის მომენტისათვის ორივე მეუღლე ცოცხალი იყო.

1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე წარმოშობილი ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის მდგომარეობის ფაქტების საქმეთა გადაწყვეტისას სასამართლოები ხშირ შემთხვევაში განცხადებებს აკმაყოფილებენ ისე, რომ არ არკვევენ მიზეზს რის გამო ვერ შესძლო განმცხადებელმა ფაქტიური მეუღლის გარდაცვალებამდე გაეტარებია ქორწინება მმაჩის ორგანოებში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების შემდეგ, ამ ბრძანებულების მე-19 მუხლის შესაბამისად.

მაგალითად: ქ. ფოთის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 19 აპრილის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ „ლიანა მალაქიას ასული ქაქუჩაია 1929 წლიდან 1962 წლამდე ფაქტიურ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვალებულ კაპიტონ ხარიტონის ძე ხურციასთან“ ისე, რომ არ გამოირკვია განმცხადებელი რა ხელის შემშლელი პირობების გამო ვერ გატარდა რეგისტრირებულ ქორწინებაში.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 22 იანვრის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ „მარგალიტა იოსების ასული მამრიკიშვილი იყო ფაქტიურ ქორწინებაში 1940 წლიდან 1961 წლის 30 ნოემბრამდე აწ გარდაცვალებულ გიორგი ამბაკოს ძე მოდებაცხთან“ ისე, რომ არ გამოირკვია რა ხელისშემშლელი მიზეზის გამო ვერ გატარდა განმცხადებელი რეგისტრირებულ ქორწინებაში.

ცალკეულ შემთხვევაში სასამართლოები არ აწარმოებენ სხვა გარემოებათა განხილვას და არ აკმაყოფილებენ განცხადებებს ფაქტიური საქორწინო ურთიერთობის ფაქტების დადგენის შესახებ მარტოოდენ იმ მოტივით, რომ 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემამდე ფაქტიურ ქორწინებაში მყოფი მეუღლენი არ გატარდნენ ქორწინების რეგისტრაციაში, ბრძანებულების გამოცემის შემდეგ.

მაგალითად: გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 24 მაისის დადგენილებით არ დააკმაყოფილა ვ. ი. ჯანიაშვილის განცხადება იურიდიული ფაქტის დადგენის შესახებ, რომ იგი 1923 წლიდან 1961 წლამდე იმყოფებოდა ფაქტიურ ქორწინებაში აწ გარდაცვალებულ ს. ა. ჯანაშვილთან იმ მოტივით, რომ განმცხადებელი ვალდებული იყო გატარებულიყო რეგისტრირებულ ქორწინებაში ბრძანებულების გამოცემის შემდეგ და რომ მას ამჟამად

არა აქვს უფლება მოითხოვოს ასეთი ფაქტის დადგენა.

ასეთივე მოტივით ზესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით უარი უთხრა ო. ა. ჩუბინიძეს 1918 წლიდან კ. ი. ჩუბინიძესთან ფაქტიურ ქორწინებაში ყოფნის ფაქტის დადგენაზე.

მარტოოდენ ამ მოტივით განცხადებების უარყოფა არასწორია და ეწინააღმდეგება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილების მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის მოთხოვნას. ამის შესაბამისად დასაშვებია იურიდიული ფაქტის დადგენა ისეთ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ფაქტიური საქორწინო ურთიერთობა წარმოშობილი 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულებამდე გრძელდებოდა მეუღლის სიკვდილის მომენტამდე და ობიექტურმა გარემოებებმა ხელი შეუშალა ქორწინების რეგისტრაციას.

## II საქმეები უფლების დამდგენი საბუთების კუთვნილების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს და დაადგინოს უფლების დამდგენი საბუთების პირზე კუთვნილების ფაქტი, თუ საბუთში აღნიშნული სახელი, მამის სახელი ან გვარი არ ემთხვევა ამ პირის სახელს, მამის სახელს ან გვარს პასპორტის ან დაბადების მოწმობის მიხედვით.

სახალხო სასამართლოთა დიდი უმრავლესობა შეცდომას უშვებს და გამოაქვს დადგენილება უფლების დამდგენი საბუთების არა იმ პირზე მიკუთვნების ფაქტის დადგენის შესახებ, რომელიც სხვადასხვა გვარს ატარებს სხვადასხვა საბუთებში, არამედ ადგენენ სხვადასხვა საბუთებში აღნიშნულ პი-



როვნებათა იგივეობის ფაქტს.

მაგალითად: ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 10 თებერვლის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ „მარიამ ალექსის ასული შაბურიშვილი, მ. ს. ყარაშვილი და მ. ა. ყარაევა ნამდვილად ერთი და იგივე პიროვნებაა“.

ხესტაფონის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 14 მარტის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ „აწ გარდაცვლილი კვანტრიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, ვარლამ ირაკლის ძე, ვარლამ ილიკოს ძე იყო ერთი და იგივე პიროვნება“.

მსგავსი ფაქტები მრავალია.

სახალხო სასამართლოებს ხშირ შემთხვევაში გამოაქვთ დადგენილებანი მოცემულ პირზე პასპორტისა და მმაჩის ორგანოების მიერ გაცემული მოწმობების კუთვნილების ფაქტის დადგენის და მმაჩის ორგანოების მიერ გაცემულ საბუთებში ცვლილებათა შეტანაზე მაშინ, როდესაც ასეთი სახის ფაქტის დადგენა პლენუმის აღნიშნული დადგენილების „ე“ პუნქტის შესაბამისად სასამართლო განხილვას არ ექვემდებარება.

მაგალითად: ა. მ. გრიგორიანმა მიმართა განცხადებით სასამართლოს, რომ მისი ქალიშვილი ნ. ა. გრიგორიანი მმაჩის ბიუროში შეცდომით გატარებულია მამრობით სქესად ნ. ა. გრიგორიანად და მოითხოვა ფაქტის დადგენის წესით დაბადების მოწმობაში შესწორების შეტანა. ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 13 ოქტომბერს განცხადება დააკმაყოფილა და დაადგინა „...მოხდეს შესწორება დაბადების მოწმობაში და ნორიქ აზატის-ძე გრიგორიანის დაბადების მოწმობა ეკ № 12407 მ-ში აღინიშნოს ნორა აზატის ასული გრიგორიანი“.

ყვარელის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 5 ნოემბრის დადგენი-

ლებით დააკმაყოფილა გრიგოლ თადეოზის-ძე ტაბატაძის განცხადება, რომ მისი ქალიშვილი ქეთინო გრიგოლის ასული ტაბატაძე მმაჩის ბიუროში შეცდომით გატარებულია თამაზ გრიგოლის-ძე ტაბატაძედ. ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 24 აგვისტოს დააკმაყოფილა ირინა ნიკოლოზის ასული ბოგომელოვას განცხადება და დაადგინა „...ბოდაბინის რაიონის მმაჩის ბიუროს მიერ 1923 წლის 17 დეკემბერს გაცემული დაბადების მოწმობა გაუქმდეს და განმცხადებელს მიეცეს უფლება ატაროს მისი ნამდვილი მამის ბაგრატ იოსების-ძე ჯიოშვილის გვარი და სახელი...“

მსგავსი შეცდომები დაშვებულია თელავის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 30 მაისის დადგენილებით გ. გარუთინოვის საქმეზე, ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 13 აპრილის დადგენილებით ვ. პ. გლუბოკოვას საქმეზე და სხვა.

### III საქმეები პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის ფაქტის დადგენაზე

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის № 3 დადგენილების—„იმ ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ, რომლებსგანაც დამოკიდებულია მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობა, შეცვლა ან მოსპობა“ „ზ“ — პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა პირადი საკუთრების უფლებით ნაგებობის მფლობელობის ფაქტის დადგენას საბუთების დაკარგვის შემთხვევაში, გაუქმებულია იქნა იმავე სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 6 დადგენილებით და ასეთი კატეგორიის საქმეთა ფაქტის დადგენის წესით განხილვა სასამართლოს არ ექვემდებარება.

მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლოები ჯერ კიდევ ახდენენ ასეთი საქმეების ფაქტის დადგენის წესით განხილვას.

მაგალითად: ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ 1962 წლის 4 მაისის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ პ. ე. ჩარკვიანმა 1956 წელს ქ. თბილისში, ორთაჭალაში ააშენა ერთოთახიანი საცხოვრებელი სახლი.

ქ. გორის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 14 ივნისის დადგენილებით დაადასტურა იურიდიული ფაქტი, რომ ს. ი. ტერტერაშვილმა ქ. გორში მახარაძის ქ. № 23-ში 1947 წელს ააშენა 80 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი და იგი არის სახლის მესაკუთრე. ანალოგიური დარღვევით არის განხილული ამავე სასამართლოს მიერ სახლზე საკუთრების ფაქტის დადგენის საქმეები ი. დ. მაღალდაძის, ე. ა. შერმანდინის, გ. ო. კერესელიძისა და სხვათა საქმეებზე.

არაერთიანია სასამართლო პრაქტიკა იურიდიული ფაქტის საქმეებზე გამოტანილ დადგენილებათა გასაჩივრების საქმეში. ზოგიერთი სახალხო სასამართლო დადგენილების გასაჩივრების ვადად საზღვრავს 10 დღეს, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში — 10 დღეს მაშინ, როდესაც სასამართლოს დადგენილება გასაჩივრდება საერთო საფუძველზე 15 დღის ვადაში ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში საკასაციო საჩივრის შე-

ტანით, როგორც განმცხადებლის, ისე საქმის განხილვაში მონაწილე დაინტერესებულ პირთა ან ორგანიზაციათა მიერ და აგრეთვე პროკურორის საკასაციო პროტესტის საფუძველზე. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომები ლახავენ მოქალაქეთა და სახელმწიფოს ინტერესებს და არა იშვიათად იმის საბაბად იქცევიან რათა ცალკეულმა პირებმა უსაფუძვლო პრეტენზია განაცხადონ პენსიაზე და ქონებაზე.

არასაკმაოა პროკურატურის ზედამხედველობა სასამართლოებში ასეთი კატეგორიის საქმეთა განხილვაზე. პრაქტიკის შესწავლის მიზნით გადასინჯულ 1500 საქმეში გამოვლინებულ დარღვევებზე პროკურატურის მიერ არცერთი პროტესტი არ დაწერილა. სასამართლო-პროკურატურის მუშაკების მიერ თითქმის არავითარი ყურადღება არ ეთმობა მოსახლეობაში კანონის პროპაგანდას ამ საკითხებზე. მოქალაქეებს არ უხსნიან თავიანთ უფლებებს და მოვალეობებს, რითაც ძირითადად გაპირობებულია სასამართლოებში ასეთი კატეგორიის და განსაკუთრებით ფაქტიური საქმორწინო ურთიერთობის მდგომარეობის ფაქტის დადგენის საქმეთა დიდი რაოდენობა. სასამართლო პრაქტიკაში იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის საქმეებზე დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

## სოციალისტური კანონიერების განმკვიცხების მნიშვნელოვანი პირობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს მშრომელთა აღზრდას შრომისმოყვარეობის, კოლექტივიზმის, კომუნისტური მორალის სულისკვთებით. ხორციელდება ღონისძიებანი მართლწესრიგისა და სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვისათვის. ამ პირობებში დიდად იზრდება საბჭოთა საზოგადოებრიობის როლი კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კანონი მთელი ხალხის ნებისყოფის გამოხატულებაა. იგი ემსახურება საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების შემდგომ განმტკიცების, კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებს. „აუცილებელია, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი, პროფკავშირული ორგანიზაციები ფიზიკურად იდგნენ საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე, ამხილონ და გამოიტანონ მზის სინათლეზე ის ვინც ხელყოფს სოციალისტურ მართლწესრიგს, მოქალაქეთა კანონით დაცულ უფლებებს, მკაცრად აღკვეთონ ყოველი უმნიშვნელო გამოვლინებაც კი უკანონობისა“.

საბჭოთა საზოგადოების წევრთა უმრავლესობა პატივს სცემს და განუხრელად იცავს საბჭოთა კანონებს, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. იბრძვის იმისათვის, რომ აღმოიფხვრას დანაშაულის წარმომშობი მიზეზები.

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პროკურატურამ გასული წლის ივლისის თვეში შეისწავლა რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ფაბრიკა-ქარხნებში მატერიალურ ფასეულობათა

აღრიცხვა-გაცემისა და სახელმწიფო ქონების დაცვის მდგომარეობა. გამოიკვია, რომ ბრძოლა იმ პირობების აღმოსაფხვრელად რომლებიც ხელს უწყობდნენ სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-გატაცებას არაღამაკმაყოფილებლად წარმოებდა, ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევებს, სამუშაო საათებში ხულიგნური ფაქტების ჩადენას და, რაც მთავარია, არ იყო შექმნილი საზოგადოებრივი აზრი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

ჩატარებული შემოწმების ანალიზში იმ დასკვნამდე მივიყვანა, რომ მდგომარეობა არასახარბიელო იყო. გარდა იმისა, რომ ამის თაობაზე შეტანილ იქნა წარდგინება საქართველოს კბ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომში, საჭირო გახდა ისეთ ღონისძიებათა შემუშავებაც, რაც უზრუნველყოფდა მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვას საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

რაიონის წარმოება-დაწესებულებებში იურიდიული პროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, დამნაშავეთა წინააღმდეგ საბრძოლველად მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვისათვის, წარმოებაში მუშა-მოსამსახურეთა იურიდიული მომსახურებისათვის კიროვის სახელობის რაიონის პროკურატურის ინიციატივით რაიონის ექვს მსხვილ წარმოებაში ჩამოყალიბდა იურიდიული საგუშაგოები. აქ თვეში ერთხელ სპეციალურად დადგენილ დღეებში მშრომელებისათვის ეწყობა იურიდიული კონსულტაცია: საგუშაგოებში ხდება აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა მიღება

და განცხადებების განხილვა. განცხადებები იურიდიული საგუშაგოს შესახებ გამოკრულია საამქროებშიც. ძირითადად იურიდიული საგუშაგოების საქმიანობა მიმდინარეობს ფაბრიკა-ქარხნების კლუბებში.

იურიდიულ საგუშაგოებში დანიშნულ დღეებში ცხადდებიან რაიონის პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები.

რაიონის პროკურატურის ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც 1962 წლის 26 ივლისს საკითხი გახადა ბიუროს მსჯელობის საგნად და დაავალა პარტბიუროს მდივნებსა და ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს ყოველგვარი პირობები შეექმნათ იურიდიული საგუშაგოების ნორმალური მუშაობისათვის. პროკურატურის ინიციატივას მხარი დაუჭირა აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორმა, რომელმაც თავის მხრივ ამ საკითხზე დაუშვა სახელმძღვანელო წერილი რესპუბლიკის რაიონის, ქალაქის პროკურატურის ორგანოებისადმი.

იურიდიული საგუშაგოების ჩამოყალიბებამ რომ ნამდვილად კარგი შედეგი გამოიღო ამაზე მეტყველებს მრავალი ფაქტი.

თბილისის № 2 ტყავის ქარხანაში 1962 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე რეგისტრირებული იყო ორი სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც ეხებოდა სოციალისტური საკუთრების გატაცებას თვით ფაბრიკის მუშების მიერ. ადგილი ჰქონდა აგრეთვე წვრილმანი გადატების 8 შემთხვევას. იურიდიული საგუშაგოს ჩამოყალიბების შემდეგ 1962 წლის 1-ლ აგვისტოდან 1962 წლის 1-ლ მაისამდე ადგილი ჰქონდა მხოლოდ წვრილმანი გატაცების ერთ შემთხვევას.

ქ. თბილისის „კოტონ-წინდების“ ფაბრიკაში 1962 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე ადგილი ჰქონდა სისხლის

სამართლის დანაშაულის 5 შემთხვევას და წვრილმანი დატაცების 24 შემთხვევას, 1962 წლის 1 აგვისტოდან 1963 წლის 1 მაისამდე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის ერთი დანაშაული და სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცების 3 შემთხვევა.


№ 2 ფეხსაცმელების ფაბრიკაში 1962 წლის 7 თვის განმავლობაში რეგისტრირებული იყო 4 სისხლის სამართლის დანაშაული და სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცების 6 შემთხვევა. 1962 წლის აგვისტოდან 1963 წლის 1 აპრილამდე სისხლის სამართლის დანაშაულის და სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცებას საერთოდ ადგილი არ ჰქონია.

№ 6 სამკერვალო ფაბრიკაში რეგისტრირებულია ორი სისხლის სამართლის დანაშაული და სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცების 6 შემთხვევა, ხოლო იურიდიული საგუშაგოს ჩამოყალიბებიდან 1963 წლის 1 მაისამდე სისხლის სამართლის დანაშაულს და სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცებას ადგილი არ ჰქონია.

№ 1 ტყავის ქარხანაში 1962 წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულის 3 შემთხვევას და სახელმწიფო ქონების წვრილმანი გატაცების 16 შემთხვევას. 1962 წლის 1 აგვისტოდან 1963 წლის 1 მაისამდე ადგილი ჰქონდა სისხლის სამართლის დანაშაულის 2 შემთხვევას და წვრილმანი გატაცების 3 შემთხვევას.

1962 წლის 1 აგვისტოდან 1963 წლის 1 მაისამდე იურიდიულ საგუშაგოებში შემოსულია 938 შეკითხვა. მიღებულია ადგილზე სასამართლო-პროკურატურის მუშაკების მიერ 1446 მუშა-მოსამსახურე.

იურიდიულ საგუშაგოებს კარგ დახმარებას უწევენ „კოტონ-წინდების“ ფაბრიკის დირექტორი შ. გოგისვაინიძე და პარტიული კომიტეტის მდი-



ვანი ვ. მაისურაძე, № 6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი მ. ავალიანი და პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ცაავა, № 2 ფეხსაცმელების ფაბრიკის დირექტორი ა. რობაქიძე და პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ხანაშვილი, № 1 ტყავის ქარხნის დირექტორი დ. თომაძე და პარტიული მდივანი ბ. ტყემელაშვილი, № 2 ტყავის ქარხნის დირექტორი გ. ჯანაშია და პარტიუროს მდივანი ვ. ჯიქიძე.

რაიონში ჩადენილი დანაშაულობათა ანალიზი ნათელყოფს, რომ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაული ძირითადად ჩადენილია სიმთვრალის დროს. მიუხედავად ამისა ბრძოლა ლოთობასთან არასაკმარისად წარმოებს. ხშირია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ფაქტები ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტებისაგან. პროკურატურამ გადაწყვიტა რაიონის იმ უბნებში სადაც ადგილი აქვს დანაშაულობას, ჩამოაყალიბოს იურიდიული საგუშაგოები, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას. ამ იურიდიულ საგუშაგოებში გარდა იურიდიული კონსულტაციებისა, მოქალაქეთა მიღებისა, მოეწყობა საბჭოთა კანონიერების პროპაგანდა, გაიმართება ლექციები და მოხსენებები საბჭოთა კანონიერების საკითხებზე იმ უბანში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის მაგალითების მოყვანით.

უნდა აღინიშნოს, რომ იქ სადაც ჩამოყალიბებულია იურიდიული საგუშაგოები, კარგად მუშაობენ ამხანაგური სასამართლოებიც, რომელთა თავმჯდომარეებს სისტემატურ კონსულტაციას და დახმარებას უწევენ პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის რაიონული განყოფილების მუშაკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის „კოტონწინდების“ ფაბრიკის, № 2 ტყავის ქარხნის, საპნის ქარხნის, № 2 ფეხსაცმელების ფაბრიკისა და № 6 სამკერვალო ფაბ-

რიკის ამხანაგური სასამართლოებშიც მუშაობა ჩაშლილი იყო. ამჟამად კი მათ საგრძნობლად გამოაცოცხლეს მუშაობა, ამაღლდა მათი როლი საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში, გაფართოვდა მათი მოქმედების სფერო. ისინი სულ უფრო ხშირად განიხილავენ ისეთ საკითხებს, რაც ეხება შრომის დისციპლინის დარღვევას, მოქალაქეთა ღირსებას, სამართლის დარღვევის თავიდან აცილებას, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელის გამოვლენების აღკვეთას.

იურიდიული საგუშაგოების მუშაობა ხელს უწყობს პროკურატურის საერთო ზედამხედველობის გაუმჯობესებას, რამდენადაც ამ მუშაობის კარგად მოწყობით ვეხმარებით პარტიას სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში.

იურიდიული საგუშაგოების მუშაობაში პროკურატურას კარგ დახმარებას უწევენ რაიონის სახალხო მოსამართლეები ვ. არავიაშვილი, ს. მილორავა, გ. ჭეღია, მილიციის რაიონული განყოფილების უფროსი ლ. მათეშვილი და მისი მოადგილე მ. ნიკოლაიშვილი.

კიროვის სახელობის რაიონის პროკურატურა სათანადო ყურადღებას აქცევს აგრეთვე იურიდიულ საკითხებზე ლექციურ პროპაგანდას. იმ ფაბრიკა-ქარხნებში სადაც იურიდიული საგუშაგოები ჩამოყალიბებული არ არის სისტემატურად ეწყობა ლექციები, მოხსენებები და კითხვა-პასუხის საღამოები. ასე მაგალითად: პროკურატურის მუშაკების მიერ 1962 წლის განმავლობაში რაიონის წარმოება-დაწესებულებებში და მოსახლეობაში ჩატარებულია 86 ლექცია-მოხსენება. ძირითადად ლექცია-მოხსენებები ტარდება შემდეგ საკითხებზე: სოციალისტური საკუთრება წმიდათა წმიდა და ხელშეუხებელია, საზოგადოების როლი დამნაშაევების წინააღმდეგ წესრიგის დაცვა თითოეული საბჭოთა ადამიანის მოვალეობა, საბჭო-

თა დემოკრატია — დემოკრატიის უმაღლესი ფორმა და სხვ.

იურიდიულ საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამოს ჩატარებამ რაიონის წარმოება-დაწესებულებებში დიდი მოწონება დაიმსახურა.

კითხვა-პასუხის საღამოს ჩატარებამდე 10 დღით ადრე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია განცხადება, სადაც აღნიშნულია საღამოს ჩატარების დრო და ადგილი, იქვე ჩამოკიდებულია ყუთი რომელშიც მსურველს შეუძლია ჩაუშვან კითხვები. ყუთის გახსნა ხდება კითხვა-პასუხის საღამოს ჩატარების წინა დღით, მას ეცნობიან სასამართლო-პროკურატურის მუშაკები, ემზადებიან და დასაბუთებულ პასუხს აძლევენ შეკითხვებზე.

კითხვა-პასუხის ჩატარების პრაქტიკამ კარგი შედეგი გამოიღო. მის ჩატარებაში მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა იღებს მონაწილეობას. ასე მაგალითად: ტყავის № 1 ქარხანაში ჩატარებული კითხვა-პასუხის საღამოს ესწრებოდა 210 კაცი. შემოვიდა 54 შეკითხვა. კითხვა-პასუხის საღამოში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ზ. ბასიშვილმა, განყოფილების პროკურორმა შ. ჭანტურიამ, სამოქალაქო განყოფილების პროკურორის მოადგილემ, იუსტიციის უფროსმა მრჩეველმა ვ. ხმალაძემ. აღნიშნული კითხვა-პასუხის საღამო ტრანსლირებული იქნა ტელევიზიით. ასევე კარგად ჩატარდა კითხვა-პასუხის საღამო ქ. თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში“, ფაბრიკა „კომკავშირელში“, ფაბრიკა „საქტრიტოკაჟში“ და სხვა.

გაეცნენ რა იურიდიული საგუშაგოების საქმიანობის შედეგებს, რაიონის ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, სადაც აღნიშნული ჩამოყალიბებული არ იყო, დააყენეს საკითხი რაიონის პროკურორის წინაშე, რათა მათთანაც ჩამოგვეყალიბებინა იურიდიული საგუშაგოები. პროკურატურამ შეისწავლა და ანალიზი გაუკეთა რა მომხდარი დანაშაულის ფაქტებს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქარხანა „ელექტროავტომატში“, სადაც ზოგჯერ ადგილი აქვს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობას, შრომის დისციპლინის დარღვევებს, ამორალურ გამოვლენებებსა და სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტებს, აუცილებელია ასეთი საგუშაგოს ჩამოყალიბება. ამა წლის 4 აპრილიდან აქ შეიქმნა იურიდიული საგუშაგო. პირველმა დღემ დაადასტურა საგუშაგოს აუცილებლობა. ქარხნის დირექტორ ა. ვაშაკიძესა და პარტიულ კომიტეტის მდივნის გ. ვაშაკიძის დახმარებით აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი იურიდიული საგუშაგოს ნორმალური საქმიანობისათვის.

იურიდიული საგუშაგოების ჩამოყალიბება, იურიდიულ საკითხებზე ლექციური პროპაგანდა და კითხვა-პასუხების საღამოს მოწყობა ემსახურება ერთ მიზანს—ჩავაბათ რაც შეიძლება ფართო საზოგადოებრიობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. ეს უზრუნველყოფს რაიონში დამნაშავეობის შემცირებას, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას.

### 3. დოლიძე,

ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პროკურორის თანაშემწე, პირველი კლასის იურისტი.

## წინასწარი გამოძიების ხაზის ხეობის გაუმჯობესებისათვის

უკანასკნელ ხანს მრავალი ღონისძიება გატარდა წინასწარი გამოძიების ხაზის ხეობის გაუმჯობესებისათვის. გამოიცა ბევრი მეთოდური ხასიათის წიგნი და წერილი, უფრო ხშირად ეწყობა საწარმო-ობერატული თათბირები, ხორციელდება სხვა ღონისძიებანი, რომლებსაც კარგი შედეგები მოაქვთ. მაგრამ ამ საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას ჯერ კიდევ ვერ მივალწიეთ. წინანდებურად სასამართლოები ბევრ საქმეს აბრუნებენ დამატებითი გამოძიებისათვის. ნაწილი დანაშაულისა გაუხსნელია, ადგილი აქვს მოქალაქეთა უკანონოდ პასუხისგებაში მიცემის და დაპატიმრების ფაქტებს.

როცა დანაშაული სახეზეა და დამნაშავე არ უარყოფს მის ჩადენას, გამოსადიებელი თითქმის არაფერია. საჭიროა მხოლოდ ფორმალური ხასიათის ღონისძიებათა ჩატარება. გამოძიებელს, როგორც იტყვიან, თავსატეხი სამუშაო აქვს მამინ, როცა დაუდგენელია დანაშაულის ჩამდენი, მოტივი, თანამონაწილენი, ზოგჯერ თვით დაზარალებული და ა. შ. გამოძიება სწორედ ასეთ საქმეს სჭირდება. გამოძიების დაწყებამდე აუცილებელია გამოძიებელი დაწვრილებით გაეცნოს საქმის ყოველ დეტალს. რთულ საქმეში უმთავრესად ასეთი დეტალები იძლევიან ხოლმე დანაშაულის გახსნის გასაღებს.

პროკურატურის ორგანოებში გაუხსნელ საქმეთა მნიშვნელოვანი რიცხვი განზრახ მკვლევლობის საქმეებზე მოდის. ამ გაუხსნელ საქმეებს თუ გადავხედავთ, თვალში გვეცემა, რომ გამოძიებელი პირველად მთელი მონდომე-

ბით მოკიდებია საქმეს, მაგრამ როგორც კი წააწყდა სიძნელეს მისი ინტენსიურობა თანდათან შესუსტდა და ბოლოს მთლიანად შეწყდა. მან ვერ დაძლია წინააღმდეგობანი, იმედი დაკარგა, ხელი ჩაიქნია და თავი დამარცხებულად გამოაცხადა; მიიჩნია, რომ ყველაფერი გააკეთა რისი გაკეთებაც მას შეეძლო. ვერ მიხვდა, რომ საქმეზე კიდევ ბევრი რამის გაკეთება იყო საჭირო, და ყოველივე ეს მოხდა იმის გამო, რომ გამოძიებელმა დეტალური ანალიზი არ გაუკეთა მონაცემებს, რაც ადრე იყო შეკრებილი და რაც თვითონ შეკრიბა.

ამ წერილში გამოძიებლების ყურადღება გვსურს მივაქციოთ ერთ მეტად სერიოზულ საკითხზე, რაც აუცილებლად უნდა მოგვარდეს გამოძიების დაგეგმვამდე და თვით გამოძიების დაწყებამდე. ეს არის საქმის მასალების ღრმად, დეტალურად შესწავლა.

სპეციალურ ლიტერატურაში ავტორები დაწვრილებით ეხებიან გამოძიების დაგეგმვას და ეს საკითხი კარგად არის დამუშავებული. მაგრამ დღემდე ყურადღება თითქმის არ ექცევა იმას, თუ როგორ, რა წესით უნდა შეისწავლოს გამოძიებელმა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც მას გამოსადიებლად გადაეცა.

გამოძიებლების დიდი უმრავლესობა საქმეს მხოლოდ წაკითხვით სწავლობს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქმეს არც კითხულობენ მთლიანად, ეცნობიან მხოლოდ ძირითად დოკუმენტებს. ზოგიერთი გამოძიებელი საქმის წაკითხვის დროს ჩანაწერსაც აკეთებს, მაგრამ არასრულს, მეტწილად ისეთ მო-

ნაცემებს იწერს, რაც ბრალდებას ადასტურებს.

ასეთი მიდგომით გამოძიებელი დაწვრილებით ვერ ეცნობა საქმის მასალებს, საქმეზე რჩება მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა, რაც სრულიად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოძიება დაიგეგმოს და სრულყოფილად, გეგმიურად და ობიექტურად ჩატარდეს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ ჯერ კიდევ 1960 წლის დეკემბერში დაუშვა სადირექტივო წერილი, რომლითაც ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს წინადადება ეძლეოდათ დაენერგათ გამოძიებელთა მიერ საგამომძიებლო საქმის დაკონსპექტების წესით შესწავლის პრაქტიკა.

საქმის მასალების დეტალურად გაცნობა შეცდომების თავიდან აცილების, მათი მინიმუმამდე დაყვანის მნიშვნელოვანი გარანტიაა. საქმის დაწვრილებით გაცნობას გამოძიებელი შეძლებს მხოლოდ ამონაწერის გაკეთებით. ამ დროს გამოძიებელი დაბეჯითებით უკვირდება და შემოკლებით იწერს საქმის შინაარსს. ამ მეთოდით საქმის გაცნობისას მას მთელი შინაარსი და ცალკეული დეტალები არასდროს არ ავიწყდება.

გამომძიებელი რთული ამოცანების წინაშე დგას. მან უნდა შეაგროვოს საქმის მთელი მასალა, განახორციელოს როგორც ბრალმდებლის, ასევე დამცველის ფუნქცია, შეამოწმოს რამდენიმე ვერსია და საბოლოოდ მათგან დატოვოს ერთ-ერთი, გაარკვიოს მრავალი წინააღმდეგობა, რაც გამოძიების დროს ხვდება და სხვა.

გამომძიებელსა და დამნაშავეს შორის გამოძიების მთელ მანძილზე მიმდინარეობს ნებისყოფის ჭიდილი და გონებრივი ორთაბრძოლა. გამოძიებელი მოვალეა შეკრიბოს რეალური მონაცემები და დაამტკიცოს, რომ დანაშაული გარკვეულ ვითარებაში კონკრეტულმა პი-

რმა ჩაიდინა. ბრალდებული თავის მხრივ, თვით დანაშაულის ჩადენიდან გამოძიების დამთავრებამდე, ყოველგვარ ზომას ხმარობს იმისათვის, რომ თავი დაიძვრიოს პასუხისმგებლობისაგან, ხშირად ცდილობს მოატყუოს გამოძიებელი, ააცილნოს იგი სწორ გზას. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდის ის, ვინც უფრო ძლიერია, კერძოდ, ვინც უკეთ იცის საქმის ვითარება, ვინც უფრო დაკვირვებულია, ტაქტიანია, მომთმენია. ცხადია, რომ ბრალდებულზე უკეთ არავინ იცის ის თუ როგორ ჩაიდინა მან დანაშაული; ეს არის მისი უპირატესობა, რაც მას კარგად ესმის და ყოველმხრივ ფრთხილობს არ გამოამჟღავნოს გამოძიებელთან ეს საიდუმლოება. ბუნებრივია, რომ გამოძიებელი, ბრალდებულთან ბრძოლის დაწყებამდე სათანადოდ უნდა მოემზადოს: ყოველ შემთხვევაში იგი უნდა ეცადოს მიაღწიოს სწორი ვერსიის შერჩევას, ე. ი. დაახლოებით მაინც იცოდეს ის, რაც ნამდვილად მოხდა ან მოცემულ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო. საქმის მასალების კარგად შესწავლის შედეგად გამოძიებელს შეუძლია იცოდეს ისეთი რამ, რის შესახებაც დამნაშავემ არაფერი არ იცის, ეს არის შემთხვევის ადგილზე დატოვებული კვალები, სხვა პირის მიერ საქმეზე მიცემული ჩვენებები და ა. შ.

გამომძიებელი, რომელიც საქმეს დეტალურად არ შეისწავლის ბრალდებულის პირველ დაკითხვისთანავე ავლენს თავს, როგორც მოუმზადებელი, რაც ბრალდებულისათვის შეუმჩნეველი არ რჩება.

გამომძიებელს, რომელსაც მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს საქმეზე, არ იცის რით დაიწყოს გამოძიება, რას მიჰქცის ყურადღება, რა არის მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი, ან უმნიშვნელო, რა ეძებოს და რა საბუთები ამოიღოს საქმეზე დასართავად. იგი ამ დროს ისეთ შეცდომებს უშვებს,

რომელთა გამოსწორება შემდეგ შეუძლებელი ხდება.

ზოგიერთს დაკითხვა იოლ საქმედ მიანჩნია, არ ითვალისწინებს, რომ იგი რთული საგამომძიებლო მოქმედებაა. დაკითხვას გამომძიებელი ზედმიწევნით მომზადებული უნდა შეხვდეს; მან წინასწარ უნდა გაიაზროს რა შეკითხვები მისცეს დასაკითხ პირს. ზოგჯერ კითხვების დასმის თანმიმდევრობის დარღვევაც კი ზიანს აყენებს საქმეს.

დასაკითხი პირი, განსაკუთრებით ის, რომელიც საქმის შედეგით დანტერესებულია, მომზადებული მოდის გამომძიებელთან. ზოგ მათგანს გადაწყვეტილი აქვს ცრუ ჩვენება მისცეს საქმეზე. იმასაც ითვალისწინებს, რომ ამ ნაბიჯს გადადგამს იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელთან ამის საშუალება მიეცემა. როდესაც გამომძიებელი საქმეს დეტალურად არ იცნობს. დასაკითხ პირს აძლევს ზოგად, შეუსაბამო და უადგილო კითხვებს; უკანასკნელი მაშინვე ხვდება, რომ გამომძიებელი სუსტად არის მომზადებული და გაბედულად ცრუობს. გამომძიებელს კი არ ძალუძს კრიტიკულად მიუდგეს და გააბათილოს ეს ცრუ ჩვენება, იძულებული ხდება გაიზიაროს იგი, ე. ი. დაადგეს ცრუ ვერსიას. უფრო მეტიც, შემდეგში გამომძიებელი ცდილობს გაამაგროს ეს ვერსია და სხვა საგამომძიებლო მოქმედებებს წარმართავს ამ არასწორი მიმართულებით. გამომძიებელი სამწუხაროდ იქამდეც მიდის, რომ განგებ უვლის გვერდს იმ გარემოებების დადგენას, რაც ამ ვერსიას ეწინააღმდეგება. საბოლოოდ გრძნობს კიდევ, რომ ვერსიის არჩევაში შეცდომა დაუშვა, მაგრამ არ იხევის უკან, არ სურს დაინახოს და გაიგოს სხვა რამ, რაც ამ ვერსიას აბათილებს. გამომძიებელი აშკარად გრძნობს, რომ მართალი არ არის, მაგრამ თავის საქციელს ამართლებს იმით, რომ ამ ვერსიის შეკოწიწებაზე ბევრი იმუშავა, ხოლო თუ სხვა, ახალი ვერსიის შემოწმებას შეუდგება, ადრე

გაწეული შრომა დაეკარგება, ამასთანავე მიანჩნია, რომ უკან დახევა და შეცდომის აღიარება შეზღაღავს მის ავტორიტეტს.

შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ამ შემთხვევაში გამომძიებელი აშკარად თვითონ დაადგა დანაშაულის გზას და ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ საქმის მასალების ზერელედ ცოდნის გამო ვერ აირჩია სწორი ვერსია.

არის შემთხვევები, როცა დაკითხვის დროს გამომძიებელი პირს უხეშად ექცევა მაშინაც კი, როცა უკანასკნელი სწორ ჩვენებას იძლევა, უყვირის მას და ზოგჯერ მუქარასაც კი მიმართავს. ამის მიზეზიც ისაა, რომ გამომძიებელი მზად არ არის დაკითხვისათვის, საქმეს დეტალურად არ იცნობს და არასწორი აზრი აქვს მასზე; მან არ იცოდა რა იყო სწორი და არასწორი, ამიტომ აღელდა, როცა დასაკითხმა პირმა ისეთი ჩვენება მისცა, რაც მის მიერ შერჩეულ არარეალურ ვერსიას ეწინააღმდეგება და ხელს უშლის მის გამაგრებაში.

საქმის მასალების არადეტალური, ზერელე შესწავლა თავის უარყოფით გამოხატულებას პოულობს საბრალდებო დასკვნაშიც.

ამ დოკუმენტში გამომძიებელი დაწვრილებით უნდა შეეხოს ყველა მონაცემებს, რაც მან გამოძიების დროს შეკრიბა, დაასაბუთოს ბრალდება, მთელი მასალის ანალიზის გზით გააბათილოს ბრალდებულის მიერ თავის გასამართლებლად წამოყენებული მოტივები.

ხშირად საბრალდებო დასკვნაში არაფერია ნათქვამი თუ რა მოტივები წამოაყენა ბრალდებულმა თავის გასამართლებლად, რით ბათილდება ეს მოტივები, რა მასალებით დასტურდება დანაშაულის ჩადენა. ზოგჯერ საბრალდებო დასკვნაში სრულიად მარტივად არის ნათქვამი: „...ბრალდებულმა... წარდგინილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არცნო, მაგრამ იგი საქმის მთელი რიგი მასალებით სავსებით არის მხილებული“... და ამის შემდეგ ფრჩხილებში მითითე-

ბულია საქმის ფურცლის ნომრის მან-  
ვენებელი რამდენიმე ათეული ციფრი.

ასეთი არაფრის მოქმელი საბრალდე-  
ბო დასკვნა იმაზე მიუთითებს, რომ გა-  
მოძიებელი საქმეს ღრმად არ იცნობ-  
და, არ იცოდა რა მტკიცებები იყო საქ-  
მეში, რომელ მასალებში იყვნენ ისინი  
მოცემული. ბრალდებულის მიერ თავის  
გასამართლებლად წამოყენებული ნო-  
ტივები, იმიტომ არ მოიყვანა, რომ მათი  
გაბათილება ვერ შეძლო.

ვინც საქმის შესწავლისას ამონაწერს  
არ აკეთებს, უფრო სწორად რომ  
ვთქვათ, დეტალებს ყურადღებას არ აქ-  
ცევს, თავს იმით იმართლებს, რომ ამო-  
ნაწერის გაკეთებას დრო სჭირდება და  
ეს დრო მას არ აქვს. ასეთი შეხედულებ-  
ა აშკარად ულოგიკოა.

ჯერ ერთი, არავის აქვს უფლება გა-  
ნაცხადოს, რომ ვინაიდან მას დრო არა  
აქვს იმიტომ საქმეს დეტალურად ვერ  
შეისწავლის. ამის გარდა, საქმიდან ამო-  
ნაწერის გაკეთებას საერთოდ დიდი დრო  
არ სჭირდება. საბოლოო ანგარიშში ამო-  
ნაწერის გაკეთებით დრო კი არ იკარ-  
გება, პირიქით დროს ვიგებთ.

როცა საქმეზე ამონაწერი არ არსე-  
ბობს, გამოძიებელი ყოველი დაკითხვის  
დროს იძულებულია თავიდან ფურც-  
ლოს საქმე, რადგან მას დავიწყებული  
აქვს საქმის შინაარსი და არ იცის რის  
ირგვლივ დაკითხოს მოქალაქე. ადვილი  
შესაძლებელია მას გამოჩნდეს რაიმე, ან  
თუნდაც საგამომძიებლო მოქმედებათა  
ჩატარების თანმიმდევრობა არ დაიცვას  
და ამით საქმეს ავნოს.

საქმის დამატებით გამოძიებისათვის  
დაბრუნება ყველაზე სამარცხვინო მოვ-  
ლენაა გამოძიებლისათვის, ეს მისი  
მუშაობის წუნია.

ამონაწერის გაკეთება საჭირო არ  
არის მარტივ საქმეზე, რომელშიც მხო-  
ლოდ ერთი ვერსიაა, ბრალდებული არ  
უარყოფს დანაშაულის ჩადენას. მაგრამ  
როცა საქმეზე რამდენიმე ვერსიაა, და-  
ნაშაულის ჩამდენი დადგენილი არ არის

და მრავალ სადაო საკითხთან გვაქვს სა-  
ქმე, მაშინ ამონაწერი აუცილებლად უნ-  
და გაკეთდეს, ამონაწერი ისეთი დოკუ-  
მენტებიდან უნდა გაკეთდეს, რომელ-  
თაც მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს;  
ამონაწერი, რაც შეიძლება მოკლედ უნ-  
და დაიწეროს, მაგრამ იგი სრულად უნ-  
და შეიცავდეს დოკუმენტში არსებულ  
იმ მონაცემებს, რომლებსაც გამოძიე-  
ბელმა საქმის გამოძიების დროს ყურად-  
ღება უნდა მიაქციოს. ყოველ ამონაწერს  
თანმიმდევრობით უნდა გაუკეთდეს რი-  
გითი ნომერი, ხოლო ბოლოში — საქ-  
მის ფურცლის ნომერი.

როცა ამონაწერის გაკეთებას დაამ-  
თავრებს, გამოძიებელი კითხულობს  
მას, გზა და გზა ადგენს იმ პირების სიას,  
რომელთა დაკითხვაცაა საჭირო, ამასთან  
მიუთითებს იმ დოკუმენტის რიგით ნო-  
მერს, რომელთანაც დაკავშირებულია  
პიროვნების დაკითხვა, ადგენს იმ საგა-  
მომძიებლო მოქმედების (გარდა დაკი-  
თხვის) სიას, რომელთა ჩატარება საქმე-  
ზე აუცილებელია.

საქმის მასალების შესწავლა ამონა-  
წერის გაკეთების გზით ახალი არ არის.  
ამ წესით არაერთი გამოძიებელი მუ-  
შაობს და მათ კარგი შედეგებიც აქვთ.  
მაგრამ ამ პრაქტიკას მაინც ერთეულები  
იზიარებენ. საჭიროა ყველამ დანერგოს  
ეს მეთოდი თავის მუშაობაში და არა ძა-  
ლით, — ზევიდან გაცემული განკარგუ-  
ლებით, არამედ ნებაყოფლობით. ეს მა-  
შინ მოხდება, როცა გამოძიებელი რამ-  
დენიმე საქმეზე იმუშავებს ამ მეთოდით  
და ნახავს მის დადებით შედეგს.

აღსანიშნავია, რომ ამონაწერი (კონს-  
პექტი), რაც საქმის საზედამხედველო  
წარმოებაში რჩება, დიდ დახმარებას  
უწევს გამოძიებელს საბრალდებო დას-  
კვნის შედგენაში, ხოლო პროკურორს —  
სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე  
ბრალმდებლის ფუნქციის განხორციე-  
ლებაში.

გამომძიებლის შრომა გამიზნული უნდა იყოს, რათა ერთი და იგივეს გაკეთება ორჯერ არ მოუხდეს. გამომძიებელმა არ უნდა დაივიწყოს, რომ დიდი და პატარა საქმე, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, არ არსებობს. ყოველი საქმე დიდია და მნიშვნელოვანი, ვინაიდან თვითვეულ საქმეზე ადამიანის ბედი წყდება, მისთვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს სასჯელის ერთ დღესაც კი.

უყოყმანოდ უნდა იქნას მიჩნეული, რომ ის გამომძიებელი, რომელმაც საქმე მხოლოდ გადაიკითხა, მაგრამ ამონაწერი არ გააკეთა, საქმეს არ იცნობს,

მას სრულყოფილი გამოძიების წარმოება ამ საქმეზე არ შეუძლია. ზერელე გამოძიებით კი საქმე გამოუსწორებლად ფუჭდება. სწორი იქნება, რომ გამომძიებელს, რომელიც წინასწარ ზედმიწევნით არ იცნობს საქმეს უფლება არ უნდა მიეცეს დაიწყოს გამოძიება; იგი საქმისათვის სასარგებლოს ვერაფერს გააკეთებს.

დავით ქორიძე,

საქართველოს სსრ პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

# ს ღ მ რ კ ა ტ მ ბ ი

როსტოვში გამოვიდა ს. ზვანცევის წიგნი ადვოკატების შესახებ. ამ წიგნის ლიტერატურული ღირსებანი მეტად საეჭვოა: მისი გმირები მოგვაგონებენ მუჟაოსაგან დაუდევრად გამოჭრილ ფიგურებს, რომლებიც ავტორის ნებასურვილით რაღაც უსიცოცხლო ბალავანური სვლით მოძრაობენ. ამ წიგნზე ლაპარაკი, შეხაძლოა, არც კი ღირდეს, რომ ყოველივე — უაზრო მდგომარეობაში ჩაყენებული უზადრუკი პერსონაჟებიც, მშრალი მონოლოგებიც, ავტორის მოსაწყენი გადახვევებიც — ყოველივე ეს ორგანიზებული რომ არ იყოს ვარკვეულ — არცთუ უწყინარ „შენედულებათა სისტემად“.

მოთხრობის გმირები ორ ჯგუფად იყოფიან. ერთში ფუთფუთებენ უსინდისი და ანგარებიანი მახინჯები. მათ კეთილშობილურად უპირისპირდება უანგარო გულის, თაფლისფერთვალეზიანი ახალგაზრდა შატენი. აქვეა არანაკლებ კეთილშობილი ქალი — ადვოკატი. მთელი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ საზღვარი მახინჯები იცავენ თავიანთ მარწმუნებელთ სასამართლოში, კეთილშობილი გმირები კი ამას როდეს ჩადიან. წავიდა ის დრო, ამბობს ავტორი, როცა პროკურორი და დამცველი ებრძოდნენ ერთმანეთს, როცა ერთი ამბობდა „ჰოს“, ხოლო მეორე — „არას“. ახლა პროკურორიც და ადვოკატიც — ორივენი ამბობენ, „დამნაშავეაო“; აზრთა სხვადასხვაობა არის ხოლმე, და ისიც არა ყოველთვის, მხოლოდ სასჯელის ზომის საკითხში. რა თქმა უნდა, განაგრძობს ავტორი, ისიც მოხდება ხოლმე, რომ პროკურორი ამბობს, „შავიაო“, ხოლო ადვოკატი — „თეთრიაო“; მაგრამ ცხადია, რომ ეს უკვე გუშინდელი დღეა.

აი რატომ არის, რომ ს. ზვანცევის დადებითი გმირები სასამართლოში თავიანთ მარწმუნებელთა წინააღმდეგ გამოდიან, უმატებენ იმას, რის თქმაც პროკურორს დაავიწყდა, აღწევენ იმას, რომ გამოტანილ იქნას უფრო მკაცრი განაჩენი და კმაყოფილი ხელიხელჩაკიდებული მიდიან წიგნის ფურცლებიდან საერთო ოვაციებით. ისინი მტკიცებენ არიან დარწმუნებული, „რომ სახელმწიფოს ინტერესებისათვის“ მოქმედებდნენ.

აქამდე მე ვფიქრობდი, რომ ჭეშმარიტებას — „დამცველი უნდა იცავდეს“ — მტკიცება არ ესაჭიროება.

ხოლო რა მოხდებოდა, რომ ზვანცევის „თეთრია“ განხორციელებულიყო და პროცესზე მართლაც ორი პროკურორი ყოფილიყო? უც-


ნაურია, მაგრამ სწორედ ასე მოხდა მაგდანის საოლქო სასამართლოში, როცა განიხილავდნენ ვინმე პ-ს საქმეს, რომელსაც ბრალად დასდეს ოქროს მოპარვა. ბრალდებული უარყოფდა დანაშაულს, ადვოკატი ანდრიენკო კი, პირიქით, დაჟინებით ამტკიცებდა მის დამნაშავეობას, ხოლო როცა სასამართლომ სასიკვდილო განაჩენი გამოიტანა, ადვოკატს საკასაციო საჩივარი არ შეუტანია. სამართალწარმოების პროცესში ყოველად უზემ დარღვევათა წინააღმდეგაც კი არ განუცხადებია პროტესტი.

მერე რა გამოვიდა აქედან? თვით მსჯავრდებულის საჩივრით საქმე მოვიდა მოსკოვში და მოხდა ადვოკატ ვ. ა. კირეევიან, რომელიც გააოცა იმან, რომ საქმეში ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც დაადასტურებდა პ-ს დანაშაულს ოქროს მოპარვას. მართალია, ბრალდებულს ნათელ პიროვნებას ვერ უწოდებ, შესაძლოა, რომ იგი დაკავშირებული იყო ქურდებთან, მაგრამ თვითონ მას, როგორც საქმიდან ჩანს, მოპარვა არ შეეძლო. ამრიგად, შეიძლებოდა დაეხვერიტათ წვრილმანი დამნაშავე, მაშინ როცა მსხვილი მტაცებლები თავისუფალი დარჩნენ.

არა, მართლმსაჯულება ხეროიზული საქმეა, აქ ხუმრობა დაუშვებელია. ადვოკატსა და პროკურორს შორის ფუნქციების განაწილებას ღრმა აზრი აქვს და იგი დაფიქრებულია მართლმსაჯულების ერთიან ორმხრივ ამოცანაზე. ცდილობს რა დაცვას საზოგადოება დამნაშავესაგან, მართლმსაჯულება, ამასთან ერთად, ყოველ ზომას იღებს იმისათვის, რომ უდანაშაულო არ დაისაჯოს.

ცხოვრება კი სასამართლოს ზოგჯერ ისეთ გამოცანებს უყენებს, რომ მათი ერთბაშად გამოცნობა ყველაზე კეთილსინდისიერ და გამჭრიახ იურისტებსაც კი არ შეუძლიათ. და ზოგჯერ ადამიანთა ბედის პერიპეტეები სასამართლოში ისე ტრაგიკულად წარმართება, რომ აქ წინდაუხელოაბა არათუ შეუწყნარებელია, არამედ პირდაპირ მკრებნელია.

ძნელი გასაგებია, საიდან წარმოსდგა ირონიული აზრები ადვოკატებზე. იქნებ ამაში ბრალი მიუძღვით რევოლუციამდელი წლების ნაფიც ვეჟილებს თავიანთი განთქმული „მკვერმეტყველების მარგალიტებით“? იქნებ ჩვენს ცნობიერებაში მეტისმეტად ძლიერად შეიჭრა კარენინის ადვოკატი (და მისი მოკლე ხელები, რომ-



ლებითაც ჩრჩილს იჭერს), მაშინ როცა წარსულის შესანიშნავი რუსი ადვოკატების სახეები ჩვენმა ლიტერატურამ, სამწუხაროდ, არ შემოგვინახა?

ვგონებ, დამცველისადმი ავადებულ დამოკიდებულებას — ისინი ხომ ყველა დაცვას იკისრებენო, — ცოტათი როდეს შეუწყო სელი მაგიურმა სიტყვამ „მონორარმა“ (თითქოს ადვოკატს არ შეუძლია თავისი შრომისათვის გასამრჯელო მიიღოს!). ყოველივე ეს იყო ბუნდოვანი ობივტულური მოსაზრებანი, რომლებიც წარმოშვა გარეასოციაციებმა და სამართალწარმოების არსის გაუგებლობამ.

თუ ობივტული წინდაუხედაობით თავის მოსაზრებებს ნაცნობთა წრეში იმეორებს, ეს საწყენია; თუ ამ მოსაზრებებით პრესაში გამოდის, ეს საზიანოა.

რა თქმა უნდა, ჩვენში არაკეთილსინდისიერი ადვოკატებიც არიან, მაგრამ ჩვენი დამცველების უმეტესობა წარმატებით მუშაობს, ხელმძღვანელობს რა კანონით და მისი სახელით. რომ დავანახვოთ, თუ რა შრომასა და ნიჭს, რა სხვადასხვაგვარ მიხვედრილობას მოითხოვს ეს მუშაობა, მოვიყვან სამ მაგალითს ერთი ადვოკატის პრაქტიკიდან.

ვგონის მძღლო ს-ს ოც წელიწადს დაჰყავდა თავისი ტრამვაი, და ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, სანამ კატასტროფა არ დაატყდა თავს. მისი ვაგონის ქვეშ მოჰყვა ჩვიდმეტი წლის ჭაჩუკი. სასამართლო-ტექნიკურმა ექსპერტმა დაასკვნა, რომ ს-ს შეეძლო გაეჩერებინა ვაგონი. დამცველმა ტახისია გრიგოლის ასული ლემპერტმა, რომელიც უკვე გაიმსჯალა თავის მარწმუნებლისადმი სიმპათიითა და პატივისცემით (გვქონდა ასეთი კარგი და ზუსტი სიტყვა — სიბრალული, მაგრამ იგი ეკლესიამ დაღუპა), არ დაიჭერა ეს.

მას მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა — შეემოწმებინა ექსპერტიზა, ეს კი მოითხოვდა არა მარტო შრომას, არამედ სპეციალურ ცოდნასაც. ტახისია გრიგოლის ასული ბევრს მუშაობდა. ზოგჯერ მასთან მიდიოდა დაღუბულის დედა და სასოწარკვეთილად უყვიროდა, „მკვლელებს იცავ?!“ რა უნდა ეთქვა? ტახისია გრიგოლის ასული მკვლელს იცავდა.

მან შეძლო დაედგინა, რომ ექსპერტი თავის განაგარიშებას აკეთებდა ქვეითად მოსიარულის მოძრაობის სიჩქარის მიხედვით; მაშინ როცა ჭაბუკი, რომელიც დაიღუპა, ჩქარა მოძრაობდა და, ამრიგად, ს-ს არ ჰქონდა დრო დაეხრუჭებინათ თავის. აი დამცველის ერთი ფუნქცია მრავალთაგან: საექვო გახალის თითქოს აშკარა ფაქტები...

მოსამართლენი პირველად ხედავენ ადამიანს,

რომლის ბედიც უნდა გადაწყვიტონ. ადვოკატის მოვალეობაა მოუთხროს მათ, თუ რა ადამიანია იგი. და აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ადვოკატის სულიერ გამჭირიანობაზე.

მოსკოვის ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს ა-ს ბრალად დასდეს სიფიდან ფულის მოპარვა (წარსულშიც იგი ერთხელ გასამართლებული იყო რადიოდეტალების მოპარვისათვის). ამხანაგებმა უარი თქვეს თავლებით გაეყვანათ იგი და მოითხოვეს მისი გარიცხვა ინსტიტუტიდან. გამომძიებლებმა ცოტა შრომა როდი მოანდომეს იმას, რომ ემხილებინათ დამნაშავე. ტახისია გრიგოლის ასული კი ვერა და ვერ გაეგო, თუ რატომ ჩაიდინა ასეთი დანაშაული ამ მხიარულმა, ნიჭიერმა, ჭკვიანი და სანდომიანი სახის ახალგაზრდამ.

იგი საათობით ესაუბრებოდა თავის მარწმუნებელს ყოველგვარ თემაზე, ოღონდ არა დანაშაულზე. ერთხელ ახალგაზრდამ უთხრა:

— თქვენ ჩემი მეგობარი ხართ? არ გამცემთ? — გაძლიერებ სიტყვას.

— მე მართლაც გაეტეხე სიფი და მოვიპარე. მაგრამ ტახისია გრიგოლის ასული ამ დროისათვის უკვე მიხვდა იმას, რაც გარშემო მყოფთათვის და მშობლებისთვისაც კი ღრმად იყო დაფარული. ა-ს აკვიატებული ჰქონდა თავისი რადიოტექნიკა, იმით ცოცხლობდა, ვერ ამჩვენებდა ვერავისა და ვერაფერს, არც ერთი მეგობარი არ ჰყავდა. იგი ავად იყო. მტკიცედ სწამდა, რომ აქვს შესანიშნავი „გამოგონება“, „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებისათვის“ და მზად იყო ამ ინტერესებისათვის ქურდობაც კი ჩაედინა. საბრალო შეშლილი იყო, კარგად შენდებული შეშლილობა ჰქონდა.

ამასობაში კი მომზადებულ იქნა საზოგადოებრივ-საჩვენებელი პროცესი, არც მეტი და არც ნაკლები. ხალხით გაქვდილი სააქტო დარბაზი დაძაბვისაგან გუფუნებდა. და როცა ტახისია გრიგოლის ასულმა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა მოითხოვა, ეს, რა თქმა უნდა, მიიჩნიეს (არა მარტო დარბაზმა, არამედ, ვგონებ, სასამართლომაც) ჩვეულებრივ „ადვოკატურ სრიკად“. ფსიქიატრებმა კი ცნეს, რომ ა. შეურაცხადია და იძულებითი მკურნალობა ესაჭიროება. საქმეში დამცველი რომ არ ჩარეულიყო, ადვილი წარმოსდგენია, რა სამარცხვინო იქნებოდა ეს „საჩვენებელი“ გასამართლება ავადმყოფი ადამიანისა. ადვილი გასაგებია ისიც, რომ დამცველი ნაკლებ გამჭირავსი და ნაკლებ გულისხმიერი რომ ყოფილიყო, ისიც, ისევე როგორც სხვები, გვერდს აუვლიდა დანაშაულის ქეშმარიტ წყაროს.

მესამე საქმე თავისი ფაბულით მეტად ძნელია

და მისი გადმოცემა მოკლე წერილში მხოლოდ ძლიერ ზოგადად შეიძლება.

მოქალაქე ნ. მილიციაში ძალზე მთვრალი მიყვანეს და კამერაში მოათავსეს სხვა მთვრალეებთან ერთად. აქ მას ვიღაცამ მძღვრად დაარტყა კისერში და იგი სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. დაზარალებული სავადმყოფოში სხვადასხვა ჩვენებას იძლეოდა, შემდეგ კი განიხსენა, „მგონი ლეიტენანტმა“ დამარტყეს. წარუდგინეს მილიციის ლეიტენანტი ტ. და ავადმყოფმა თქვა — სიმაღლითა და ფიგურით ჭავჭავსო. ლეიტენანტ ტ-ს წინააღმდეგ აღიძრა საქმე. მოწმე დ-მ აჩვენა, რომ იგი იმყოფებოდა კამერაში და დაინახა, როგორ შემოვიდა ლეიტენანტი ტ., სტაცა ხელი მთვრალ ნ-ს და უბიძგა ხის დივანისაკენ, რასაც ნ. ძლიერად მიეჭახა.

ტაისია გრიგოლის ასულისათვის ძნელი იყო ამ საქმის წარმოება. მოწმეთა ჩვენება სარწმუნო ჩანდა, მოსამართლეთა ბუნებრივი ზიზღს იწვევდა მილიციის მუშაკი, რომელმაც თავისი მოვლულობის შესრულების დროს, მოქალაქეს გარტყა. ადვოკატ კი მტკიცებანი საეჭვოდ მიიჩნდა. ჰერ ერთი, რაღაც უცნაურად მოახდინეს ლეიტენანტის ამოცნობა. ნაცვლად იმისა, რომ დაზარალებულისათვის წარედგინათ რამდენიმე კაცი და ეკითხათ, რომელიაო, მოიყვანეს ერთი და ჰკითხეს — ეს იყო თუ არაო. ამასთან ნ-ს არ უბახუსუნია, ეს იყო, მან თქვა, ჭავჭავსო. ბრალდების ძირითადი მოწმე სანდო არა ჩანდა. საერთოდ ადვილი როდი იყო საქმის დაჭერა ამ მოწმეებთან, რომელთა უმეტესობა გამოსაფხიზლებლის მუდმივი სტუმარი იყო. ერთნი ერთს ამბობდნენ, მეორენი-მეორეს.

დაიწყო ბრძოლა. ადვოკატმა შეძლო დამტკიცებანა აღიბი (დანაშაულის ჩადენის დროს ტ. საგუშაგოებს ამოწმებდა). პროკურატურამ კი მოაწყო საგამოძიებო ექსპერიმენტი და ამტკიცებდა, რომ ტ-ს შეეძლო ადრეც განთავისუფლებულიყო. ადვოკატმა დაამტკიცა, რომ ექსპერიმენტი სწორად არ იყო დაყენებული, ხოლო პროკურატურის გამომძიებელმა საგუშაგოების შემოვლისათვის საჭირო დრო წუთებით გამოიანგარიშა და დაამტკიცა, სამორიგეო ნაწილში შესასვლელად ტ-ს 45 წუთამდე დრო ჰქონდაო.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მხრივაც უკეთესი მდგომარეობა როდი იყო — ექიმებმა სხვადასხვა ჩვენება მისცეს, გამომძიებელი ზოგიერთ მათგანს იმოწმებდა, ადვოკატს კი სხვებისა სჯეროდა. საჭირო გახდა მესამე ექსპერტიზის დანიშვნა. სასამართლოში მიტანილ

იქნა ხის დივანიც კი, რომლის საზურგესაც თნთქოს მიეჭახა დაზარალებული.

სიმაართლე უნდა ითქვას, ორივე მხარემ მტკიცებათა საკმაოდ დამაჯერებელი სისტემა შექმნა. ბრძოლა სამ წელიწადს გრძელდებოდა. ტაისია გრიგოლის ასული იბრძოდა იმ ადამიანის ბედისა და კეთილი სახელისათვის, ვისი უდანაშაულობაც მტკიცედ სწამდა. პროკურატურას სჯეროდა, რომ ჩადენილი იყო დანაშაული, სავსებით მართებულად მიიჩნდა იგი განსაკუთრებით საშიშ, „მომეტებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის“ მქონე დანაშაულად და მკაცრ განაჩენს მოითხოვდა. დაცვა „შოს“ ამბობდა, ხოლო პროკურორი — „არას“. ამ დავაში ჭეშმარიტება უნდა უზიბილიყო. და იგი კიდევაც იშვა: დამტკიცებულ იქნა, რომ მილიციის ლეიტენანტი უდანაშაულო იყო.

დაიხ, ადვოკატი სწორედ იმისათვის არებობს, რომ სასამართლოში დაეხმაროს ბრალდებულს (რომელიც ხშირად ცუდადაც ლაპარაკობს, უფსტადაც ვერ აზროვნებს, კანონებიც არ იცის), ადვოკატმა უნდა დანახვოს მოსამართლეებს, თუ რა ადამიანს ასამართლებენ ისინი, ყოველი ბრალდებულის ინტერესების სადარჯოზე უნდა იღვეს (სწორედ ყოველისა, — კანონით ადვოკატს არ შეუძლია უარი თქვას დაცვაზე), გულდასმით შეკრიბოს და მოახსენოს სასამართლოს ყოველივე, რასაც შეუძლია გამართლოს ბრალდებულთა ან შეუშუსუბუქოს მის განაჩენი. ადვოკატმა ბრალდების მტკიცებათა ჭაჭვის თვითუფი რგოლი უნდა შეამოწმოს, და მაშინაც კი, თუ თვითონ ჰგონია, რომ მისი მარწმუნებელი დამანაშავეა, მაინც უნდა ეძებდეს მის უდანაშაულობის დამამტკიცებელ საბუთებს, ეძებდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული სასამართლო შეცდომის შესაძლებლობა. სწორედ ეს უნდა მისგან სასამართლოს, სწორედ ეს ევალება მას კანონით.

ადვოკატის უფლებათა შეზღუდვის, მის კანონიერ შემადგომლობათა უარყოფის ყოველიც და უცილობლად გამოიწვევს ჭეშმარიტების დამახინჯებას და გაზრდის მცდარი განაჩენის შესაძლებლობას.

აუცილებელია შევიგნოთ უბრალო და ღრმა აზრი კანონმდებლისა: ადვოკატიც, რომ იცავს, პროკურორიც, ბრალს რომ სდებს, ორივენი ხალხის, სახელმწიფოს, ადამიანის ინტერესებს იცავენ.

ო. ჩაიკოვსკაიბი  
„იზვესტია“, 1963 წლის 22 მარტი  
თარგმანი ბ. ლეჟავასი



## გულისხმიანი და გულგაბრუნებული პლაზმანი

1

**მარტია.** ამინდი ჭირვეულობს. დილის მზე მალე ქარაშოტმა შეცვალა, შუადღისას კი წვიმა წამოვიდა. და ამის მიუხედავად არავის გაუკვირდება, თუ ღამე ისევ ვარსკვლავებით მოჭედავს ცის ტატნობს, ან თუ დილით სახლების სახურავებზე ბარაქიანი თოვლი დახვდება.



მაინც სხვანაირი იყო ეს ზამთარი. იანვარ-თებერვალი ისე გაიპარა, რომ თბილისელთათვის ზამთარი არ უგრძნობინებია... როგორც არ უნდა იყოს მარტი, იგი მაინც გაზაფხულის პირველი თვეა, პირველი მახარობელი. შენობაში აღარ დაიდგომება, გარეთ გაზაფხულის სურნელით გაყენებული ჰაერი ანდამატივით იზიდავს ადამიანს.

საბჭოს მოედანზე მდებარე შენობიდან გამოვიდა და ტროტუარზე წამით დაყოვნდა მალალი, ცისფერთვალეა, ჭანდომიანი სახის, სადაც ჩაცმული

ქალი. მან თვალის ერთი მოვლებით შეათვალა ნაცნობი ადგილი — საბჭოს მოედანი და ხალხის დინებას გაჰყვა. ქუჩებში რაღაც არაჩვეულებრივი ხმაური იყო და ეს ენიშნა კიდეც. ლუბას სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

„გაზაფხულის ფეხის ხმას პირველად ქალები ავყვებით ხოლმე, ახლა ალბათ ყველა რვა მარტისთვის ემზადება. დღესასწაული ქალებისაა, მაგრამ მამაკაცებს უფრო მეტი საზრუნავი აქვთ ამ დღეს“, — გაიფიქრა. როგორც ყველა ქალს, მასაც აინტერესებდა ვინ იქნებოდა ის მამაკაცი, რომელიც მას პირველთაგანი მოულოცავდა ქალთა საერთაშორისო დღეს... დარწმუნებული იყო, რომ მის პირად ფოსტაში კვლავ ბევრი იქნებოდა ამხანაგებისა და მეგობრების წერილი, მოლოცვის დეპეშაც და... ალბათ ბევრი უცნობის ბარათიც, მაგრამ თვალნათლივ მორთმეული პატარა თაიგული მაინც ყველაფერს სჯობია...

— ფრთხილად! — მოესმა უეცრად მანქანის ფანჯრიდან, რომელიც იქვე მოსახვევიდან გამოდიოდა. ქალმა ძლივს დალანდა საჭესთან მჯდომი ტაქსის მძღოლის უკმაყოფილო სახე. მიმოიხედა... მიხვდა, იმ ადგილზე კვეთდა მაგისტრალს, სადაც გადასასვლელი არ იყო. უხერხულად იგრძნო თავი, მის არსებობაში პროფესიულმა ალღომ გაიღვიძა, ერთგვარად გაიპარა მომხდარი. — ქუჩა მძღოლის სამუშაო ადგილია, ქვეითად მოსიარულენი კი თავისი დაუდევრობით ხელს უშლიან მათ საქმიანობას. თუნდაც ის ბავშვები, ნინოშვილისა და მერკვილაძის ქუჩების შესაყართან რომ დარბიან, როგორ საფრთხეს უქმნიან თავის თავს, ტრანსპორტელებსაც აბრკოლებენ. მათი მიზეზით, რომ შემთხვევა მოხდეს, ვილა-

ცამ პასუხი უნდა აგოს. ლუბა შეჩერდა, პატარებს დაუწყო თვალთვალი. მათ არ გამოპარვიათ უცნობი ქალის დაჟინებული მხერა და სათითაოდ სახლებსაკენ გაილაღნენ.

## 2

**კალინინის** ქუჩაზე გაჩერებამთან ბევრი ხალხი უცდიდა ტრამვაის.

როცა მწვანე ფერის კრიალა ვაგონი ლუბას წინ შეჩერდა, ვიღაცამ გზა დაუთმო, შესვლა შესთავაზა.

— დღეს თქვენი დღეა, — თქვა ჰალარა კაცმა და მას ფეხდაფეხ მიჰყვა.

„დღეს ჩვენი დღეა? ნუთუ სხვა დროს კი არ დამითმობდა“ — გაიფიქრა, თუმცა მის ბაგეებს მხოლოდ მადლობა აღმოხდა.

შუა ვაგონში სკამზე დაჯდა. ტრამვაი დაიძრა. ყრუ გრუხუნში აქა-იქ გაისმოდა კონდუქტორის სიმკაცრენარევი კილო, — ბილეთები შეიძინეთ, წინ წაიწიეთ, შუა ვაგონში ნუ შეჯგუფდებით.

ლუბამ ფული გადააწოდა კონდუქტორს.

— თქვენი ბილეთი აღებულია, — თქვა კონდუქტორმა და ფული დაუბრუნა.

— აღებული?...

კონდუქტორმა ვაკვირვებულ ქალს ვაგონის წინა ბაქანზე მდგომი მამაკაცისკენ ანიშნა თვალებით. ლუბა ბრელიძისა და უცნობის მხერა წამით ერთმანეთს შეხვდნენ. უცნობმა უხერხულობის დასაფარავად მორიდებით გაიცინა. ქალმა მადლობის ნიშნად თავი ოდნავ დაუქნია, თუმცა ვერ მიმხვდარიყო ვინ იყო იგი. მალულად კიდევ ერთხელ შეათვალეორა ორმოციოდე წლის მამაკაცი, რომელიც მას მხერას არ აცილებდა.

სად უნახავს ეს თვალები? რაღაცას კი აგონებს, მაგრამ ვერ წარმოუდგენია ვინ არის იგი. არასოდეს უღალატნია მეხსიერებას მისთვის. მის წარმოდგენაში

გაქრა დროისა და სივრცის შორებით და წარსული ხელმეორედ მოვლენილი სინამდვილესავით გაცოცხლდა მის თვალწინ.

არა, სკოლის ამხანაგები სათითაოდ ახსოვს, არც ბათუმის პედინსტიტუტში იყო ასეთი. ომის წლებმაც კინოკადრით გაიელვა მის გონებაში. ინსტიტუტის მყუდრო კედლებისა და მოკრძალებული მოვალეობის ნაცვლად 5 წლის მანძილზე მოხალისედ წასული ბრძოლის ველზე, თვითმფრინავებისა და ყუმბარების გრუხუნში, ტყვიების ქარცეცხლში, სიკვდილთან ბრძოლას უნდებოდა. მათ ბატალიონში მხოლოდ ქალები იყვნენ. მარტო მეთაური იყო მამაკაცი და ისიც საკმაოდ ხნიერი. ჯარიდან აუცილებლად დაამახსოვრდებოდა, რადგან ლუბას ყველა იცნობდა. უყვარდათ თვალის ჩინივით, იგი ხომ ყველაზე მოწინავე იყო საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

უნივერსიტეტის დღეებიც არ არის შორეული. და აი, წ წელიწადია ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლეა. ვერ მოიგონა...

— ბარათაშვილის ხიდი! — გამოაცხადა გაჩერება კონდუქტორმა და ლუბა აჩქარდა. კარებთან უცნობი აღარ იყო. ძლივს მოასწრო ძირს ჩასვლა. ტრამვაის ვაგონი გრიალით შეუდგა ბარათაშვილის აღმართის დამოკლებას.

— დღესასწაულს გილოცავთ ქალბატონო ლუბა, — მოესმა ანაზღად და უცებ შემობრუნდა. მის წინ კვლავ ის უცნობი იდგა. იგი მღელვარებისაგან ხელში ქუდს ჭმუჭნიდა.

— გმადლობთ, — უპასუხა ლუბა ბრელიძემ და სერიოზული გამომეტყველება მიიღო. მამაკაცი მიხვდა, რომ მდგომარეობა შეუსაბამო იყო და ისევ აღელვებით, ჩქარ-ჩქარა დაიწყო:

— თქვენ ცხადია ვერ მიცანით, მე ფიფია ვარ, შოთა ფიფია, გასსოვთ, ეს სამი წლის წინ მოხდა... ჩემი საქმე სამ-



ჯერ დაუბრუნდა ძიებას. ტროლეიბუსში ქალის გაძარცვას მახსოვდა...

ახსოვს, როგორ არ ახსოვს ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი ახსოვს...

— ჰო, გიცანით, როგორ არა, ახლა რასა იქ — მოიკითხა ყოფილი ბრალდებული მოსამართლემ.

— რუსთავში ვცხოვრობ, ვმუშაობ, ცოლ-შვილი მყავს, ყოველთვის მადლობით მოგიგონებ...

### 3

**3** ვლავ აეკვიტა ფიქრები ლუბას. შოთა ფიფია მართალი იყო და ლუბამ იცის, რომ ჩვენი სასამართლო გამართლებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო მოსამართლე. მეტად დიდი და საპატიო ამოცანა აკისრიათ სამართლის მსახურთ. თუ საქმეს ზედმიწევნით, გულისხმიერებით არ მოეკიდნენ და ღრმად არ ჩასწვდნენ მის არსს, შეიძლება უდანაშაულო ადამიანი დასაჯონ. ეს კი დიდი ბოროტებაა, მარტო კანონის წინაშე კი არა თვით ხალხის წინაშე.

ლუბა ბრელიძისათვის მოსამართლეობა არ არის მხოლოდ პროფესია. მას არ შეუძლია ცხოვრება თავისი საქმის გარეშე. სიმართლისათვის ბრძოლით,

ჭეშმარიტების ძიებითაა გამსჭვალული მთელი მისი არსება.

ლუბას უდიდესი სურვილია დააჯეროს ყოველი გზასაცდენილი თავის შეცდომაში. დაარწმუნოს ყველა ადამიანი წესიერი, პატიოსანი ცხოვრებითა და შრომით გამოწვეულ სიხარულში.

ყოველი დამნაშავე ჩვენი ცხოვრების, საქმიანობის ხარვეზია, ამიტომაც არის, რომ ადამიანის აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრიობას. ჩვენში ამიტომაც მიანიჭეს საზოგადოებრიობას დიდი როლი და უფლებები.

კანონი მშრომელთა მყუდრო ცხოვრებას იცავს.

ამ კანონს პირნათლად ემსახურება ლუბა ბრელიძე, გულმართალი და ადამიანური ადამიანი. ახლა როცა შინ მივა არ გაუკვირდება თუ ნახავს კონვერტებს უცნობი ხელით დაწერილს. მას ხომ ძალიან ბევრი ადამიანი უხდის მადლობას გულითადობისათვის და კიდევ იმისთვის ცხოვრების სწორი გზა რომ მიუთითა.

ლონდა ჯანჭურია.  
ვაყვალა ვაყელიშვილი,

## უზროსი ნოვაკიუსი—თ. მოღვაძე

დილის ცხრა საათია, მაგრამ თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის წინ უკვე საკმაო ხალხს მოუყრია თავი.

უფროსი ნოტარიუსის კარები იღება. თინათინ მოღვაძესთან პირველად შავთავსაფრიანი ხნეირი ქალი შედის.

დაბრძანდით, — ღიმილით ეუბნება მას თ. მოღვაძე.

გულისხმიერი მიღებით კმაყოფილი შავოსანი ქალი წყნარად ჰყვება თავის ამბავს. მას სჭირდება სამემკვიდრო მოწმობა სამამულო ომში დაღუპული შვილის ქონებაზე.

მთხოვნელები რიგ-რიგობით შემოდიან. ყველას სხვადასხვა საქმე აქვს... თინათინი ყურადღებით უსმენს მათ, უხსნის თითოეულს, რა უფლებებს ანიჭებს მათ კანონი, აძლევს რჩევა-დარიგებებს; ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება დასამოწმებელი ვარიგებისა და შესამოწმებელი დოკუმენტების შინაარსი კანონის მოთხოვნებს.

პატივისცემით ეკიდებიან მას მთხოვნელები: „დიდად გმადლობთ, ნახვამდის!“ — მაღლიერებით ემშვიდობებიან თინათინს. „ნება მომეცით გამოვთქვა ჩემი უდიდესი აღფრთოვანება ხალხისადმი ესოდენ გულთბილი და ყურადღებიანი დამოკიდებულებისათვის“ — ასე იწყება წერილების უმრავლესობა, რომელიც მას ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოსდის. ეს კი დიდი სიხარულია თინათინისათვის, მისი შრომის ყველაზე ძვირფასი შეფასებაა.



1939 წელს დაამთავრა თ. მოღვაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, რის შემდეგ თავისი მომავალი საქმიანობა დაუკავშირა იურისპრუდენციას. პირველ ხანებში იგი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კონსულტანტია. 1941 წლის ივნისის თვეში, რესპუბლიკის პროკურორის ბრძანებით, თ. მოღვაძე ინიშნება ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურორის თანაშემწედ, ხოლო შემდეგ ლენინის რაიონის პროკურორის თანაშემწედ განაგრძობს მუშაობას.



1952 წლის მარტიდან თ. მოდებაძე ქ. თბილისის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის უფროსი ნოტარიუსია. კარგად დაეუფლა იგი ნოტარიუსის საქმიანობის ყოველგვარ წვრილმანს. მთელ კოლექტივთან ერთად იგი ენერგიას არ ზოგავს, რომ გარიგებათა სანოტარო წესით დამოწმება და სხვა სანოტარო მოქმედებანი კანონიერად შესრულდეს.

მრავალ მადლობას იმსახურებს თ. მო-

დებაძე საზღვარგარეთის იურიდიულ კოლეგიიდან, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოდან, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან...

შინაარსიანია შრომისმოყვარე საბჭოთა ქალის — უფროსი ნოტარიატის თ. მოდებაძის ბიოგრაფია, მისი ცხოვრება, საქმიანობა.

ლავარა ისაკაძე.

## მკვდელთა ხმელნიცის მოედანზე

1

ეს ამბავი ჩვენს დედაქალაქში მოხდა, ბოვან ხმელნიცის მოედანზე. 1960 წლის 10 ოქტომბერს თენგიზ წიქარიშვილი თავის ამხანაგებთან — ფაბრიკის მუშებთან ერთად, ხმელნიცის მოედანზე მდებარე გასტრონომიულ მაღაზიაში შევიდა. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ღვინო და საწოვავე შეეძინათ, რათა შემდგომ დრო გაეტარებინათ.

მეგობრებმა შეგროვილი ფული მუხტარ სიუნივეს გადასცეს, რიგში შენ დადექი, იყიდე და გადმოგვაწოდო. მუხტარი რიგში დადგა და ლოდინი დაიწყო.

ამ დროს მაღაზიაში ხმაურით ახალგაზრდების ჯგუფი შემოვიდა, ილანძღებოდნენ, ეტყობოდათ ნასვამები იყვნენ. მათ გამყიდველს ბორჯომის წყალი მოთხოვეს უცებ ჯგუფს ერთი დაბალი ტანის ახალგაზრდა გამოეყო, რიგში მდგომ მუხტარს მიუახლოვდა, უკან ამოუდგა და ჯიბეში ხელის ჩაყოფა დაუწყო. მუხტარმა ეს იმწამსვე იგრძნო, ავაზაკს ხელი გადაუტრიალა და კედელთან მიადგო. მაგრამ ქურდმა უკან როდი დაიხია. ადვილს მოწყდა და მუხტარს სახეში სილა გააწუნა. ჩხუბში თენგიზ წიქარიშვილიც ჩაერია; მან მოჩხუბრათა გაშველება სცადა, მაგრამ ამოუღ. ავაზაკის მთვრალი ამხანაგები თენგიზს მისცივე-



დნენ და ცემა დაუწყეს. თენგიზის მისაშველებლად მისმა მეგობრებმა წაიწიეს. ყველაფერი აირია. მოჩხუბრები მაღაზიიდან ქუჩაში გამოვიდნენ, მათ ირგვლივ ხალხი შეგროვდა, ვერაგინ ბედავდა ახლო მისვლას, ვიღაც მილიციის მუშაის მოსაყვანად გაიქცა. მთვრალეებმა დანა დაატრიალეს. მოჩხუბრები ერთ ბირთვად შეიკრენ.

უცებ საშინელი ღრიალი მოისმა — ვაიმე მომკლეს მიშველეთო.

მოჩხუბრები მიმოიფანტნენ და ხალხს თვალწინ შემზარავი სურათი წარმოუდგა — თენგიზ წიქარიშვილი მუხტარზე ჩაჩოქილიყო, სახე გაისხლიანებოდა, თავში დანა ჰქონდა ჩარჭობილი. იგი არაადამიანური ხმით ბლაოდა, შველას ითხოვდა. მეგობრები მისცივედნენ, თავიდან დანის ამოღება სცადეს, ვერ შეძლეს. თენგიზი ასფალტზე გაიშოტა. გრძობა დაკარგა. სასწრაფო დახმარების მანქანას გამოუძახეს, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ უკვე გვიან იყო — იგი გზაში გარდაიცვალა.

2

ვინ იყვნენ ის ახალგაზრდები, მთვრალეები რომ შეიჭრენ მაღაზიაში, მათგან რომელია მკვლელი, ნუთუ არც ერთი დამსწრეთაგანი არ იცნობს მკვლელს — უკვე მერამდენედ ფიქრობდა ამ საკითხებზე გამოძიებელი ილია დავარაშვილი და თენგიზ წიქარიშვილის მხეცური მკვლელობის საქმეს დიდხანს ათვალთვლებდა, თითქოს და მისი ზეპირად შესწავლა უნდაო.

საქმესო ვამბობთ, თორემ, ისე სულ ქაღალდის რამდენიმე ფურცელი ედო გამოძიებელს წინაშე შემთხვევის ადგილის დათვალთვლების ოქმი, გვამის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის აქტი, მოწმეთა ახსნა-განმარტებები და აგრეთვე ნივთმტკიცება — დანა, რომლითაც თენგიზ წიქარიშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს.


ი. დავარაშვილმა დანა კიდევ ერთხელ დაათვალთვრა დაკვირვებით. მეწადის კუსტარული დანაა, ასე, რომ ადვილი შესაძლებელია ბრალდებული სწორედ ამ პროფესიის კაცი იყოსო, ხმამალლა ჩაილაპარაკა, კარები გამოხურა და დერეფანში გამოვიდა პროკურორთან შესასვლელად. წინ უცნობი შეეჩეხა, ვიღაცას ეძებდა.

— თქვენ ხომ არ იცით ახალგაზრდავ, რომელი გამოძიებელი იძიებს მკვლელობის საქმეს, ამ რამდენიმე დღის წინათ, რომ მოხდა ბოვან-ხმელნიცის მოედანზე?

— რად კითხულობთ, საქმე გაქვთ მასთან?

— დიას, რაღაც მინდა ვუთხრა.

— შემობრძანდით, მე მაქვს ეს საქმე, მიუგო ილია დავარაშვილმა მისულს, თავის სამუშაო ოთახში შეუძღვა და მოსასმენად მოემზადა.



ის საშინელი მკვლელობა რომ მოხდა... თუმცა პოლიში, ჩემი ვინაობა არც კი მითქვამს, მშენებელი ვარ, დურგალი, სატრანსპორტო კანტორაში მუშაობთ თქვენს რაიონში — მოსულმა თავის ვინაობა დასახელა. იმას ვამბობდი მკვლელობა, რომ მოხდა, მე იქ ვიყავი, უფრო სწორად ბოლოს მივედი. ხოდა გაქცეულებს შორის ერთი ჩემ ნაცნობად ამოვიცანი, არა მგონია მემუღებოდეს, ის უნდა იყოს.

— რა გვარია, სად ცხოვრობს? — მოუთმენლად შეეკითხა გამომძიებელი და სახეზე აღელვება დაეტყო.

— ამაშია საქმე, რომ გვარი არ ვიცი, გვარი კი არა სახელიც არ ვიცი.

— მაშ როგორ? — გაიკვირვა დავარაშვილმა.

— ჩვენთან მუშაობდა მშენებლობაზე, შარშან ხუთსართულიან სკოლას რომ ვაშენებდით ორთა-ქალაში.

— სახეზე როგორია, ამიწერეთ.

— დაბალი ტანისაა, შავგვრემანი.

— რომელ თვეში მუშაობდა თქვენთან?

— მთელი ზაფხული, დამხმარე მუშად იყო.

გამომძიებელმა დაკითხვის ოქმი შეავსო, მოზულს ჩვენებაზე ხელი მოაწერინა, მადლობა გადაუხადა. ალბათ მალე გამოგვიძახებთ უთხრა და პროკურორის კაბინეტისაკენ გასწია. გზაში ფიქრობდა — ბევრია ჩვენში პატიოსანი კაცი, ხალხი, რომ არ გვეხმარებოდეს მუშაობა გავგიჭირდებოდით. ეს პატიოსანი კაცი კი უზრალო დურგალი ვანო გორგაძე იყო.

### 3

მეორე დღეს გამომძიებელი სამშენებლო სამმართველოში გამოცხადდა. გაგება სურდა რამდენი კაცი მუშაობდა გასულ წელს სკოლის მშენებლობაზე, მათი გვარები და სახელები უნდა შეემოწმებინა.

— გვარი და სახელი თუ არ იცით, ისე მოძებნა გავგიჭირდებათ ყმაწვილო, უთხრა სამმართველოს მუშაკმა, თეთრ თმაზე ხელი გადაისვა და სათვალეების ზემოდან გადმოხედა.

— მაინც რამდენმა კაცმა იმუშავა ამ პერიოდში, თუ გახსოვთ?

— ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დამხმარე მუშა ხუთასზე მეტი იქნებოდა, დენადობა დიდი იყო.

— ხუთასი?

— დიახ, ხუთასი. ბევრია არა?

— რატომ, ორი მაგდენი რომ იყოს მე მაინც უნდა ვეძიო — უბასუხა და ქაღალდებს მიუჯდა. დიდხანს იწვალა. ჯერ ქალები გამოითიშა. შემ-

დეგ მოხუცები. დარჩენილ ახალგაზრდებთან ზოგი ქერა იყო და ეხლაც იქ მუშაობდა. რამდენიმე დღის შემდეგ თანაშრომელთა სია მთლიანად რომ „გაცხრილა“, რამდენიმე ყმაწვილზე შეჩერდა. მან გადაუწვიტა ეს პირები განსაკუთრებით შეესწავლა, გაეგო მათი საქმიანობა, წარსული.

ერთი კვირის შემდეგ ცნობები მიიღო. გამოირკვა, რომ ერთი მათგანი ალექსანიანი ნასამართლელი იყო ქურდობაზე.

დავარაშვილს აღარ დაუყოვნებია, მეორე დღისათვის პროკურატურაში მოწვე გორგაძე მოიხმო. თვითონ კი ალექსანიანის მოსაყვანად გასწია.

ამ უკანასკნელმა დაკითხვაზე კატეგორიულად უარყო რაიმე მონაწილეობა მკვლელობის საქმეში. იმ დღეს ხმელნიცის მოედანზე სულ არ გამოვილიათ, მაგრამ დაპირისპირების დროს ვანო გორგაძემ რომ ამოიციო და პირზე დაადგა — შენ გნახე მოჩხუბართა შორისო, იძულებული გახდა სიმართლე ეთქვა. მართალია იქ ვიყავი, ვიჩხუბე კიდეც, მაგრამ მე არც დანა მქონია და არც არავინ მომიკლავსო.

— მაშ ვინ არის მკვლელი, ის ხომ შენთან იყო. შენი ამხანაგია, უმჯობესია დაასახელო, მკაცრად მიმართა გამომძიებელმა.

— გვარი არ ვიცი, არც სახელი, ჩემმა ნაცნობმა რობერტმა გამაცნო იმ დღეს, ასე, რომ მის შესახებ არაფერი ვიცი.

— რობერტიც თქვენთან იყო არა? — ის ვინაა არის, რა გვარია, სად ცხოვრობს?

— არც მისი გვარი ვიცი, მშენებლობაზე შეხვდი, იქ გავიცანი.

— შენ რაღაც უცნაური მახსოვრობა გქონია, ყველას იცნობ, მაგრამ გვარი კი არც ერთის ვახსოვს, ვითომ დაგიჯერო ასეთი გულმაგიწყობა?

— ნამდვილად ასეა, პატრიცეპული გამომძიებელი, ტყუილს არ ვამბობ. მას შემდეგ რაც ის ამბავი მოხდა, მოსვენება დავკარგე, მეც ვნანობ ასეთ დიდ ცოდვაში რომ ვურევივარ. მათი გვარები რომ ვიცოდე არ დავმალავ.

— ეს მაინც არ გახსოვს რომელ მშენებლობაზე მუშაობდა ის შენი რობერტი?

— როგორ არა, ვაკეში მუშაობდა შარშან ზამთრის საცურაო აუზის მშენებლობაზე.

ილია დავარაშვილი მეორე დღეს დასახელებული მშენებლობის ხელმძღვანელებს ესაუბრებოდა, საქმის გარემოებას აცნობდა.

გამომძიებლის დასახმარებლად კომკავშირული აქტივი გამოიყო. ყველა პირადი საქმე და განცხადება გადასინჯეს, რობერტსაც მიაგნეს. გამომძიებლის წინ ალექსანიანის მიერ აღწერილი ახა-

ღვარდა იჯდა, რომელიც ალექსანიანის გარდაგასტრონომიული მაღაზიის გამყიდველებმა და თენგიზის ამხანაგებმაც ამოიცნეს. იგი მიხვდა, რომ უარის თქმა არ გაუვიდოდა და მკვლელობაში მონაწილეობა ვედარ დამალა. თუმცა განაცხადა, რომ მკვლეელი მე არა ვარ, დანა არასდროს მჭერია ხელშიო.

— მაშ ვინ არის მკვლეელი, ეგებ არც შენ გახსოვს მისი გვარი და სახელი, ის ხომ შენთან იყო, ერთად ქეიფობდით.

— რა ვქნა, ალბათ არ დამიჯერებთ, მაგრამ გვარი არ ვიცი, არმენაკა ჰქვიან, მეწაღეა, ქალაქელია.

გამომძიებლის წინ ახალი სიძნელები წამოიჭრა. იცოდა ბევრი წვალემა ელოდა, ძნელი იყო თბილისში მართო სახელით მეწადის პოვნა, მაგრამ მას წარბი არ შეუხრია. ჩვეული ენერგიითა

და გულმოდგინებით შეუდგა მთავარი დამნაშავეის ძებნას. მილიციის განყოფილებებს დაუკავშირდა.

ბევრი ეძება და ბოლოს შედეგსაც მიადწია — მკვლეელი პროკურორის კაბინეტში ყავდა შეყვანილი და კითხავდა.

არმენაკ კაზარიანი ხმას არ იღებდა. ჯიუტად უარობდა დანაშაულის ჩადენას, მაგათ ჩემი ინტერესი აქვთო, ბოლოს დაპირისპირების დროს ოცი კაცი რომ დაადგა პირზე — დანით ხელში შენ გნახეთ, შენ დაარტყიო, ყველაფერი აღიარა. მეოთხე მონაწილეც დაასახელა.

მკვლეელი დახვრიტეს. დანარჩენმა ბრალდებულებმაც მიიღეს ღირსეული სასჯელი.

საზოგადოება კმაყოფილი შეხვდა სასამართლოს განაჩენს

ოთარ მგელაძე

# ლუარსაბ ანდრონიკაშვილი როგორც პოლიტიკური და მხატვარი

თ. წარეთელი

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მრავალფეროვანმა მოღვაწეობამ ღრმა ცვალი დატოვა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. იგი იყო საქართველოში იურიდიული განათლების



ფუძემდებელი და ორგანიზატორი, შთაგონებული ლექტორი და თავდადებული პედაგოგი. მან აღზარდა საქართველოში მეცნიერი და პრაქტიკოსი იურისტების პირველი კადრები; იგი იყო უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების კომპეტენტური მრჩეველი იურიდიულ საკითხებზე და არა ერთხელ გაუწევია საბჭოთა სახელმწიფოსათვის დიდი სამსახური, განსაკუთრებით უცხოეთის მსხვილ საწარმოებთან წამოჭრილი დავების განხილვის დროს. ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მონაწილეობდა საბჭოთა საქართველოს მრავალი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის შემუშავებაში. წარსულში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იყო ქალაქ ბაქოს უცვლელი იურისკონსულტი, ხოლო სხვადასხვა დროს — ქ. პეტერბურგისა და ქ. ბათუმის იურისკონსულტიც. ამავე დროს იგი იყო გამოჩენილი დამცველი პოლიტიკურ საქმეებზე. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის როგორც პოლიტიკური დამცველის მოღვაწეობის შეძლებისდაგვარად გაშუქება წარმოადგენს ამ წერილის მიზანს.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი 1892 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. 1894 წელს იგი ტოვებს პეტერბურგს და ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება გერმანიაში, სადაც ისმენს ფილოსოფიის კურსს ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში კუნო ფიშერთან, ხოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტში — ვინდელბანდთან. იმავე დროს იგი ისმენს გამოჩენილი გერმანელი იურისტების — ელინგის და ლაბანდის ლექციებს სახელმწიფო სამართალში. 1897 წელს ლ. ანდრონიკაშვილი უბრუნდება პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, რომელსაც 1899 წელს ამთავრებს.

როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში ლ. ანდრონიკაშვილს ჰქონდა შესაძლებლობა დარჩენილიყო უნივერსიტეტში საპროფესოროდ მომზადებისათვის.

მაგრამ ანდრონიკაშვილს იმ პერიოდში უხდება სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც რუსეთი, ვ. ი. ლენინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „რევოლუციით იყო ფეხშიძი“. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა მოსახლეობის ფართო ფენები. მეფის ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციონერებს — გაფიცულებს, დემონსტრანტებს, აჯანყებულებს, მიმართავდა მასობრივ რეპრესიებს, გადასახლებებს და სხვ. ლ. ანდრონიკაშვილი არ შეიძლებოდა გულგრილი დარჩენილიყო ამ მოძრაობისადმი. იგი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე 1899 წელს ეწევა პეტერბურგის დავოკატურაში, რათა რევოლუციონერთა დაცვით თავისი წვლილი შეეტანა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

იგი მაშინვე აღმოჩნდა იმ მოწინავე ახალგაზრდა ნაფიც ვექილთა თანაშემწეების „მემარცხენი“ ჯგუფში, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეობა მიეღო თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. სწორედ ამ ჯგუფმა პირველმა შექმნა 1900 წელს შლისელბურგის ტრაქტზე და ვასილიევის კუნძულზე მუშებისა და საერთოდ ღარიბი მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად ეგრეთ წოდებული „კონსულტაციები“. „კონსულტაციების“ ორგანიზატორთა რიცხვში ლ. ანდრონიკაშვილსაც ეხებათ.

1901 წელს სასამართლოებს დაუბრუნდა გან-

სახილველად სახელმწიფო დანაშაულთა საქმეები. რომლებიც ვერა ზასულაიძის გამართლების შემდეგ ამოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა იურისდიქციიდან და მიფის კანცელარიის III განყოფილებას ჰქონდა გადაცემული. ამასთან დაკავშირებით „მემარცხენე“ ნაფიც ექვთია ჯგუფი, რომელშიც შედიან ზარუდნი, სოკოლოვი, ძმები ბერენშტამები, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და სხვ., ჰქმნის „პოლიტიკურ დამცველთა კოლექტივს“.

პოლიტიკურ დამცველთა „მემარცხენე“ ჯგუფი მარტო ვიწრო პროფესიული ამოცანის განხორციელებით როდი კმაყოფილდებოდა, არამედ ცდილობდა პოლიტიკური დაცვა საზოგადოებრივ სამსახურამდე აქმედებინა. სასამართლო პროცესი უნდა ყოფილიყო გვარძელება იმ საქმისა, რისთვისაც რევოლუციონერი საბრალდებო სკამზე მოხვდა. დამცველის სკამი გამოყენებული უნდა ყოფილიყო როგორც ტრიბუნა რევოლუციური იდეების პროპაგანდისათვის, საზოგადოებრივი აზრის გაღვივებისა და გააქტივებისათვის. ამისათვის კი საჭირო იყო დაცვის იდეური სოლიდარობა განსასჯელებთან, დაცვის ფუნქციის ისეთი განაწილება, რომ საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა ამომწურავად ყოფილიყო გაშუქებული პროცესის მსვლელობაში.

1899 წელს ჩაეწერა ანდრონიკაშვილი პეტერბურგის ადვოკატურაში და სულ მოკლე ხანში სახელეო გაითქვა როგორც ერთ-ერთმა საუკეთესო პოლიტიკურმა დამცველმა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მიერ სასამართლოში წარმოთქმული სიტყვები, ისევე, როგორც სხვა პოლიტიკურ დამცველთა სიტყვები, არ დარჩენილა. ეს გასაგებია: მეტად მოკლე ვადები, რომლებიც დანიშნული იყო საქმის მოკვლევისა და გამოძიებისათვის, მით უმეტეს გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმის გასაცნობად, არ აძლევდა პოლიტიკურ დამცველებს შესაძლებლობას წინასწარ მოემზადებინათ არათუ მთელი სიტყვა, არამედ მისი ცალკე ნაწილებიც კი. ამიტომ ჩვენ გვიხდება ლუარსაბ ანდრონიკაშვილის გამოსვლების აღდგენა იმ ცოტაოდენი ცნობების მიხედვით, რაც მაშინდელ ლეგალურ თუ არალეგალურ პრესაში ქვეყნდებოდა, დამსწრეთა მოგონებების, თვით ანდრონიკაშვილის ნაამბობისა და მის არქივში დაცული სიტყვების ზოგიერთი მონახაზების მიხედვით. რა თქმა უნდა, ეს მასალა ვერ მოგვცემს სრულ სურათს იმ შთაბეჭდილებისა, რომელსაც ლ. ანდრონიკაშვილი ახდენდა თავისი გამოსვლებით მოსამართლეებზე და დამსწრე საზოგადოებაზე.

რა თვისებები ახასიათებდა ანდრონიკაშვილს როგორც პოლიტიკურ დამცველს?


ლუარსაბ ანდრონიკაშვილი არ იყო იურისტი — პრაქტიკოსი ამ სიტყვის ჩვეულებრივი გა-

გებით. იგი იმ მეცნიერ იურისტთა წრეს ეკუთვნოდა, რომელიც პრაქტიკულ საქმიანობას მეცნიერული ცოდნით აძლიერებდა და ასაზრდოებდა და რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები რევოლუციამდელ რუსეთში სპასოვიჩი, კონი და არსენიანი იყვნენ. საფუძვლიან ფილოსოფიურ და იურიდიულ განათლებას, რომელიც ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ჰქონდა მიღებული, ავსებდა ზედმიწევნითი ცოდნა როგორც რუსეთის, ისე უცხოური კანონმდებლობისა და სამართლის ზოგადი ისტორიისა. ამავე დროს ლუარსაბ ანდრონიკაშვილს ახასიათებდა ზუსტი და ღრმა იურიდიული ანალიზისა და იურიდიული კონსტრუქციების ჩამოყალიბების უნარი. მას ემარჯვებოდა სამართლის ნორმების დასაბუთებული განმარტება, მტკიცებულებათა დამაჯერებელი ანალიზი და მთელი საქმის იშვიათი პროგნოზი.

ლ. ანდრონიკაშვილის როგორც სწავლული იურისტის თვისებები ვანსაკუთრებით ძვირფასი იყო იმ პერიოდისათვის, როდესაც ლუარსაბი მოღვაწეობდა. თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე დამცველები უშთავრესად მოსამართლეთა გრძნობებს მიმართავდნენ, საგანგებო საკრებულოებში და სამხედრო სასამართლოშიც, სადაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილს უხდებოდა გამოსვლა, დამცველები უფრო პროფესიული ენით ლაპარაკობდნენ. ვინაიდან აქ მათ სპეციალისტი-იურისტებთან ჰქონდათ საქმე, პოლიტიკურ დამცველთა მეცნიერული მომზადება განსაკუთრებით საჭირო შეიქნა 1904 წლის შემდეგ, როდესაც ძალიან შევიდა 1903 წლის სისხლის სამართლის სჯულების დადგენილებანი სახელმწიფოებრივ და მმართველობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესახებ. ახალი კანონმდებლობის თაობაზე ჯერ კიდევ არ იყო შეთქმავებული სენატის პრაქტიკა, რომლის გადაღება წინათ დამცველებისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ეს გარემოება შესაძლებლობას აძლევდა დამცველებს ერთგვარი უეჭოქმედება მოეხდინათ ახალი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე. ამ შემთხვევაში ლ. ანდრონიკაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა.

ახასიათებდა რა ანდრონიკაშვილის პრაქტიკულ საქმიანობას, გამოჩენილი ცივილისტი, პროფ. იური გამბაროვი წერდა, რომ ანდრონიკაშვილის მიერ „წარმოთქმულმა დასაცავმა სიტყვებმა და ძლიერად მოტივირებულმა დასკვნებმა ეგრეთ-წოდებულ პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულთა შესახებ საფუძველი ჩაუყარეს შემდგომ სასამართლო პრაქტიკას ამ დანაშაულთა განხილვის თაობაზე“.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი, როდესაც ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა მეცნიერული მეთოდების მეშვეობით შეძლო განსასჯელთა ბედი შეემსუბუქებინა.



სენატის პრაქტიკის თანახმად, ის პირი, ვინც აღმოჩნდებოდა ბრბოში (срок), რომელმაც რაიმე დანაშაული ჩადინა ხელისუფლების წინააღმდეგ, პასუხს აგებდა ბრბოს მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის მხოლოდ და მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ იგი ბრბოში იყო გარეუღლი. დამტკიცება იმისა, რომ ამ პირს თვითონაც ჰქონდა განზრახვა აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენისა, საჭირო არ იყო. ანდრონიკაშვილმა თავისი გამოსვლებით დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ სენატის თვალსაზრისს ობიექტურ შერაცხვამდე მივყვართ, რომ ეს თვალსაზრისი არ შესაბამეა ცივილიზებულ ხალხთა სისხლის სამართლებრივ თეორიას, დადებითი სამართლის განვითარების თანამედროვე დონეს და ეთიკურ შეხედულებებს. ამგვარად, ანდრონიკაშვილი თანმიმდევრულად მოითხოვდა ბრალდული პასუხისმგებლობის პროგრესული პრინციპის განხორციელებას.

პროცესში, პოლიტიკურ საქმეებზე ხშირად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა იმ საკითხის გადაჭრას, თუ რომელი დანაშაულია ჩადენილი ბრალდებულთა მიერ — აჯანყება, გათვალისწინებული სასჯელთა დებულების 163 მუხლით, თუ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, გათვალისწინებული 164 მუხლით. პირველი დანაშაული იწვევდა კატორღას 15 წლიდან 20 წლამდე, ხოლო მეორე — კატორღას 12-დან 15 წლამდე. სენატის პრაქტიკა აღნიშნულ საკითხს რაოდენობითი ნიშნის მიხედვით წყვეტდა: თუ დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას იღებდა სამზე მეტი კაცი, მოქმედება კვალიფიცირდებოდა როგორც აჯანყება. დაცვა, რომელშიც ლუარსაბ ანდრონიკაშვილიც იღებდა მონაწილეობას, მთელ რივ პოლიტიკურ პროცესებში შეებრძოლა ამ ყალბ პრაქტიკას. ლ. ანდრონიკაშვილი ამტკიცებდა, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს არა რაოდენობითი ნიშნის მიხედვით, არამედ იმისა და მიხედვით, თუ როგორია დანაშაულის ობიექტი. თუ დანაშაულის ობიექტს მთელი არსებული წყობილება წარმოადგენს და მოქმედება ამ წყობილების წინააღმდეგაა მიმართული, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება შეფარდებულ იქნას 163 მუხლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც დანაშაულში მრავალი ადამიანი იღებდეს მონაწილეობას, ადგილი ექნება მხოლოდ ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანდრონიკაშვილის გამოსვლა გაგრის აჯანყების საქმეზე; სადაც მან ერთ-ერთი რთული თეორიული საკითხის დამაჯერებელი გაშუქებით შეძლო სიკვდილის განაჩენი აცხადინა 39 რევოლუციონერისათვის. მათ ბრალად ედებოდათ, რომ სათავეში ჩაუდგნენ გაგრის შეიარაღებულ აჯანყებას, წინააღმდეგობა

გაუწიეს ჯარს, დაამხეს ადგილობრივი ავღინს-ტრაცია და ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება. ბრალდება მათ წარდგენილი ჰქონდათ 1903 წლის დებულების მე-100 მუხლით, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ 39 კაცს ჩამოხრჩობა მიუსაჯა, მაგრამ შემამსუბუქებელ გარემოებათა არსებობის გამო, ეს სასჯელი სხვადასხვა ვადის კატორღით შეცვალა. სამხედრო პროკურორმა ეს განაჩენი მთავარ სამხედრო სასამართლოში გააპროტესტა. პროტესტში მითითებული იყო, რომ სასამართლომ თავისი განაჩენით დაარღვია მეფე ალექსანდრე III-ის 1887 წლის საიდუმლო ბრძანება, დადასტურებული ნიკოლოზ მეორის მიერ 1905 წლის 8 სექტემბერს. ამ ბრძანების თანახმად სასამართლოს უფლება არ ჰქონდა თავისი ნებით შეეცვალა ჩამოხრჩობა უფრო მსუბუქი სასჯელით. სასამართლო ვალდებული იყო სიკვდილის განაჩენი გამოეტანა, ხოლო თუ საქმეში შემამსუბუქებელი გარემოებანი აღმოჩნდებოდა, მას მხოლოდ ის შეეძლო, რომ ეცნობებია ეს გარემოება მთავარსარდლისათვის, ხოლო ამ უკანასკნელზე იყო დამოკიდებული, მიიღებდა თუ არა მას მხედველობაში. ამგვარად, 39 ბრალდებული უკვე გრძნობდა თოქს თავის კისერზე.

როდესაც ანდრონიკაშვილი დარწმუნდა, რომ მეფის საიდუმლო ბრძანება ნამდვილად არსებობს, მან უშიშრად გაილაშქრა მის წინააღმდეგ. საიდუმლო ბრძანება, — აღნიშნავდა ანდრონიკაშვილი, — გამოცემული იყო 1845 წლის სასჯელთა დებულების შესაბამისად და მას მიზნად ჰქონდა ამ დებულებით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვა. მაგრამ ბრალდებულებს წაყენებული აქვთ ბრალდება 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების მე-100 მუხლის საფუძველზე. მე-100 მუხლი ჩამოხრჩობას ითვალისწინებს, იგი კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლია. განსაკუთრებული ნაწილის მუხლი არ შეიძლება განხილულ იქნას იზოლირებულად. სახელდობრ, ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის მუხლების გარეშე. 1903 წლის კოდექსის ზოგად ნაწილში კი არის ნორმა, რომლის მიხედვით სასამართლო ვალდებულია შეცვალოს სიკვდილის განაჩენი, თუ კი იგი ცნობს, რომ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოება. ეს ვალდებულება მოსამართლეს მეფის მიერ დამტკიცებულმა კანონმა დააკისრა და მისი შეცვლა სიტყვიერი განკარგულებით შეუძლებელია, თუ იგი შეცვლილი არ იქნა იმავე წესით, რა წესითაც მიღებულ იქნა თვით კოდექსი.

ანდრონიკაშვილის დამაჯერებელმა არგუმენტაციამ, მისმა უზალო ლოგიკამ, მისმა უზადლო მკვერმეტყველებამ და ცემცხლიანმა ტემპერამენ-

ტმა სასწაული მოახდინა — 39 რევოლუციონერი სიკვდილს გადაარჩა.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ეს ბრწყინვალე გამარჯვება ნამდვილი სენსაცია იყო. რუსეთის ყოველი კუთხიდან მოსდიოდა მას მილოცვის დეპეშები. გამოგზავნა წერილი 39 რევოლუციონერ-მაც, რომლებიც მადლობას უხდიდნენ „თავგანწირული ბრძოლისათვის“. გავრის საქმე იმიტომაც უნდა ჩაითვალოს დიდ გამარჯვებად, რომ მან ერთ წელზე მეტი ხნით შეცვალა პრაქტიკა და არა ვერლი რევოლუციონერი გადაარჩინა სახრჩობელას.

მახვილი იურიდიული აზროვნება და დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების ზუსტი ანალიზის უნარი საშუალებას აძლევს ანდრონიკაშვილს გაიმარჯვოს სამხედრო სასამართლოს წინაშე გრაფ ივანტიევის მკვლელის სიცოცხლისათვის ბრძოლაში.

გრაფი ივანტიევი იმ „საიდუმლო ხელისუფლების ერთ-ერთ გავლენიან წევრად ითვლებოდა, რომელმაც 1905-1906 წლებში სისხლში მოსვარა მთელი რუსეთი. შავრაზმული „პოგრომებისა“ და ტერორისტული აქტების ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს, მას სამართლიანად ჰქონდა დამსახურებული რევოლუციური მოძრაობის ჯალათის სახელი. გრაფი ივანტიევი მოკვლა 1906 წლის 9 დეკემბერს რეალური სასწავლებლის მოსწავლემ სერგეი ილინსკიმ. ილინსკისთან ერთად საბრალდებო სკამზე ისხდნენ მისი ზიძაშვილი და მეგობარი ალექსანდრე ციავლოვსკი (ცნობილი პუშკინისმცოდნის მტისლავ ციავლოვსკის ღვიძლი ძმა) და გიმნაზისტი სერგებრენიკოვი. ამ უკანასკნელთ ბრალად ედებოდათ წევრობა ისეთი საზოგადოებისა, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წყობილების დამოხრახიანებას, ხოლო ილინსკის, გარდა ამისა—თანამდებობის პირის მოკვლა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ 1906 წლის დეკემბერში ტვერი სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანილი არ იყო, შინაგან საქმეთა მინისტრმა, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, განკარგულება ვასცა გაერჩიათ საქმე სამხედრო დროის კანონებით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ილინსკის უცილობელი სახრჩობელია ემუქრებოდა.

ილინსკის დამცველის ანდრონიკაშვილის საჩივარი მინისტრის განკარგულების უკანონობის შესახებ სენატმა განუხილველად დატოვა. მაშინ ანდრონიკაშვილმა გაილაშქრა ილინსკის მოქმედების კვალიფიკაციის წინააღმდეგ. ამ მოქმედებაში. — ამტიციებდა ანდრონიკაშვილი, — არ არის შემადგენლობა თანამდებობის პირის მკვლელობისა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, ივანტიევი მოკლეს არა სამსახურებრივი მოვალეობის შე-

სრულების დროს, არამედ იმ მომენტში, როდესაც ტვერის სათავადაზნაურო საკრებულოს შენობაში, თავადაზნაურთა ყრილობაზე ჩამოსული, იგი შესვენების დროს ბუფეტში იჯდა და კერძო საკითხებზე საუბრობდა; მეორე, ივანტიევი არ მოუკლავთ არც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. თუ საწინააღმდეგო დავეუფლებთ, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ტერორისტული აქტებისა და შავრაზმულ რბევათა ორგანიზაცია, რის გამოც მოკლული იყო ივანტიევი, მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა და, მაშასადამე, მას ხელისუფლების მიერ ჰქონდა დაკისრებული.

ასეთი დებულების საჯაროდ აღიარება მეფის სასამართლოს, ცხადია, არ შეეძლო. ამიტომ კითხვაზე — სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მოკლეს თუ არა გრაფი ივანტიევი? — სასამართლო იძულებული იყო ეპასუხნა: — „არა, გრაფი ივანტიევი არ მოუკლავთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, არამედ იმიტომ, რომ რევოლუციონერთა აზრით გრაფის შეხედულებანი და მისი ზეგავლენა საზოგადოებაზე მათთვის საზიანო იყო“. ასეთი აღიარება იმას ნიშნავდა, რომ ილინსკისათვის ჩამოსხრება არ შეეძლოთ მიესაჯათ.

საქმის იურიდიული მხარის ოსტატურად გაშუქებასთან ერთად ლ. ანდრონიკაშვილს ეხერხებოდა ფაქტიურ გარემოებათა ღრმა ანალიზი და ამ გზით წამოყენებული ბრალდების გაბათილება. ამ მხრივ საყურადღებოა ბათუმის დემონსტრანტების საქმე (1902 წ.). ბათუმის საქმე ერთ-ერთი პირველი რგოლი იყო მუშათა დემონსტრაციების ჯაჭვში. რომელიც 1902-1903 წ.წ. ეწყობოდა რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ადგილებში და რომელთაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ხელმძღვანელობდა. ბათუმის მუშებს ბრალდებოდათ, რომ როტშილდის ქარხნის გაფიცულთათვის მხარდაჭერის მიზნით მათ მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელიც მოითხოვდა ან დაპატიმრებული გაფიცულების განთავისუფლებას ანდა ყველას დაპატიმრებას, ხოლო როდესაც ხელისუფლებამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ ჯარის ნაწილები გამოიყვანა, დემონსტრანტებმა ჯარს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწვიეს. ბრალდება მათ წარდგენილი ჰქონდათ სასჯელთა დებულების 264 მუხლით, რომელიც ითვალისწინებდა საკატორღო სამუშაოებს მ-დან 12 წლამდე. მეფის მთავრობას სურდა სასტიკად ვასწორებოდა დაპატიმრებულ მუშებს. მაგრამ მას იმედი გაუცრუვდა. დაცვამ, რომლის შემადგენლობაში ლუარსაბ ანდრონიკაშვილი შედიოდა, შესძლო დამაჯერებლად დაემტკიცებინა, რომ ჯარსებმა დემონსტრანტები ჩიხში ჩაკეტეს და როდესაც პოლიცია წინააღმდეგობას აღწევდა მათ დაშლილიყვნენ, ხალხს ამის შესაძ-

ლებლობა ფაქტიურად არ ჰქონდა. ჯარმა, მიუხედავად დემონსტრანტების გამოუვალი მდგომარეობისა, უღმობლად დახვრიტა ჩიხში მომწყვდეული უიარაღო მუშები. „ბრწყინვალე დაცვის წყალობით, — წერდა „ისკრა“ 1903 წ. 1 აპრილს ბათუმის მუშათა დახვრეტის წლისთავისათვის მიძღვნილ წერილში, — მეფის მსახურნიც კი იძულებული გახდნენ თითქმის გაემართლებინათ მუშები“<sup>1</sup>. ამავე წერილში აღწერილია, რომ პროცესის დამთავრების შემდეგ ადვოკატების გამკზავრების დროს ბათუმის მუშებმა დიდი დემონსტრაცია მოაწყვეს. მატარებელი, რომლითაც ადვოკატები მიდიოდნენ, 7 წუთით გააჩერეს და ადვოკატებს მხურვალე ოვაციები გაუმართეს.

პოლიტიკური დაცვის ერთ-ერთ ამოცანას საზოგადოების ფართო წრეების ინფორმირება წარმოადგენდა. ბათუმის საქმის შესახებ ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა გააკეთა ასეთი ინფორმაცია პეტერბურგის მემარცხენე ჟურნალისტების, ლიტერატორების და პოლიტიკური მოღვაწეებისათვის. კრება შედგა ბასეინის ქუჩაზე ჟურნალ „პრავოს“ რედაქტორის პოლიანოვის ბინაზე. მსმენელთა თვალწინ გადაიშალა მეფის ხელისუფლების ჯალათური მოქმედების სურათი, რომელიც სასამართლოში დამცველების წყალობით გამოიჩინა. ანდრონიკაშვილმა ბათუმის მუშათა მოძრაობა იმ რევოლუციურ აგრარულ მოძრაობასაც დაუკავშირა, რომელსაც მაშინ გურიაში ჰქონდა ადგილი. ამ სხდომას ჩვენი სახელოვანი მწერალი დავით კლდიაშვილი ესწრებოდა. როგორც დ. კლდიაშვილი გვიამბობს, ლ. ანდრონიკაშვილმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „ბატონებო! ჩვენ შორის იმყოფება პირი, რომელიც იმ უმედურ დღეს ბათუმში რომ ჰქონდა ადგილი თავისი გუნდით პუნქტზე იყო. მაგრამ ერთი ტყვია არ გაუსროლია და რომლის შესახებ ალტაცებით გველაპარაკებოდნენ ვეჭვილებს ბათუმის მუშები. ეგერ ბრძანდება ეს პირი“, — მიუთითა დავით კლდიაშვილზე, რითაც ამ უკანასკნელის მიმართ ოვაცია გამოიწვია<sup>2</sup>.

ანდრონიკაშვილის როგორც დიდად დაოსტატებული და გონებამახვილი იურისტის თვისებები მთელი პროცესის განმავლობაში ვლინდებოდა და არა მხოლოდ დასაცავ სიტყვაში. იგი არა მარტო საქმის ზოგად სურათს ითვალისწინებდა, არამედ მის ყოველ დეტალს. არც ერთი მომენტი, რასაც შეეძლო რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ბრალდებულთა ბედზე, უყურადღებოდ არ იყო დატოვებული. ეს მას შესაძლებლობას აძლევდა საქმისათვის სრულიად მოულოდნელი მიმართულება

მიეცა და ამ მოულოდნელობით ბრალდება დაქონდა.

ამის მაგალითს წარმოადგენს სავინკოვის, მაკაროვის და სხვ. საქმე.

1906 წლის 15 მაისს ჯარის ალუმის დროს 16 წლის მუშამ მაკაროვა ყუმბარა ესროლა სევასტოპოლის ციხის კომენდანტს გენერალ ნებლიუევს. ყუმბარა არ გასკდა. მაკაროვის მოსაშველებლად გამოიქცა მატროსი ფროლოვი, რომელსაც ჯიბეში მეორე ყუმბარა ედო. ხალხის შეხებისაგან ყუმბარა გასკდა, რამაც დიდი მსხვერპლი გამოიწვია. თითო ფროლოვიც დაიღუპა.

მაკაროვთან ერთად დააპატიმრეს ცნობილი ტერორისტი ზორის სავინკოვიც. სინამდვილეში სავინკოვის ნებლიუევის ხელყოფასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. იგი სრულიად შემთხვევით და სულ სხვა საქმესთან დაკავშირებით იყო ჩამოსული არალეგალურად ფინეთიდან.

გამოძიება ყალბ დამამტკიცებელ საბუთებზე იყო აგებული. მაგალითად, საქმეში გამოდიოდა ცრუ მოწმე, რომელიც ადასტურებდა, ვითომ მან თავისი თვლით ნახა, რომ სავინკოვი და მაკაროვი მოსკოვში ფილიპოვის საშაქარლაძეში ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. სინამდვილეში სავინკოვი მაკაროვს არ იცნობდა. ანდრონიკაშვილი იგონებდა აგრეთვე, რომ მაკაროვთან მივიდა ვინმე უკნობი, რომელმაც თავისი თავი მის დამცველად, ანდრონიკაშვილად გაასალა და ურჩია მაკაროვს გამომტყდარიყო სავინკოვთან ურთიერთობაში.

საქმეს სამხედრო სასამართლო იხილავდა. წინასწარი გამოძიება ელვის სისწრაფით დამთავრდა და სასამართლოს სხდომა დაინიშნა. მთავრობისა და სამხედრო წრეებში ნებლიუევის ხელყოფამ ისეთი მიღწევარება გამოიწვია, რომ ბრალდებულთა მდგომარეობა უიმედო იყო, განსაკუთრებით სავინკოვისა, ამიტომ ადვოკატების ძირითადი საზრუნავი საქმის გადადება იყო, რომ ეს მიღწევარება ცოტა შენელებულიყო და საქმის განხილვა უფრო დამშვიდებულ მდგომარეობაში მომხდარიყო. სავინკოვის დედას აღწერილი აქვს სხდომა. ჯერ წამოდგა მეტად გამოცდილი ადვოკატი ფალევი და მოიყვანა საქმის გადადების საბაზი. მოსამართლენი არ დაეთანხმენ.

„მაგრამ აი, ადგა თავისი ადგილიდან ლ. ნ. ანდრონიკაშვილი, — მოგვითხრობს სავინკოვა, — და დიდი სიმშვიდით და დაბეჯითებით მიუთითა კანონის უხეშ დარღვევაზე, რაც იმაში გამოიხატა, რომ მაკაროვს უფლება ჰქონდა ორი კვირის ვადაში გაეჩაჩვიებინა სასამართლო პალატის დაწვევტილება მისი შერაცხადად ცნობის შესა-

<sup>1</sup> ამ საქმის შესახებ დაწვრილებით იხ. Батумская демонстрация 1902 года, Партиздат ЦК ВКП (6) М, 1937.

<sup>2</sup> დავით კლდიაშვილი, მემუარები, სახელოვანი, 1935 წ. გვ. 220.

ებ, რომ ამ გადაწყვეტილებიდან სულ 4 დღეა გასული, რითაც აშკარად დარღვეულია განსასჯელის უფლება. ამიტომ ანდრონიკაშვილმა დაქინებით მოითხოვა საქმის გადადება კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე“.

„მე შევხედე ამ მომენტში პროკურორს, — განაგრძობს სავინკოვა, — და მისი სახის გამომეტყველებით მივხვდი, რა მოულოდნელი და არსებითი იყო მისთვის ანდრონიკაშვილის განცხადება, იგი, როგორც ჩანს არ მოელოდა ამ თავდასხმას და მზად არ იყო მისთვის...“.

სასამართლო იძულებული შეიქნა საქმე გადაედო. „დამცველები ზეიმობდნენ, — გვიამბობს სავინკოვა, — და ეს გასაკვირალიც არ არის: ეს დღემდე არნახული შემთხვევა იყო — სამხედრო სასამართლოს მიერ საქმის გადადება“<sup>1</sup>.

საქმის გადადებით ისარგებლა ბ. სავინკოვამ და საპრობოლიდნა გაიქცა.

ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლები სასამართლოში აღწერილია ლიტერატურაში როგორც უაღრესად გაბედული სიტყვის ნიმუში.

ამ მხრივ საინტერესოა ლ. ანდრონიკაშვილის გამოსვლა შავი ზღვის სამხედრო ფლოტის აჯანყების საქმეზე. ლ. ანდრონიკაშვილი იცავდა კრეისერ „ოჩაკოვის“ რამდენიმე ასეულ მატროსს პროცესი 1906 წლის ნოემბერში მიმდინარებდა. რადგან სასამართლოს ეწინააღმდეგებოდა ბრალდებულთა ასეთი დიდი ჯგუფის მხრით, მან განკარგულმა გაცა მეზღვაურები რკინის გალიაში მოეთავსებიათ, ხოლო დამცველებს წინადადება მისცეს დაეკავებიათ ადგილი რკინის მოაჯირის გარეთ. მაგრამ დაცვამ, ანდრონიკაშვილის მეთაურობით. განაცხადა, რომ იგი იმ პირებთან ერთად უნდა იყოს, ვისაც იცავს: „ან მოხსენით რკინის მოაჯირი ან შევიშვით შვე“<sup>2</sup>-ო.

პროცესზე ადგილი ჰქონდა ასეთ ინციდენტს: ბრალდების მოწმეთა შორის აღმოჩნდა ერთი პირი, რომელიც მეზღვაურებთან ერთად იღებდა მონაწილეობას აჯანყების მომზადებაში. პროოკატორის დანახვაზე მეზღვაურები აყვირდნენ და რკინის მოაჯირს წვდოვა დაუწყეს. შემინებულმა სასამართლომ დარბაზში ჯარი შემოიყვანა და უბრძანა ისროლა. ამ ტრაგიკულ მომენტში წამოვადა ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და თავისი ენერგიული ჩარევით სისხლის ღვრა შეაჩერა. ამ სიტყვის შინაარსი სამწუხაროდ მთლიანად შენახული არ არის, მაგრამ ცნობილია მისი ერთი ნაწყვეტი. მატროსი ნ. ნიკოლაევი იკონებს: ანდრონიკაშვილმა მოითხოვა სიტყვა და გაისმა მისი

ხმა: „ბატონო მოსამართლენო, შეხედეთ თქვენ თავს და დაფიქრდით, ვინ არის სამართალში მიცემული? მოაჯირის უკან ხომ თქვენ სხედხართ... ეხლა მე გასაჭირში ვარ და არ ვიცი, ვინ დავიცვა. ისინი, ვინც მოაჯირს ეფარება, თუ ისინი, ვინც თავისუფლად და უშიშრად გრძნობს თავს და არავის არ ემალება“<sup>2</sup>

მეფის სასამართლოში ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც როგორც ბრალდებულები, ისე დამცველები დემონსტრაციულად ტოვებდნენ სამსჯავრო სხდომას, თუ ხელავდნენ, რომ სასამართლო არ იძლევა ჭეშმარიტების გამორკვევისა და საქმის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაშუქების შესაძლებლობას. ამ მხრივ საინტერესოა პოლიტიკურ დამცველთა, მათ შორის ანდრონიკაშვილის პოზიცია მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოს პროცესზე. ცხადია, მეფის სასამართლო ყოველნაირად ცდილობდა არ გამოემქლავებინა ჭეშმარიტება და შეეზღუდა დაცვა. პროცესში, რომელსაც ხელს აწერენ გამოჩენილი დამცველები გრუზუბნერგი, სოკოლოვი, მალიანტოვიჩი, ანდრონიკაშვილი, ვლ. ბერენშტამი და სხვ ნათქვამია:

„დაცვა თვლის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს საქმიანობა, როგორც სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი, ვერ იქნება ისე გაშუქებული, როგორც ამას საზოგადოებრივი ინტერესი მოითხოვს. ამიტომ ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელისმომწერნი, ჩვენს მიერ დასაცავ პირებთან შეთანხმებით, ჩვენს პრიფესიულ და მოქალაქეობრივ მოვალეობად ვთვლით უარი განაცხადოთ შემდგომ მონაწილეობაზე აღნიშნული საქმის განხილვაში, რომელშიც... ვერ დავადგენთ ვერც ისტორიულ და ვერც იურიდიულ ჭეშმარიტებას ისე, როგორც ეს გვეხმარა ჩვენ და ჩვენს მიერ დასაცავ პირებს“<sup>3</sup>.

მრავალ შემთხვევაში დაცვას წინ ეღობებოდა მეფის ხელისუფლების მიერ წინასწარი განზრახვით შექმნილი ყალბი ბრალდება, რომლის დარღვევაც შეუძლებელი იყო. აქ მიმართავდნენ ცრუ მოწმეებს, ყალბ დამამტკიცებელ საბუთებს და მთელ რიგ სხვაგვარ ხრიკებს, რათა დაემტკიცებინათ დანაშაული, ვინაიდან ეს თვითმპყრობელობისათვის ხელსაყრელი იყო. ერთ ასეთ საქმეს იგონებს ლ. ანდრონიკაშვილი თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში. ყოფილ მიჩმანს ბორის ნიკიტენკოს, ნაუმოვს, კიტ პურკინს (სინაიანკის), ნინო ზალინიანს (ზიბერგალს), ადვოკატ ფედორ სევეს და სხვებს ბრალად ედებოდათ, რომ მათ

<sup>1</sup> С. Савинкова, На волос от казни. „Былое“, 1907, № 1113, გვ. 268—269.

<sup>2</sup> Н. Николаев, После восстания (воспоминания матроса). Сборн. „Революционное движение в черноморском флоте“, М., 1925, стр. 123—124.

<sup>3</sup> Владимир Беренштам, В боях политической защиты, Изд. „Книга“, 1925, стр. 115.



მიზნად დაისახეს ნიკოლოზ II-ის მოკვლა, რისთვისაც დაამზადეს ფეთქებადი ნივთიერება და უკვე შეუდგნენ თავისი გეგმის განხორციელებას, მაგრამ შეპყრობილ იქნენ მოსამზადებელი მოქმედების სტაფიაზე. აღნიშნული მოქმედების განხორციელების სისხლის სამართლის სჯულდების 101 მუხლის მესამე ნაწილით, სიკვდილით დასჯას იწვევდა. „პროცესის მიზანი, — აღნიშნავდა ლ. ანდრონიკაშვილი, — იმაში მდგომარეობდა, რათა დაემტკიცებინა ჭეშმარიტება პრემიერმინისტრის სტოლიპინის განცხადებისა III სათათბიროში, რომ ნიკოლოზის სიცოცხლეს საფრთხე ელოდა, და ამასთან დაკავშირებით დაესაბუთებინა, რომ ეს ესერების პარტიის წევრები გაქვევებულ უნდა იქნენ სათათბიროდან. სტოლიპინმა სათათბიროში საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს მკვლელობა უნდა მომხდარიყო აფეთქებით, ზომბი ნიკოლოზისათვის უნდა ესროლა ნაუშოვს, როგორც მეფის კარის კაპელის მომედრალთა გუნდის მონაწილეს — წირვის დროს“. სტოლიპინის ეს განცხადება სიცრუე იყო, რადგან ნაუშოვი არ იყო მამოღრალთა გუნდის წევრი, უფრო მეტიც, მისი ხმა არცის არ გაუსინჯავს. სასამართლოში გამოიკვია, რომ იგი არანორმალური იყო. მაშინ პროკურორმა შეცვალა თავდაპირველი ვერსია და დაიწყო მტკიცება, რომ განსასჯელი პროკოფიევა უნდა მოხვედრილიყო მერძვეთა არტელში, რომელიც აწვიდა რძეს ალექსანდროვის სასახლეს პეტერგოვში, ყუმბარა რძის ვედროთი უნდა შეეტანა სასახლეში და იქ ნიკოლოზისათვის ესროლა. როდესაც სასამართლოში საქმის განხილვისას ეს ვერსიაც ყალბი აღმოჩნდა, მაშინ პროკურორმა დაიწყო მტკიცება, რომ ბრალდებულეებმა წინადადება მისცეს ვინმე კაზაკ რატიმოვს მოეკლა მეფე, მაგრამ რატიმოვი არ დათანხმდა. ანდრონიკაშვილის აზრით, ეს საქმე, იმ ნაწილში, რომელიც შეეხებოდა ნიკოლოზ II-ის მკვლელობის მომზადებას, ხელოვნურად შექმნილი იყო მეფის დამცველი რაზმის მიერ დაცვის მეთაურის — გერასიმოვის მონაწილეობით. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო. ესერების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა სათათბიროს არსებობის განმავლობაში დროებით შეეწყვიტა ყოველგვარი ტერორი. ბორის ნიკიტენკო თვით, საკუთარი თაოსნობით აგროვებდა ცნობებს იმ დროისათვის, როდესაც ტერორი ისევ იქნებოდა დეკრეტირებული. ამიტომ დანაშაულის მზადებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. დაცვის მტკიცებით, ნამდვილიც რომ ყოფილიყო ხელისუფლების მიერ შეთხზული ბრალდება, ამ შემთხვევაშიც იგი არ შეიძლებოდა კვალიფიცირებული ყოფი-

ლიყო, როგორც მეფის მკვლელობის დანაშაულის მომზადება, არამედ მხოლოდ როგორც მოსამზადებელი მოქმედებისათვის მზადება (приготовлении к приотавлиению), ხოლო ეს უკანასკნელი წარმოადგენს მარტოოდენ „ლიტონ განზრახვას“, რომლის დასჯადობა კანონით გათვალისწინებული არ არის.

მიუხედავად დაცვის ბრწყინვალე შემაღენლობისა — მურავიოვი, ანდრონიკაშვილი, სოკოლოვი და სხვ. — მიუხედავად მათი თავდადებული ბრძოლისა, რომელიც აღწერილია ლიტერატურაში<sup>1</sup>, დამცველებმა ვერ შესძლეს გაერღვიათ ეს სიცრუით აღმართული რკინის კედელი. ბრალდებულებს სახრხოზელა მიუსაჯეს. საინტერესოა ერთი გარემოება. ლ. ანდრონიკაშვილის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში აღნიშნულია: „კიტ პურკინმა (სინიაესკიმ) განაცხადა სასამართლოში, რომ იგი ბოლშევიკების პარტიის წევრია. მისი ბიოგრაფიის არარსებობა მე მნიშვნელოვან ხარვეზად ჩიმაჩნია“.

როგორც ვხედავთ, ანდრონიკაშვილის ბრძოლა რევოლუციონერთა დასახსნელად ყოველთვის როდი თავდებოდა მისი გამარჯვებით. ხშირად ეს ბრძოლა დრამატული ეპიზოდებით იყო საცხე. მაგრამ იგი ბოლომდე მათ მეგობრად რჩებოდა, ხოლო ზოგჯერ, ეშაფოტის წინ, იგი იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო გაემხნეებინა სიკვდილისჯილი.

ავიღოთ თუნდაც პეტერბურგის ქალაქის მმართველის, გენერალ ლაუნციის მკვლელობის საქმე. ლაუნციი შავრაზმელთა ერთ-ერთი, ყველაზე ბნელი ფიგურა იყო. იგი ამარაგებდა შავრაზმულ ორგანიზაციებს იარაღით და ფეთქებადი ნივთიერებებით და აწყობდა ტერორისტულ აქტებს საზოგადოების დემოკრატიული ფენებისა და რევოლუციონერების წინააღმდეგ. ეს ის ლაუნციია, რომლის დავალებითაც 1906 წლის ივლისში მოკლეს სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი გერცენშტეინი.

ლაუნციის მკვლელობის უშუალო ამსრულებელი თვითონაც იქნა მოკლული. თანამონაწილეობა ბრალდებულთა ცნობილ რევოლუციონერს შტიფტარს (ზიბელბერგერს) და გრონსკის. გრონსკის გვარით ის სულატიციი იმალდებოდა — სევასტოპოლის საპყრობილის ყოფილი მცველი, რომელმაც ხელი შეუწყო სევასტოპოლის საპატიმროდან სავინკოვის გაქცევას. გრონსკის თავისი ნამდვილი ვინაობა არ გაუმხელია, ვინაიდან ეს კიდევ უფრო გართულდება მის მდგომარეობას.

შტიფტარი და გრონსკი ანდრონიკაშვილმა სიკ-

<sup>1</sup> მაგალითად, Н. Н. Полянский, Царские военные суды в борьбе с революцией 1905—1907 гг., Изд. Моск. университета, 1958, стр. 226.

ვდილს ვერ გადაარჩინა. ეს იყო მისი ერთ-ერთი უმძიმესი მოგონება.

უკანასკნელი შეხვედრა შტიფტართან. საკანი პეტროპავლის საპრობოლოში. შტიფტარი, რომელსაც სიკვდილი აქვს მისჯილი. ხვალ დილით განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი. შტიფტარს არ სურს, რომ მისი გამოსახზობარი წერილი ცოლთან ჟანდარმებმა წაიკითხონ და ამიტომ სთხოვს ლ. ანდრონიკაშვილს სიტყვიერად გადასცეს მას უკანასკნელი ნება:

„უთხარით, რომ მაღლობელი ვარ მისი და მიყვარდა იგი განუზომლად. არა ვთხოვ ერთგულეზას სიკვდილის შემდეგ. მე ჩემი სიცოცხლე ამ ცხოვრების სიხარულს შევწირე. ვევედრები, დაფასოს ეს მსხვერპლი და ისარგებლოს ამ სიხარულით“. ანდრონიკაშვილმა წინადადება მისცა შტიფტარს, რომ ეშაფოტზე გააცილებდა. ვინც იცის, თუ რა მგრძნობიერი იყო ლუარსაბი, ადვილად მიხვდება, რომ ასეთი გაცილება მას ძვირად დაუჯდებოდა. მაგრამ კეთილშობილმა შტიფტარმა ანდრონიკაშვილის მსხვერპლი არ მიიღო. გამოთხოვებისას შტიფტარმა მას ოქროს სათვალე აჩუქა. ანდრონიკაშვილი საჩუქარს რელივიასავით ინახავდა და მის დაკარგვას ტრაგიკულად განიცდიდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დამცველი ანდრონიკაშვილი გადაიქცევა ხოლმე გამოძიებლად და თვით უღმობელ ბრალმდებლადაც კი, როდესაც ეს საჭიროა ჩაგრული ხალხის და მოწინავე ადამიანთა ინტერესებისათვის.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, პოლიტიკურ დამცველთა ჯგუფის დეალებით, გამოიკვლია კრემლში და რავენის მაზრაში 1907 წლის ოქტომბერში მომხდარი ებრაელთა რბევის საქმე და დაადსტურა, რომ ორივე შემთხვევაში რბევა მოწყობილი იყო პოლიციისა და შავრახმელ მემამულეთა მიერ. ცხადია ადგილობრივი ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა ეს გარემოება მიეჩქმალა და ამიტომ ჭეშმარიტების დადგენა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ზოგჯერ კი სიკვდილის საშიშროებასთანაც. მოვილიოვში იმავე წლის 22-24 ოქტომბერს მომხდარი რბევის გამო ანდრონიკაშვილი გამოდის როგორც სამოქალაქო მოსარჩელე და საჯაროდ ამხილებს რბევის მოწყობთა მახინჯიერებს. ლ. ანდრონიკაშვილის არჩევნი შენახულია მოგვიგების საქმეზე წარმომთქმული საბრალდებო სიტყვის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა იძლევა ბრბოს მიერ ჩადენილი დანაშაულის გასაოცარი სიძლიერის შთამბეჭდავ სურათს. ეს სიტყვა ამავე დროს ნამდვილი იურიდიულ-ფსიქოლოგიური ეტიუღია, რომელშიც შესანიშნავად არის ნაჩვენები, თუ როგორ ჰკარავს ხულიგანთა გუნდი თანდათანობით თავის შემაკავებელ ბერკეტებს, როგორ გადმოხეთქავს ყოველგვარ საზღვრებს უმდაბლესი ინს-

ტიტეტების ტალღა, როგორ როლს ასრულებს ბრბოს დანაშაულში მის მეთაურთა სიტყვა და საქმე.

ლ. ანდრონიკაშვილი გამოდიოდა აგრეთვე როგორც საზოგადოებრივი ბრალმდებელი (სამოქალაქო მოსარჩელის სახით) სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრის გერცენშტეინის მკვლელობის გამო. საბრალდებო სკამზე იჯდა ვინმე იუსკევიჩ-კარასკოვსკი — მკვლელობის უშუალო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. მის ბრალმდებლად ანდრონიკაშვილი გამოდიოდა. დამანაშავეს 12 წლის კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ მეფემ მას მეორე დღესვე აპატია. შურისძიების მიზნით შავრახმელებმა სროლა აუტეხეს იმ მანქანას, რომელშიაც ანდრონიკაშვილი იჯდა, იჭრებოდნენ მის სახლში, ცდილობდნენ მოეკლათ იგი.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილს როგორც დამცველს განსაკუთრებული ზნეობრივი სისპეტაკე ახასიათებდა. იგი არასდროს ხელს არ მოჰკიდებდა ისეთ საქმეს, რომლის ზნეობრიობაში ღრმად დარწმუნებული არ იყო, არასდროს არ მიმართავდა ისეთ დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც თუნდაც მცირეოდენ ეჭვს იწვევდა, არასდროს არ იყენებდა დაცვის იაფფასიან ხერხებს. პეტრბურგის დამცველთა წრეებში იგი ზნეობრივი საკითხების გადაჭრაში უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა. ამ მხრივ მას ისეთი დიდი სახელი ჰქონდა ფართო საზოგადოებაში, რომ დღესაც კი ანდრონიკაშვილის ზნეობრივი სისპეტაკე პროფესიული პატოსების ნიმუშად ითვლება. ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ადვოკატური მოღვაწეობის დამთავრებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, ისეთ დარგში, რომელიც მეტად დამორბეულია იურისპრუდენციიდან, სახელდობრ, მუსიკათმცოდნეობაში, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელს ასხენებენ ეთიკურ პრობლემებთან დაკავშირებით.

მუსიკათმცოდნე აჯემოვი, ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ბიულეტენში (№7, 1962 წ.) წერს, რომ როდესაც კონკურსზე ცუდად მომზადებული პიანისტები უკრავდნენ, მის წინაშე წმინდა ეთიკური პრობლემა იზადებოდა.

„თავის დროზე, — წერს აჯემოვი, — გამოჩენილი იურისტი ანდრონიკაშვილი, როდესაც სასამართლოში ამა თუ იმ საქმის დაცვას კისრულობდა, წინასწარ ამა, თავისთვის მნიშვნელოვან საკითხს წყვეტდა. თუ დავეთანხმები და ავიღებ ამ საქმეს, რას იტყვის ის ადამიანი, ვინც მე მომენდო, რას იტყვიან ამხანაგები, რას იტყვის ჩემი სინიღისი?“.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას კიდევ ლუარსაბ ანდრონიკაშვილზე როგორც დამცველზე. ბევრისაინტერესო ეპიზოდის მოყვანა შეიძლება მისი პრაქტიკიდან. ანდრონიკაშვილს 100 მეტ ისტო-



რიული მნიშვნელობის პროცესში აქვს მიღებული მონაწილეობა. გარდა უკვე ნახსენები პროცესებისა, ჩამოვთვლი უმნიშვნელოვანესთ მათ შორის: მიხაილოვის (ეხლანდელი ხაშურის) დეპოს მუშათა შეიარაღებული აჯანყების საქმე (1903 წ.), ქ. თბილისის დიდუბის რაიონის მუშათა მიერ ზელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმე (1903 წ.), როსტოვის მუშათა აჯანყების საქმე (1907 წ.), ბაქოს მუშათა მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლებისათვის (1904 წ.); „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმე (1908 წ.), „მინერალური წყლების რესპუბლიკის“ საქმე (1907 წ.), მიტავის გლეხთა აჯანყების საქმე (1907 წ.), შეიარაღებული აჯანყება კუნძულ ეზელზე (1909 წ.), ამურის კაზაკთა დეპუტატების საქმე (1908 წ.), პროცესი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისა, რომელთაც ბრალდებოდათ ვიბორგის მოწოდების შედგენა (1907 წ.), ლატვიელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების ზახაროვის, გრინბერგის, კრასტინის და სხვ. საქმე (ბრალდება — შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, ექსპროპრიაცია, მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელიც მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის და-

მხობას — 1906 წ.), ვალკის შეიარაღებული აჯანყების საქმე (1907 წ.) და სხვ.

ლიტერატურული საქმეებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: გაზეთ „Новая жизнь“-ის — პირველი ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის მდივნის გუკოვსკის საქმე, მწერალ კოროლენკოს საქმე, რომელმაც, როგორც ჟურნალ „Русское богатство“-ს რედაქტორმა, მუშათა დეპუტატების საბჭოს ცეკას დაპატიმრების შემდეგ გამოაქვეყნა გაფიცვის კომიტეტის მოწოდება მეფის რეჟიმის დამხობის შესახებ, ტოლსტოის გამომცემლების — ბიტნერის, გერციკის, სუხო-ნინის საქმეები, რომელთაც ბრალდებოდათ ღვთის გამოება ტოლსტოის რელიგიურ ნაწარმოებთა გამოქვეყნების გამო. აი, შეთადარასრული ჩამოთვლა პროცესებისა, რომლებშიც ანდრონიკა-შვილს მიუღია მონაწილეობა.

ქართველი იურისტებისა და ისტორიკოსების ვალაია გულმოდგინედ შეისწავლონ ჩვენი სახელოვანი თანამემამულის მოღვაწეობის ეს მხარე, რათა მომავალმა თაობებმა იქონიონ წარმოდგენა იმ დიდ დამსახურებაზე, რომელიც მიუძღვის ლუარსაბ ანდრონიკაშვილს როგორც პოლიტიკურ დამცველს თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში.

# დ. ანდრონიკაშვილის მხსენიკალ-კვლავმოგიუჩი მოღვაწეობა

## 3. მახაშვილი

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შოღვაწეობაში ახალი ეტაპი დაიწყო. მან პირნათლად შეასრულა თავისი ვალი რევოლუციონერთა და პროგრესულ შოღვაწეთა დაცვით და დატოვა ადვოკატურის რიგები. ლ. ანდრონიკაშვილის წინაშე გადაიშალა მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის და ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებში საკონსულტაციო მუშაობის ფართო პერსპექტივა.

ლ. ანდრონიკაშვილი მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობისათვის მთელი თავისი წარსული საქმიანობით იყო მომზადებული. მისი გამოხვედები სასამართლოში თავისი მაღალი მეცნიერული დონის გამო თეორიული აზროვნების განვითარებას უწყობდა ხელს. 1906 წელს იგი არჩეული იყო ქ. პეტერბურგში ახალგაზრდა ვეჭიკთა თანაშემწეების თეორიული კონფერენციების ხელმძღვანელად და შემდეგ 12 წლის განმავლობაში უცვლელად ედგა მათ სათავეში. ასეთი ხელმძღვანელობისათვის მხოლოდ გამოჩენილ, მეცნიერულად მომზადებულ ადვოკატებს ირჩევდნენ. სწორედ მისი დიდი თეორიული მომზადებით აიხსნება ისიც, რომ თებერვლის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ა. კონის თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია 1903 წლის სისხლის სამართლის დებულებების გადასამუშავებლად, ამ კომისიის შემადგენლობაში ცნობილ მეცნიერებთან — პროფ. ნ. ტაგანცევთან, პროფ. ა. უფილენკოსთან, პროფ. ი. ლუბლინსკისთან და სხვ. ერთად — ლ. ანდრონიკაშვილიც აირჩიეს და მას პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულოთა თავების გადასამუშავება მიანდვეს.

ახსიათებდა რა ლ. ანდრონიკაშვილის პრაქტიკულ მოღვაწეობას, გამოჩენილი ცივილისტი იური გამბაროვი წერდა: „იურიდიული მეცნიერებანი... თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც გულისხმობენ, თანაც ეს

უკანასკნელი არა ნაკლებ მეცნიერულია, ვიდრე პირველი... საკანონმდებლო და სასამართლო საქმიანობა, რომელიც თვით თეორიულ ცოდნას ემყარება, თავის მხრივ ამ უკანასკნელს დაუფასებელ სამსახურს უწევს, ხოლო თუ ეს საქმიანობა ტალანტით არის აღბეჭდილი და რამდენადმე მნიშვნელოვან კვალს ტოვებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში... იგი არა ნაკლებ შეიძლება გამოდგეს ტიტულად უმაღლესი სასწავლებლის კათედრის დასაჭერად, ვიდრე ტრადიციული წარდგენა სამეცნიერო ხარისხისა და მეცნიერული შრომებისა“.

ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ როდესაც 1921 წლის ბოლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული განყოფილების ჩამოყალიბების საკითხი გადაწყდა, ამ საქმის ორგანიზაციისათვის რუსეთიდან ლუარსაბ ანდრონიკაშვილი მოიწვიეს. პროფ. ფ. გოგიჩაიშვილთან ერთად მან 1922 წელს შეიმუშავა სტრუქტურა სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტისა ორი განყოფილებით — ეკონომიურით და იურიდიულით. ლ. ანდრონიკაშვილს დაევალა გამოეძებნა შესაფერისი ძალები და მოემზადებინა ახალი მეცნიერული კადრები სასამართლის დარგში.

როდესაც ანდრონიკაშვილი საქართველოში ჩამოვიდა, თბილისის უნივერსიტეტში არც ერთი იურიდიული დისციპლინა არ იკითხებოდა. მეცნიერ იურისტთა კადრების არარსებობის გამო სამართლის მეცნიერებათა სწავლების მთელი სიმძიმე ლ. ანდრონიკაშვილს დააწვა. თავდაპირველად მას მოუხდა თითქმის ყველა ძირითადი კურსის წაკითხვა: სამართლის ზოგადი თეორიისა, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილისა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისა, სისხლის სამართლის პროცესისა და სხვ.<sup>1</sup> ამ კურსებმა მყარი საფუძველი შექმნეს საქართველოში იურიდიული განათლების განვითარებისათვის.

<sup>1</sup> გარდა ამ კურსებისა, ლ. ანდრონიკაშვილს სხვადასხვა დროს წაკითხული აქვს: ქ. ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში ახალი ფილოსოფია, მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში — სასამართლო მშვერბმეტყველება, თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — ადმინისტრაციული სამართალი და სავაჭრო სამართალი, თბილისის უნივერსიტეტში — სამოქალაქო სამართლის პროცესი, დამნაშავის ფსიქოლოგია, სიტყვის კულტურა. უკანასკნელ წლებში ლ. ანდრონიკაშვილი ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის მაღალი ტიპის სემინარს და განაგებდა სამოქალაქო სამართლის კათედრას.



ლ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივი და ბრწყინვალე ნიჭი, ფართო განათლება, არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობა და ახალგაზრდობის აღზრდის საქმისათვის უანგარო თავდადება უზრუნველყოფდნენ მისი ლექციების ისეთ მაღალ დონეს, რომ იგი სამართლიანად ითვლებოდა საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ლექტორად.

ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები ყოველთვის დიდ აუდიტორიას იზიდავდნენ. მის ლექციებს, გარდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა, ესწრებოდნენ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც; ხშირად კი გარეშე საზოგადოებაც.

ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები მეტად თავისებურ ხასიათს ატარებდა, რაც უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ მისი მეცნიერული გამოსვლების განსაკუთრებულ სტილზე.


ლ. ანდრონიკაშვილი თვლიდა, რომ ლექციამ სტუდენტს, უპირველესად ყოვლისა, უნდა აღუძრას ინტერესი საგნისადმი. ამისათვის კი აუცილებელია, რომ ლექციამ სტუდენტს ნათელი წარმოდგენა მისცეს შესასწავლ საგანზე, გაცნოს მისი ძირითადი პრობლემატიკა და მეცნიერების ამ დარგის უმთავრესი იდეების გენეზისი, დაანახოს მათი განვითარების პერსპექტივა. ასეთი მიდგომის გამო ბუნებრივია, რომ ლ. ანდრონიკაშვილი თავის ლექციებში არ ჩერდებოდა სასწავლო დისციპლინის ყველა საკითხზე, რომელიც გათვალისწინებული იყო კურსის პროგრამით. მას ჰქონდა შესანიშნავი უნარი განესხვავებინა მთავარი მეორეხარისხოვნისაგან და სწორედ მთავარში დაეჭირა პრობლემის არსი, რომელიც მის იდეურ მხარეს მოიცავდა და მეცნიერული პოლემიკის საგნად ხდებოდა.

ამავე დროს ლ. ანდრონიკაშვილი მიზნად ისახავდა თავისი ლექციებით გამოემუშავენინა სტუდენტებში მეცნიერული აზროვნების ჩვევები. მისი აზრით, ლექცია მარტო იმ მიზანს კი არ უნდა ისახავდეს, რომ დაეხმაროს მსმენელებს საგნის პასიურ ათვისებაში და ცოდნის უბრალო დაგროვებაში. ლექციამ აქტიურად უნდა ჩაება მსმენელი თვით კვლევის პროცესში, მიაჩვიოს იგი დამოუკიდებლად მეცნიერულ აზროვნებას და ლიტერატურული წყაროებისადმი გაბედულ, კრიტიკულ მიდგომას, ხელი შეუწყოს მისი ცოდნის გარდაქმნას ქმედით რწმენად.

ლექციის ამოცანების ასეთი გაგება განსაზღვრავდა ლ. ანდრონიკაშვილის ლექციების ხასიათსა და სტრუქტურას. თუ მხედველობაში არ მივიღებთ კომპლიაციურად აგებულ ლექციებს, ცნობილია ლექციათა ორი ტიპი. ერთი ტიპის ლექციას ახასიათებს ის, რომ მასში ლოგიკურად დამთავრებული სახით გადმოცემულია მეცნიერული ცოდნის მიღწევები. მეორე ტიპის

ლექცია ერთგვარად თვით წარმოდგენს მეცნიერული კვლევის პროცესს. მასში მოცემულია გზა, რომელმაც მიიყვანა მკვლევარი განსაზღვრულ მეცნიერულ დასკვნებამდე. ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები მეორე ტიპის ლექციის ბრწყინვალე ნიმუში იყო. ანდრონიკაშვილს ენერგებოდა იმ ძირითადი საწყისის მიგნება, საიდანაც იგი თანდათანობით და თანმიმდევრულად არკვევდა პრობლემის არსს და მნიშვნელობას, შესასწავლ ინსტიტუტისა და ცნების ბუნებას. იგი უმუდავებდა აუდიტორიას თავისი აზროვნების ლაბორატორიას, იმ გონებრივი მუშაობის პროცესს, რომელმაც განსაზღვრა მისი თვალსაზრისი და აიძულა იგი გარკვეული აზრი შეემუშავენინა ან ამა თუ იმ შეხედულებას მიმხრობოდა. მსმენელთა ყურადღების დამახვისათვის იგი სადავო და რთულ პრობლემას ხშირად პოლემიკის სახით გადასცემდა. ლ. ანდრონიკაშვილს — წარსულში გამოჩენილ სასამართლო მოღვაწეს — კარგად ესმოდა შეჯიბრებითი პრინციპის ძალა და მნიშვნელობა. მას არა ერთხელ ჰქონია შემთხვევა დარწმუნებულიყო, რომ ჭეშმარიტების მიღწევა უფრო ადვილია მაშინ, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება და ებრძვის რამდენიმე სხვადასხვა შეხედულებას, — და რომ ამა თუ იმ თვალსაზრისის ნაკლოვანება მაშინ უფრო შეიმჩნევა, როდესაც გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებული აზრები გადმოცემულია თეზისისა და ანტითეზისის სახით. თანაც იგი ან თვით აწარმოებდა პოლემიკას ამა თუ იმ კონკრეტისათან ანდა ამ სახით წარმოგვიდგენდა მოწინააღმდეგე თეორიათა ბრძოლას. მის ყოფილ სტუდენტებს დღესაც ასხოდა, მაგალითად, თუ როგორ გადმოსცემდა ლ. ანდრონიკაშვილი მიუხეხნის ცნობილ ორთაბრძოლას კლასიკურ და სოციოლოგიურ სკოლათა მეთაურებს — კ. ბერკმაიერსა და ფ. ლისტს შორის. ამავე სახით უპირისპირებდა იგი არგუმენტებს, რომლებიც მოჰყავთ იმათ, ვინც სასჯელს სამაგიეროს მიზნად თვლის და იმ ავტორებს, რომლებსთვისაც სასჯელი სოციალური უზრუნველყოფისა და დაცვის საშუალებებია. ამავე დროს ლ. ანდრონიკაშვილი არ სჩერდებოდა მოკამათე ავტორთა დებულებებისა და საწინააღმდეგო დებულებების გულცივად გადმოცემას, არამედ, მათი მნიშვნელობის აწონ-დაწონის შედეგად, ღრმა ანალიზისა და მსჯელობის საფუძველზე, არკვევდა თავის დამოკიდებულებას დავის ხაგანთან.

ლ. ანდრონიკაშვილის ლექციებში მუდავდებოდა მისი განსაკუთრებით ფართო მეცნიერული მომზადება. საკითხის იურიდიულ განხილვასთან ერთად, იგი თემას სხვა ასპექტებითაც აშუქებდა. იგი ხშირად იშველიებდა ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ზოგჯერ კი ბუნების მეც-



წიერებათა მონაცემებსაც, როდესაც ეს საჭირო იყო სამართლებრივი პრობლემის ყოველმხრივად გაშუქებისთვის. თანაც ამას ისე ოსტატურად აკეთებდა, რომ ლექციის საერთო არქიტექტონიკა ამით არ ირღვეოდა. ანდრონიკაშვილს ემარჯვებოდა პრობლემის სხვადასხვა მხარის ორგანულად გაერთიანება და თვალსაჩინო ჩვენება იმისა, თუ როგორ ანაყოფიერებს ამა თუ იმ მეცნიერებას სხვა მეცნიერებასთან თანამშრომლობა და რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კერძოდ სამართლისათვის ცოდნის სხვა დარგთან მიღებული დებულებების გამოყენებას.

ლ. ანდრონიკაშვილი კარგად იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას და სწორად იყენებდა თავის ლექციებში კლასიკოსების მიერ შექმნილ სახეებს. განსაკუთრებით სწორად იშველიებდა იგი ლიტერატურულ მაგალითებს სისხლის სამართლის პრობლემების გადმოცემის დროს. პასუხისმგებლობის, დანაშაულისა და სასჯელის თემას არაერთხელ შეხებიან გამოჩენილი მწერლები. ცნობილია, მაგალითად, რომ დამნაშავეს შინაგანი სამყარო, ვნებანი, რომლებიც უბიძგებენ ადამიანს ბოროტებისაკენ, მათი ვანცდები ბოროტი განზრახვის ჩასახვასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით ოსტატურად არის აღწერილი შექსპირის, დოსტოევსკის და სხვ. ნაწარმოებებში. ვასაგებია ამიტომ, რომ ლ. ანდრონიკაშვილი თავის ლექციებში სწორად ჩერდებოდა ამ მწერლების ნაწარმოებებზე, მათ მიერ შექმნილ დამნაშავეთა მხატვრულ სახეებზე. მაგალითად, ერთ-ერთ თავის ლექციაში ლ. ანდრონიკაშვილმა მოგვცა მაკბეტში დანაშაულებრივი განზრახვის წარმოშობისა და განვითარების ფსიქოლოგიური სურათის ბაგწყინადე ანალიზი, ხოლო ლედი მაკბეტის მაგალითზე განმარტა ინტელექტუალური დამხმარის როული ცნება.

სხვათა შორის, ლ. ანდრონიკაშვილი შეცდომად თვლიდა იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომელსაც ლედი მაკბეტი დანაშაულის წამქეზებლად მიაჩნია. ლედი მაკბეტი, ლ. ანდრონიკაშვილის აზრით ინტელექტუალური (ფსიქიკური) დამხმარედ უნდა ჩაითვალოს. ამ აზრს ანდრონიკაშვილი იმით ასაბუთებდა, რომ ლედი მაკბეტს არ აღუძრავს თავის ქმარში დანაშაულის ჩადენის იდეა. დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება მაკბეტს დამოუკიდებლად ადებრა (სცენას კულდინებთან ლ. ანდრონიკაშვილი ამ გადაწყვეტილების წარმოშობის სიმბოლიურ გამოხატულებად თვლიდა). ლედი მაკბეტმა მხოლოდ განამტკიცა მაკბეტის სურვილი დანაშაულის ჩადენისა იმით, რომ ცდილობდა დაეთრგუნა მისი სურვილი.

პირიქით, გაეღვივებინა ის მოტივები, კერძოდ პატივმოყვარეობა, რომელთაც მაკბეტი დანაშაულისაკენ მიჰყავდათ.

მაგრამ განსაკუთრებით ოსტატურად იმარჯვებდა ლ. ანდრონიკაშვილი თავისი ლექციებისათვის სასამართლო პრაქტიკის მაგალითებს, რომელთა მოხერხებული შერჩევისა და შეუღარებელი ანალიზის მეშვეობით მას შეეძლო გაეადვილებინა სტუდენტებისათვის ურთულესი იურიდიული ინსტრუქციებისა და ცნებების ათვისება.

ლ. ანდრონიკაშვილის ლექციის სტილისათვის დამახასიათებელი იყო დიდი ემოციურობა. იგი ლექციას ყოველთვის გატაცებით კითხულობდა, ცოცხლად განიცდიდა საკითხებს, რომლებზედაც საუბარი ჰქონდა. მართალია, ჩვეულებრივად ლექციას ნელი ხმით იწყებდა, თითქმის მოღუწეულად, მაგრამ შემდეგ ხმა თანდათან ძლიერდებოდა და უეცრად აზრთა ნაკადი ძლიერ ტალღავით გადმოხეთქავდა. ამავე დროს ანდრონიკაშვილი მოკლებული იყო ყოველგვარ ხელოვნურობას, იგი იყო მეტად ბუნებრივი და უშუალო. ლ. ანდრონიკაშვილს არ ახასიათებდა სხვადასხვა შეხედულებათა გულცივად გადმოცემა. თუ ის რომელიმე თვალსაზრისს სწორად თვლიდა, იგი თავის თანაგრძნობას ან მოწონებას დიდის ენთუზიაზმით გამოხატავდა. მაგრამ უღმობლად თავს ესხმოდა კონცეპციას, რომელიც შემცდარად ეჩვენებოდა, განსაკუთრებით, თუ ეს კონცეპცია მის ზნეობრივ შეხედულებებს ეწინააღმდეგებოდა. ლექტორის სიმბატის თუ ანტიპატის რომელიმე შეხედულების მიმართ ზოგჯერ იგრძნობოდა მისი სიტყვის ინტონაცია, მიმიკა და ა. შ. მაგალითად, როდესაც იგი გადმოცემდა კლასიკური სკოლის ერთ-ერთი მეთაურის კ. ბინდინგის დავას ფ. ლისტთან, მსმენელს, მისდა უნებლიედ, თვალწინ წარმოუდგებოდა წარბშეკრული, დრმად მოაზროვნე და მძლავრი ხმის პატრონი დარბაზული პიროვნება; ხოლო მის მოწინააღმდეგეს ფრანც ლისტს იგი წარმოადგენდა როგორც მანჯი, მაღალ ხმაზე მოლაპარაკე ვაჟბატონს, თითქოს ამით უნდოდა ხაზი გაესვა მისი მეცნიერული შეხედულებების უსაფუძვლობისა და მერყევი ხასიათისათვის.

ლ. ანდრონიკაშვილი სიტყვის დიდი ოსტატი იყო. იგი შესანიშნავად ფლობდა ორატორული ხელოვნების ხერხებს. მაგრამ იგი არ იყო იმ ტიპის ორატორი, რომელსაც სურს მოხიბლოს მსმენელი სიტყვის გარეგანი შეშვეთი, პარადოქსალური მსჯელობით ან სხვა იაფფასიანი ხერხებით, რომელთა მიზანი გარეგნული ეფექტის მოხდენაა. მისი სიტყვის სიძლიერე განპირობებული იყო უპირველეს ყოვლისა აზრის სიღრმით და გადმოცემის არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით.

პრესიით. იგი აჭერებდა მსმენელს, ვინაიდან თითონაც თვლწირფელად და ღრმად იყო დაჭერებული თავისი აზრის ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაში. მისი სიტყვა, განსაკუთრებით, როდესაც ისეთ საკითხებს ეხებოდა, რომლებიც ეთიკის პრობლემებთან არიან დაკავშირებული, ყოველთვის ღრმა გრძნობით და კეთილშობილი ბათოსით იყო გამსჭვალული. ასეთ შემთხვევებში ლექცია დიდ დრამატიულობას აღწევდა და მსმენელებზე განსაკუთრებულ აღმზრდელი მოვლას შეგავსებდა. ამავე დროს მისი სიტყვა იყო სასოფრის: მას ახასიათებდა მარჯვე ეპითეტები, ბრწყინვალე მეტაფორები, მოხდენილი შედარებები. იგი თავისუფლად ფლობდა მოდულაციებით მდიდარ ხმას; მიმიკა მეტად მეტყველი ჰქონდა, შესტაკულაცია — უადრესად ტემპერამენტური. ზოგჯერ იგი მრისხანედ შეუბღვივრდა წარმოდგენილ მოწინააღმდეგეს, ზოგჯერ კი — ოდნავ დამცინავი ღიმილით, თვალგმობურტული საჩვენებელი თითს უჭნევდა, თითქოს ამით ეუბნებოდა, „არაფერი გამოგვაო“. პაუზაც კი ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვაში მრავალმნიშვნელოვანი იყო.

ლექციის ყველა ეს გარეგანი აქსესუარი ორგანულად იყო დაკავშირებული მის შინაარსთან. ამიტომ ლ. ანდრონიკაშვილის ლექციის ჩანაწერი, მართალია, მკითხველს გააცნობს აზრის ხედვებით, ცოდნის სხვადასხვა დარგიდან გამოყენებული მასალის სიმდიდრით, მაგრამ სრულ წარმოდგენას ლ. ანდრონიკაშვილის ლექციაზე მაინც არ იძლევა. ეს გასაგებია: ლ. ანდრონიკაშვილს ჰქონდა არა მარტო შემოქმედებითი აზროვნების უნარი, არამედ აზრის ვალდებულების შეუდარებელი ნიჭიც.

ლ. ანდრონიკაშვილს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებდა. იგი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა თავის ბედაგოვიერ მოდელს. მისთვის ყოველი ლექცია მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ასეთი მაღალი ხარისხის ლექცია, ცხადია, დიდ წინასწარ მომზადებას მოითხოვდა. როგორ ემზადებოდა ლ. ანდრონიკაშვილი ლექციისათვის?

ცნობილია, რომ უნივერსიტეტის ყველა გამოჩენილი მოდელე გულდასმით ემზადება ლექციისათვის. თანაც ლექციისათვის მზადება არ ამოიწურება მხოლოდ მასალის ათვისებით, მისი გაანალიზებით და ლექციის დაწერით. ზოგიერთი ცნობილი ლექტორი წინასწარ განსაზღვრავს ხოლმე იმ გარეგან ხერხებსაც, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მსმენელთა მიერ ლექციის

ადვილად ათვისებას. მაგალითად, ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. ვ. ი. კლუჩევსკი, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო ლექტორად ითვლებოდა, ლექციამდე ვატილებოდა ადრე არა მარტო აგროვებდა და გეგმავდა მასალას და შედგენილი აზრის აზუსტებდა თითოეული ლექციის შინაარსს. არამედ აგრეთვე წინასწარ აუკლებებდა ცალკეულ ფრაზებს, შედარებებს, მეტაფორებს და ა. შ. უფრო მეტიც: პროფ. კლუჩევსკი ხშირად სარკის წინ შეარჩევდა ნოლმე ლექციის ცალკეული ნაწილებისათვის შეხვედრის პოზას, მიმიკას, ჟესტს, წინასწარ მოიფიქრებდა ხოლმე, თუ როდის უნდა აიმაღლო ან დაიდაბლო ხმა სათანადო. ადგილების ვადმოცემისას და ა. შ.<sup>1</sup> ასევე გულდასმით ემზადებოდნენ ლექციისათვის ზოგიერთი სხვა გამოჩენილი მეცნიერი-ლექტორებიც. ცნობილ ზოოლოგზე მ. ა. მენ-ზბირზე ამბობენ, რომ მისი ლექციები, რომლებიც წინასწარ მოეფიქრებული, თანაბარი და ზუსტი ფრაზებისაგან შედგებოდა, იმდენად დახვეწილ ხასიათს ატარებდნენ, რომ ზოგჯერ დაზვიანებულის შთაბეჭდილებას ახდენდნენ<sup>2</sup>.

სხვაგვარად ემზადებოდა ლექციისათვის ლ. ანდრონიკაშვილი. იგი არასდროს წინასწარ ბოლომდე არ ამზადებდა ლექციას მთელი მისი გარეგანი აქსესუარებით და წვრილმანებით. ასეთ ამოცანას ლ. ანდრონიკაშვილი მაშინაც კი არ ისახავდა როდესაც ლექციის სქემას წერილობით მოხატავდა ხოლმე ან თუნდაც ლექციას წინასწარ მთლიანად ჩაწერდა. მისთვის ლექციის მომზადება ნიშნავდა ლიტერატურის გადახედვას, საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის და სხვ. სახის მასალების შერჩევას, ძირითადი გამოსავალი დებულებების გარკვევას, რომლებზედაც აგებული იქნება ლექცია, დარაც მთავარია, შინაგან, ფსიქიკურ მომზადებას შემოქმედებითი პროცესისათვის, რომელიც მსმენლის თვალწინ უნდა გადამდებოდა. ვინც შესწრება ლექციისათვის ლ. ანდრონიკაშვილის მომზადებას, მას კარგად ახსოვს, თუ როგორ დადიოდა იგი ოთახში და ხმამაღლა ესაუბრებოდა თავის თავს. მაგრამ ეს არ იყო რეპეტიცია დაწერილი და დასწავლილი ლექციისა სარკის წინ. ეს იყო ფიქრი ხმამაღლა, დაძაბული გაუნებრივი მუშაობა, მიმართული საკითხის არსებითად გადასაჭრელად.

გასაგებია ამიტომ, რომ რა გულმოდგინედ და ღრმადაც არ უნდა ყოფილიყო მოფიქრებული საკითხი, ანდრონიკაშვილის ლექციები მაინც იმპროვიზაციას მოგვაგონებდნენ. უსმენლი ლ.

<sup>1</sup> К вопросу о методике лекций в высшей школе. Очерки. Под редакц. проф. Н. А. Константинова, Изд. МГУ, 1953, гб. 26—27, 29.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23.



ანდრონიკაშვილის და იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ლექტორის აზრი აქვე, აუდიტორიაში პირველად იხადებოდა. ერთსა და იმავე თემაზე წაკითხული ლექციები, მიუხედავად იმისა, რომ ერთ იდეურ საფუძველს ემყარებოდნენ, არასდროს არ ჰგავდნენ ერთმანეთს. საკვირველი არ არის ამიტომ, რომ სტუდენტები, რომლებსაც სურდათ საგანი ღრმად შეესწავლათ, ხშირად რამდენჯერმე უსმენდნენ ერთსა და იმავე კურსს, რომელსაც ლ. ანდრონიკაშვილი კითხულობდა. ასეთი ლექცია სტუდენტს არა მარტო სპეციალურ ცოდნას აძლევდა, არამედ, უჩვენებდა რა შემოქმედებითი აზროვნების ნიმუშს, მათაც ახამდა ამ შემოქმედებით მუშაობაში, რომელიც ლექციის დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა და ამგვარად თვით მეცნიერული კვლევის მეთოდების გამოშუშავებას ხელს უწყობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები და მოხსენებები მეცნიერული აზროვნების ფორმირების ნამდვილ სკოლას წარმოადგენდნენ.

\* \* \*

როდესაც ლ. ანდრონიკაშვილს ასაფლავებდნენ, ჩვენმა გამოჩინილმა მოღვაწემ და მისმა ახლო მეგობარმა ივანე ჭავჭავაძემ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. ეს არ იყო სამგლოვიარო სიტყვა ან სიტყვა, მიმართული დამსწრეებისადმი. მხცოვანმა მეცნიერმა თავისთვის გულისტკივილით ჩაილაპარაკა: „ლუარსაბ, შენ წახვედი როგორც შენსაწინააღმდეგობა; წახვედი და თან წაიტანე მთელი შენი სიმდიდრე და მომხიბვლელობა“. და მართლაც ანდრონიკაშვილი სწორედ ცოცხალი სიტყვით იტაცებდა და აღაფრთოვანებდა მსმენელებს. გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე წიგნის თარგმანს (მათ შორის კუნო ფიშერის „დეკარტი“ თარგმანს რუსულ ენაზე) და წათარგმნის მეცნიერულ რედაქციას, მას არ დაუტოვებია. იგი როგორც ძველი ელინელი ფილოსოფოსი უხვად აბნევდა უადრესად საინტერესო და ყოველთვის ორიგინალურ აზრებს ლექციებსა და მოხსენებებში, თვით კერძო საუბარში, მაგრამ დაუდევრად ეპყრობოდა ამ აზრების გამოქვეყნებას.

არ არის მართალი, თითქოს იგი არც წერდა. მას საკმაოდ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა: ლექციები სისხლის სამართალში, ლექციები სამოქალაქო სამართალში, ლექციები სასამართლო მკვერმეტყველების შესახებ, მოხსენებები სამართლის ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებზე. მაგრამ ყოველივე ეს ავტორის ძირითად იდეათა მოკლე ჩანაწერს წარმოადგენს, ხოლო დეტალებში გავორმებული და დასაბეჭდად საბოლოოდ გამოადგებული არ არის.

ძნელი სათქმელია, თუ რა იყო ამის მიზეზი. შეიძლება ამის მიზეზი იყო მისი ბუნებისა და მისი აზროვნების განსაკუთრებული დინამიკურობა, ან ის, რომ მას თვით შემოქმედებითი პროცესი უფრო იტაცებდა, ვიდრე ამ პროცესის შედეგი, ან მეტისმეტი მომთხროვნეობა, გადაჭარბებული სიმკაცრე საკუთარი თავის მიმართ, ან არაჩვეულებრივი მრავალმხრივობა მისი ინტერესებისა. ეს თავისებურება ანდრონიკაშვილის შემოქმედებისა — რთული ფსიქოლოგიური საკითხია. და შეიძლება ამ თავისებურებას ყველაზე უკეთესად გვიხსნიდეს თვით ლ. ანდრონიკაშვილის სიტყვები გენიალურ ელინელ ფილოსოფოსზე — პლატონზე:

„მსოფლიოს უდიდესი, შეიძლება ითქვას, პირველი მწერალი ზეპირ სიტყვას დაწერილზე მაღლა აყენებდა. დაწერილი სიტყვა, მისი აზრით, მოგვაგონებს სურათს, რომელიც მუნჯად დგას მხიფეების შეკითხვათა წინაშე. ჭეშმარიტება კი ყოველთვის დაილექტურება. მხოლოდ ცოცხალი სიტყვა გვა ჭეშმარიტებისაკენ“.

ამიტომ ჩვენ გვიხდება ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შეხედულებათა აღდგენა მისი მოკლე ჩანაწერების მიხედვით.

ამ წერილში ჩვენ შევხებით ლ. ანდრონიკაშვილის შეხედულებებს მხოლოდ ზოგიერთ სისხლისსამართლებრივ საკითხზე, აქედან პირველ რიგში აღსანიშნავია მისი შეხედულება დანაშაულის ცნების შესახებ.

ანტროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების წარმომადგენელთა ორიგინალური და დამაჭრებელი კრიტიკის შემდეგ, ანდრონიკაშვილი იძლევა დანაშაულის ცნების თავისებურ განსაზღვრას. დანაშაულის ცნების აუცილებელ ელემენტად ანდრონიკაშვილი თვლის მოქმედების საზოგადოებრივ საშიშროებას. მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროებას, მისი აზრით, წარმოადგენს ქმედობის საკანონმდებლო გზით აკრძალვის მოტივს. კანონმდებელი, კრძალავს რა რაიმე ქმედობას, ამით აღიარებს, რომ აღნიშნული ქმედობა, როგორც ტიპი, საზოგადოებრივად საშიშია. ამიტომ მოსამართლეს უფლება არა აქვს შეამოწმოს დანაშაულის ტიპის საზოგადოებრივი საშიშროება.

რამდენადაც დანაშაული იურიდიული ნორმის დარღვევას წარმოადგენს, ამდენად ანდრონიკაშვილი თვლის, რომ იგი არ შეიძლება განსაზღვრულ იქნას ამ ნორმის გარეშე. მაშასადამე, საზოგადოებრივ საშიშროებასთან ერთად, დანაშაულის აუცილებელ ელემენტად უნდა იქნას აღიარებული მისი მართლწინააღმდეგობა. რაც შეეხება ქმედობის დასჯალობას, ეს მომენტით, ლ. ანდრონიკაშვილის აზრით, არ უნდა იქნეს განხილული როგორც დანაშაულის ცნების



აუცილებელი ნიშანი. თავისი აზრის დასამტკიცებლად ლ. ანდრონიკაშვილს შემდეგი მოსაზრებები მოჰყავს:

„თუ განვსაზღვრავთ დანაშაულს სასჯელის მეშვეობით, მაშინ, როგორც ჩანს, სასჯელი იძულებული ვიქნებით განვსაზღვროთ დანაშაულის მეშვეობით. ეს მანიკერი წრე დიდი ხანია გაკრიტიკებულია მეცნიერთა მიერ“.

„მაგრამ იქნება დასჯადობის ნიშანი წარმოადგენს დანაშაულის ცნების ანალიტიკურ ნაწილს?“ — ამ კითხვაზე ლ. ანდრონიკაშვილი უარყოფითად უპასუხებს. „...დანაშაული, — მისი აზრით, — არის „გარდამავლობა“, სასჯელი, ე. ი. აკრძალვის გადაღობვა, ხოლო სასჯელი, პირიქით, ნიშნავს სახელმწიფოს საპასუხო მოქმედებას იმის გამო, რომ ამ გადაცდომას ჰქონდა ადგილი. მოქმედების ცნებიდან ანალიტიკურად არ გამომდინარეობს საწინააღმდეგო მოქმედების ცნება. მასხადამე, დანაშაულის ცნებიდანაც ანალიტიკურად სასჯელის ცნება არ გამომდინარეობს“.

იქნებ მსჯელობა „დანაშაული — დასჯადი მოქმედება“ სინთეტიკურია? ასეთ შემთხვევაში, ლ. ანდრონიკაშვილის აზრით, დამტკიცებული უნდა იქნეს, რომ ყოველ დანაშაულებრივ აქტთან აუცილებლობით არის დაკავშირებული სასჯელი. ეს დებულება კი ინდუქტიურად უნდა იქნეს შემოწმებული. ინდუქტიური ანალიზის შედეგად ლ. ანდრონიკაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მთელ რიგ შემთხვევებში დანაშაულს თან არ ახლავს სასჯელი. მაგალითად, უცხოელი, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს საზღვარგარეთ და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმყოფება, არ შეიძლება დაისაჯოს ჩვენი კანონების თანახმად. მეორე მაგალითი — პირობითი მსჯავრია: კანონი უფლებას აძლევს მოსამართლეს განსაზღვრულ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენა დამტკიცებულია, არ შეუფარდოს სასჯელი. ასეთი და მრავალი სხვა მაგალითის მოყვანით როგორც საბჭოთა, ისე უცხოური კანონმდებლობიდან ლუარსაბ ანდრონიკაშვილი იმ საბოლოო დასკვნამდე მიდიოდა, რომ დასჯადობა არ წარმოადგენს დანაშაულის აუცილებელ ელემენტს.

ჩვენი აზრით, ლ. ანდრონიკაშვილი მართალია იმ მხრივ, რომ საბჭოთა კანონმდებლობის თანახმად არა ყოველი დანაშაული აუცილებლობით იწვევს სასჯელის შეფარდებას. ეს დებულება განსაკუთრებით ყურადსაღებია დღევანდელი კანონმდებლობის თვალსაზრისით, როდესაც დანაშაულთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებებს და როდესაც დანაშაულის ჩადენი პირი შეიძლება გადაეცეს აღსაზრდელოდ მშრომელთა კოლექტივს (საზოგადოებრი-

ვი თავდებობა) ან მისი საქმე შეიძლება გადაეცეს განსახილველად ამხანაგურ სასამართლოს. მაგრამ ამავე დროს ექვს ვარეშა ისიც, რომ დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ სასჯელით დამუქრებული ქმედობა. ეს გამომდინარეობს დანაშაულის ცნების იმ განსაზღვრიდან, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის ახალ საფუძვლებშია მოცემული. საფუძვლების მე-7 მუხლის თანახმად, დანაშაულად ითვლება მართოდენ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედობა, ხოლო სისხლის სამართლის კანონი თავის მეორე ნაწილში სასჯელის მუქარას შეიცავს. ამიტომ, თუმცა სასჯელი არც ლოგიკურად და არც ფაქტიურად არ არის აუცილებლობით დაკავშირებული დანაშაულთან, მაგრამ, მეორე მხრივ, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ, რომ კანონში მითითებული სასჯელის მუქარა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივად საშიში ქმედობის (დანაშაულის) ჩამდინი პირის წინააღმდეგ, ყოველთვის დაჰმასხანათებელია დანაშაულებრივი ქმედობისათვის.

დანაშაულის ცნების აუცილებელ ელემენტად, ლ. ანდრონიკაშვილს (ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად) ბრალეულობა მიაჩნდა. თუ ქმედობის მართლწინააღმდეგობას და საზოგადოებრივ საშიშროებას იგი დანაშაულის გვარეობით ნიშნად თვლიდა, დანაშაულის სახეობით ნიშნს, რომლითაც ეს ცნება უნდა განვასხვავოთ სამართალდარღვევის სხვა სახეებისგან, იგი სწორედ მოქმედების ბრალეულ სახეადაც იხედავდა. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ლ. ანდრონიკაშვილი დაწვრილებით ეხება საკითხს დანაშაულისა და სამოქალაქო დელიქტის განსხვავების შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი საბჭოთა ლიტერატურაში ასე საფუძვლიანად არავის არ განუხილავს.

ლ. ანდრონიკაშვილი ილაშქრებს იმ თვალსაზრისის წინააღმდეგ, რომელიც ამტკიცებს დანაშაულის და სამოქალაქო დელიქტის ერთიანობას და მიჩნავს სამოქალაქო უმართლობას სისხლისსამართლებრივი უმართლობისაგან მხოლოდ მათი სანქციის მიხედვით (ეს შეხედულება გერმანულ ლიტერატურაში განსაკუთრებით განავითარა ა. მერკელმა, ხოლო რუსეთის რევოლუციამდელ ლიტერატურაში მას იცავდნენ ნ. ტაგენცვერი, ნ. სერგეევსკი, ე. ნემიროვსკი და სხვ.). ასეთი შეხედულება, რომელიც შეუძლებლად თვლის ამ ორი მოვლენის განმასხვავებელი ნიშნის დადგენას, ლ. ანდრონიკაშვილს უპრინციპობის პროკლამაციად მიაჩნდა.

იგი მართებულად არ თვლიდა იმ თვალსაზრისსაც, რომელიც გამოჰყოფს დანაშაულს სხვა სახის დარღვევისაგან ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების მომეტებული ხარისხის მი-

ხედვით. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი — რაოდენობითი ხასიათის ნიშანია. ხოლო რაოდენობითი ნიშანი ვერ ახსნის იმას, თუ რატომ არის დაკავშირებული დანაშაულთან თვისობრივად განსხვავებული სანქცია — სასჯელი.

ამ საკითხზე ლ. ანდრონიკაშვილის მსჯელობის ამოსავალი საწყისი იყო ჰეგელის შეხედულება, რომლის თანახმად სამოქალაქო დელიქტი წარმოადგენს უნებლიე უმართლობას (unbefangene Unrecht), ხოლო დანაშაული — ნებისთ უმართლობას. ჰეგელის დებულებანი გაკრიტიკებულ იქნა ბურჟუაზიულ იურისპრუდენციაში ა. მერკელის მიერ. სახელდობრ, მერკელი მიუთითებდა, რომ არსებობს შეუგნებელი დანაშაული (შეუცნობელი გაუფრთხილებლობა — negligentia) და, პირიქით, შეგნებული სამოქალაქო დარღვევა.

ლ. ანდრონიკაშვილი თავიდან იცილებს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჰეგელის შეხედულებას ახასიათებდა, მაგრამ ამავე დროს იზიარებს ჰეგელის ძირითად იდეას, რომ დანაშაულის კონსტიტუციური ნიშანი სწორედ ბრალია, ხოლო სამოქალაქო დელიქტისა — ობიექტურად მიყენებული ზარალი.

იგი მიუთითებს, რომ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის თანახმად, სასჯელის შეფარდება შეუძლებელია, თუ მოქმედება გამოწვეული არ იყო ბრალეულად, ე. ი. განზრახ ან გაუფრთხილებლობით. ამავე დროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება აუცილებელ კავშირში არ იყოს ბრალთან. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 404 მუხლი: მომეტებული საფრთხის საწარმოს პატრონი პასუხს აგებს ზიანის მიყენებისათვის, ვარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალით ან თვით დამზარალბელის განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გვხვდება აგრეთვე სატრანსპორტო სამართალში, სადაც სატრანსპორტო ორგანიზაციას აწევს ზიანის მიყენების რისკი და მასთან დაკავშირებული შედეგები. არ ეყრდნობა ბრალის პრინციპს აგრეთვე არც სახელმწიფო დაწესებულებათა და ხშირად კერძო პირთა მოვალეობა ანაზღაურონ ის ზიანი. რომელიც მათ მიაყენეს ვინმეს თავისი უფლებით სარგებლობის დროს, მაგალითად, ქალაქის მოვალეობა აუნაზღაუროს სახლის მესაკუთრეს ქუჩის პროფილის შესწორებით გამოწვეული ზიანი, ე. ი. ზიანი, მიყენებული ისეთი მოქმედებით, რომლის უფლება ქალაქს ჰქონდა. ანდა პირის ვალდებულება აუნაზღაუროს მეორე პირს უკიდურესი აუცილებლობის უფლების გამოყენებით გამოწვეული ზიანი.


„მასხადამე, სამართლის დარღვევანი შესაძლებელია იყვნენ ისეთნი, რომელნიც რეაქციის შეფარდებისათვის აუცილებლად მოითხოვენ ქმედობის კავშირს სუბიექტის ფსიქიკურ მდგომარეობასთან — ესენი არიან დანაშაულნი. ამასთან ერთად არსებობენ ისეთი სამართალდარღვევანი, რომლებსთვისაც მოქმედის შინაგან დამოკიდებულებას ქმედობასთან არა აქვს მნიშვნელობა, როგორც მაგალითად, უმართლობის შემთხვევაში შემთხვევებში. ესენი ყოველთვის სამოქალაქო სამართალდარღვევას წარმოადგენენ“.

ლ. ანდრონიკაშვილი არ უარყოფდა იმას, რომ სამოქალაქო სამართალდარღვევისთვისაც ხშირად კანონი მოითხოვს არა მარტო ზიანის არსებობას, არამედ აგრეთვე ბრალსაც. მაგრამ იგი მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ სუბიექტური მომენტი სხვადასხვა როლს ასრულებს სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დროს. შინაგანი ფსიქიკური დამოკიდებულების ხასიათი და ხარისხი არასდროს არ ახდენს შემოქმედებას ქონებრივი პასუხისმგებლობის ოდენობაზე. ზარალის ანაზღაურებისათვის მნიშვნელოვან არა აქვს იმას, გამოიხატებოდა თუ არა ბრალი განზრახვაში თუ გაუფრთხილებლობაში, მძიმე იყო ეს ბრალი თუ მსუბუქი. პირიქით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხასიათზე და ოდენობაზე შეგავლენას ახდენს არა მარტო ბრალის ფორმა და მისი ხარისხი, არამედ ჩადენილი ქმედობის სუბიექტური მხარის სხვა ნიუანსებიც.

დაბოლოს, — აღნიშნავს ლ. ანდრონიკაშვილი, — დანაშაულის სუბიექტურ მხარეს ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, რომ ეს პასუხისმგებლობა შეიძლება დასაბუთებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც პირის მოქმედებას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია. სახელდობრ, პიროვნების ბრალეულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას საზოგადოებრივად საშიში შედეგისათვის ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის დასჯადობისათვის.

აქედან ლ. ანდრონიკაშვილს გამოჰყავდა შემდეგი დასკვნა:

დანაშაულისათვის აუცილებელია შეგნებისა და ნების განსაზღვრული დამოკიდებულება ჩადენილ მოქმედებასთან და შედეგთან, ხოლო ზიანის ნამდვილად მიყენება არ არის სავალდებულო, მაშინ როდესაც სამოქალაქო დელიქტის არხი სწორედ გარეგანი ზიანის მიყენებაში მდგომარეობს და პასუხისმგებლობის მოცულობა ზიანის ოდენობაზეა დამოკიდებული, ხოლო დამაზიანებელ მოქმედებასთან ნებისა და



შეგნების დამოკიდებულების განსაკუთრებულ თვისებას მნიშვნელობა არა აქვს.

ასეთია ლ. ანდრონიკაშვილის შეხედულება დანაშაულისა და სამოქალაქო დელიქტის განსხვავების შესახებ. იმისდამიუხედავად, მთლიანად გავიწიარებთ თუ არა ამ შეხედულებას, ერთი რამ უდავოა: თუმცა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი გაბატონებულია საბჭოთა სამოქალაქო სამართალში, მაგრამ იგი არ არის საყოველთაო და შეუზღუდველი პრინციპი. გამონაკლისი საერთო წესიდან იმდენად ბევრია, თანაც ეს გამონაკლისები იმდენად დასაბუთებული და მყარია, რომ ისინი არ შეიძლება დროებით მოკლებულ ან წარსულის გადმონაშთად ჩაითვალოს, რომელნიც სამოქალაქო დელიქტური პასუხისმგებლობის საკითხის შემდგომი განვითარებისას უნდა გაჰქრნენ.

ღრმა ფილოსოფიური მომზადება და შეგნება იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები მჭიდროდ არის დაკავშირებული ეთიკის უღრმეს საფუძვლებთან, საშუალებას აძლევს ლ. ანდრონიკაშვილს დააყენოს და თავისებურად გადაჭრას შერაცხადობისა და, ამასთან დაკავშირებით, ნებისყოფის თავისუფლების პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ამ პრობლემას ლ. ანდრონიკაშვილი ხშირად უბრუნდებოდა, ხოლო განსაკუთრებით ჩამოყალიბებული სახით იგი მოგვცა მოხსენებაში დამცველთა კოლეგიის წევრებისათვის 1938 წლის 23 ნოემბერს.

ლ. ანდრონიკაშვილი მოკლედ ჩერდება კლასიკური სკოლის იმ ადრინდელ წარმომადგენლებზე, რომლებიც გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ, რომ არავრით არ განპირობებული ნებისყოფის განუსაზღვრელი თავისუფლება შეიძლება დამტკიცებულ იქნეს „ბურიდანის ვირის“ მსგავსი მაგალითებით ან მითითებით ჩვენს გრძნობებზე. დღეს ასეთ არგუმენტაციას თვით კლასიკური სკოლის წარმომადგენლებიც აღარ მიმართავენ.

შეორე მხრივ, ანდრონიკაშვილი მიუთითებს ანტროპოლოგიური და სოციოლოგიური სკოლების ანტიდემოკრატიულ და რეაქციულ ხასიათზე. ამ სკოლებმა, რომლებმაც უარყვეს კანონით აკრძალული ქმედობა, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი და სასჯელის საგნად პიროვნების საშინო მდგომარეობა აღიარეს, ამით უკუაგდეს ბრალის და შერაცხადობის ცნებანი და საბოლო-

ოდ — თვით პრინციპი სამართლის საწყისებზე აგებული პასუხისმგებლობისა.

უფრო დაწვრილებით ლ. ანდრონიკაშვილი ჩერდება იმ შეხედულებაზე, რომელსაც შერაცხადობის ცნება სასჯელის ამოცანებიდან გამოჰყავს. ეს აზრი პირველად ა. ფეიერბახმა გამოთქვა, მაგრამ დაწვრილებით რუსეთის რევოლუციამდელი სისხლის სამართლის მეცნიერების კორიფეებმა ნ. ტაგანცევა და ნ. სერგეევსკიმ დაასაბუთეს. მხოლოდ ნ. ტაგანცევის შრომის შემდეგ დაუბრუნდა ევროპის მეცნიერება ა. ფეიერბახის მიერ დასახულ გზას, თანაც შერაცხადობის პრობლემის გადაჭრისას ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტი თავისდა შეუცნობლად ნ. ტაგანცევის აზრებს იმეორებს.

ნ. ტაგანცევისა და ნ. სერგეევსკის აზრით, შეხედულება შერაცხადობაზე სხვადასხვა იქნება იმისდა მიხედვით, თუ რა ითვლება სასჯელის ამოცანად. მაგალითად, თუ ვინმე თვლის, რომ სასჯელის ამოცანა სამაგიეროს მიზლაში მდგომარეობს, მაშინ მან შერაცხადობის ცნება უნდა დაასაბუთოს ნებისყოფის თავისუფლების საფუძველზე. ვინც სასჯელის ამოცანას გამოსწორებაში ხედავს, მისთვის შერაცხადობა და გამოსწორების უნარი ერთი და იგივე უნდა იყოს და ა. შ.<sup>1</sup>

ლ. ანდრონიკაშვილი ილაშქრებს ამ შეხედულების წინააღმდეგ და ასაბუთებს, რომ თუ სასჯელის მიზნად ჩავთვალთ სამაგიეროს მიზლა, გაუგებარია, როგორ უნდა გამოვიყვანოთ აქედან შერაცხადობისა და ბრალის ცნება. ნამაგიეროს მიზლას, როგორც მიზანს, არ შეუძლია შექმნას შერაცხადობის ცნება, პირიქით, თვით სამაგიეროს მიზლა გულისხმობს, როგორც თავის წინამძღვარს, შერაცხადობას და მასთან ერთად, ბრალს.

მაგრამ იქნებ შერაცხადობის ცნება შეიძლება ეფუძნებოდეს სასჯელის ზოგად ან კერძო პრევენციულ ამოცანებს — დაშინებას ან გამოსწორებას? ამ საკითხთან დაკავშირებით ლ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს ფ. ლისტის მოხსენებაზე „შერაცხადობის სისხლისსამართლებრივი უნარის შესახებ“<sup>2</sup>, რომელიც მან 1896 წელს ფსიქოლოგების 111 საერთაშორისო კონგრესზე გააკითა. ფ. ლისტის აზრით, შერაცხადობის უნარიანი ის არის, ვისაც აქვს მოტივებით ნორმალურად დეტერმინაციის უნარი. ეს უნარი სასჯელის პირობას წარმოადგენს. სასჯელმა უნდა მოახდინოს მოტივაციური ზეგავლენა დამ-

<sup>1</sup> Н. Д. Сергеевский, Русское уголовное право. Посobie к лекциям. Изд. 11-ое, Петроград, 1915, стр. 218—219.

<sup>2</sup> F. Liszt, Die strafrechtliche Zurechnungsfähigkeit, „Strafrechtliche Aufsätze und Vorträge“. Zweiter Band, Berlin, 1905, 83. 214.

საქართველო  
საქართველოს  
საქართველოს

ნაშვევზე, გამოასწოროს ან დააშინოს იგი. ამასთან ერთად ფ. ლისტი აღიარებს გამოუსწორებელი და ჩვეულებითი დამნაშავეების არსებობას, რომლებიც მოკლებული არიან ნორმალური დეტერმინაციის უნარს. ასეთი დამნაშავეები ფ. ლისტმა შეურაცხველ პირებად გამოაცხადა. ფ. ლისტის აზრით, ისინი მოთავსებულ უნდა იქნენ საიზოლაციო სახლებში, ვიდრე არ მოკვდებიან.

ლ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს, რომ „ამ მოხსენებით ლისტმა აბსურდამდე მიიყვანა შეხედულება, რომლის თანახმად შერაცხადობა და მისი ელემენტები აგებული უნდა იქნენ სასჯელის ამოცანებზე. რეციდივი, ჩადენილი სასჯელის მოხდის შემდეგ, ამ შეხედულების თანახმად, აუქმებს შერაცხადობის საკითხს, ვინაიდან სასჯელმა არ მოახდინა შემოქმედება სუბიექტის ფსიქიკაზე, ხოლო შერაცხადობას ეს შეხედულება თვლის სასჯელის მოტივაციური შეგავლენისათვის დამორჩილების ფსიქოლოგიურ უნარად“.

ლ. ანდრონიკაშვილი ემხრობა იმ შეხედულებას, რომლის თანახმად შერაცხადობის ცნება სასჯელის ცნებაზე კი არ უნდა ავაგოთ, არამედ დანაშაულის ცნებაზე; ამასთანავე მიუთითებს, რომ შერაცხადობის ცნება დაკავშირებული უნდა იქნეს დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან, ე. ი. ბრალთან.

ლ. ანდრონიკაშვილის აზრით, შერაცხადობის ცნება გულისხმობს როგორც თავის აუცილებელ წინაპირობას, ადამიანის უნარს სხვაგვარად იმოქმედოს. მაგრამ ადამიანის უნარი სხვაგვარად იმოქმედოს არ არის დაკავშირებული ნებისყოფის თავისუფლებასთან. თავის მოხსენებაში ანდრონიკაშვილი იმ აზრს ავითარებს, რომ „შერაცხადობის საკითხი წყდება სასამართლოში, კანონმდებლობაში და თვით მეცნიერთა შრომებში ხალხური წარმოდგენებისა და იმ საყოფაცხოვრებო გამოცდილების საფუძველზე, რომელიც გვეუბნება, რომ თუ კანონები სიცოცხლისუნარიანნი არიან — ეს იმიტომ, რომ მათ ასრულებენ, ხოლო კანონთა შესრულება იმას ამტკიცებს, რომ საშუალო ადამიანს აქვს მათი შესრულების უნარი“. მაგალითად, არც ერთ მოსამართლეს აზრად არ მოუვა, რომ სხვაგვარად მოქმედების შესაძლებლობა, რომელსაც იგი დამნაშავეს მიაწერს, ნებისყოფის თავისუფლების ფილოსოფიურ პრობლემას დაუკავშიროს, თუმცა იგი დარწმუნებულია, რომ არავითარი ფაქტში არ აიძულებდა დამნაშავეს მოქცეულიყო ისე, როგორც იგი მოიქცა. ეს რწმენა დამყარებულია გამოცდილებაზე, ცხოვრების შთაბეჭდილებებზე და არა ნებისყოფის მეტაფიზიკური თავისუფლების აღი-

არებაზე. იგივე უნდა ითქვას სხვადასხვა სახის კანონმდებლობებზე, რომლებიც ძირითადად შერაცხადობის ერთნაირ ფორმულას იძლევიან და რომელიც აღიარებენ ნებისყოფის თავისუფლებას მაშინ, როდესაც ნებისყოფა არ იყო ავადმყოფური, ან ბავშვისა, ან ნაიძულევი ან შეცდომაში შეყვანილი. ეს არის ფსიქოლოგიური, საყოფაცხოვრებო თავისუფლება და არა ცდისმიღმა არსებული თავისუფლება. თავისი აზრის დამამტკიცებელ საბუთს ლ. ანდრონიკაშვილი ხედავს აგრეთვე იმ საინტერესო ფაქტში, რომ მეცნიერები, რომლებიც სულ სხვადასხვა აზრისა არიან ნებისყოფის თავისუფლების პრობლემაზე, შერაცხადობას ძირითადად ერთგვაროვნად განსაზღვრავენ, იმისდა მიუხედავად, დეტერმინისტები არიან ისინი თუ ინდეტერმინისტები.

ლ. ანდრონიკაშვილის შეხედულებას, რომ შერაცხადობის პრობლემა სისხლის სამართალში შეიძლება გადაჭრილ იქნეს აუცილებლობისა და ნებისყოფის თავისუფლების პრობლემის გარეშე, ჩვენ ვერ დავეთანხმებით. პიროვნების უნარი სხვანაირად იმოქმედოს შეუძლებელია განხილულ იქნეს მხოლოდ საყოფაცხოვრებო შეხედულებების საფუძველზე. ჩვენი საყოფაცხოვრებო შეხედულებები ამ შემთხვევაში ასახვენ ადამიანის რეალურ უნარს. აღსანიშნავია, რომ თვით ლ. ანდრონიკაშვილი არ ჩერდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო შეხედულებებზე, არამედ მოხსენების მეორე ნაწილში იძლევა ადამიანის სხვაგვარად მოქმედების უნარის ღრმა და დამაჯერებელ თეორიულ დასაბუთებას.

ლ. ანდრონიკაშვილი მიუთითებს, რომ ადამიანის მოქმედება მიზეზობრივ კანონს ემორჩილება, იგი კანონზომიერია, მაგრამ ამავე დროს ეს კანონზომიერება განსაკუთრებულ ხასიათს ატარებს. ადამიანის მოქმედებაზე შეგავლენას ახდენენ მექანიკური, ორგანიზმული და ფსიქოლოგიური კანონები, თანაც ეფექტი უბრალო ჯამს კი არ წარმოადგენს, არამედ ახალ თვისებას იძლევა. სწორედ ამის გამო ადამიანის მოქმედების წინასწარ ზუსტად განჭვრეტა ყოველთვის როდია შესაძლებელი და სწორედ ამიტომ შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მოქმედება აბსოლუტური უცილობლობით იყო განპირობებული და ადამიანს არ შეეძლო მოქცეულიყო ისე, როგორც იქცევიან დანარჩენი მოქალაქეები.

ლ. ანდრონიკაშვილს სწორად არ მიაჩნია ის დებულება, თითქოს განუხორციელებელი შესაძლებლობა ნიშნავს შეუძლებლობას. მარქსისტული ფილოსოფიის შესაბამისად იგი აღიარებს ობიექტური შესაძლებლობის კატეგორიის არსებობას, ხოლო იმ გარემოებას, რომ ადამი-



ანმა შეიძლება გამოასწოროს მის მიერ დაშვებული შეცდომები — თვლის იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ობიექტური შესაძლებლობა — გამოცდილებით დადასტურებული იდეა.

დაბოლოს ლ. ანდრონიკაშვილს შემდეგი არგუმენტი მოჰყავს:

დანაშაული არ არის თვითმიზანი. იგი ყოველთვის საშუალებაა მიზნის განსახორციელებლად. საშუალებას მიზნისათვის ირჩევენ. საშუალების არჩევაც წინასწარი მიზნით არის განპირობებული. იმისათვის, რომ დავასაბუთოთ საშუალების არჩევის შესაძლებლობა. სრულიად არ არის საჭირო დაეუშვათ ნებისყოფის მეტაფიზიკური თავისუფლება. საშუალებების არჩევის შესაძლებლობა თვით მიზნიდან გამომდინარეობს. ამიტომ მართებულიად შეიძლება დაისვას საკითხი—რატომ აირჩია პირმა დანაშაულებრივი გზა თავისი მიზნის განსახორციელებლად. ეს უკანასკნელი არგუმენტი იმ დებულების სასარგებლოდ, რომ ადამიანს აქვს უნარი სხვანაირად იმოქმედოს, საბჭოთა სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში პირველად იყო წამოყენებული ლ. ანდრონიკაშვილის მიერ.

ამავე მოხსენებაში ლ. ანდრონიკაშვილმა წამოაყენა წინადადებანი შეურაცხველობის საკანონმდებლო ფორმულის შესახებ. იგი მიუთითებდა, რომ შეურაცხველობის კრიტერიუმი კონსტრუირებულ უნდა იქნეს სინთეზურად:

ა) ეს კრიტერიუმი ორიენტირებულ უნდა იქნეს დანაშაულის ცნებაზე, სახელდობრ მის შინაგან მხარეზე (ფსიქოლოგიური კრიტერიუმი); ბ) ფსიქოლოგიური კრიტერიუმი უნდა იქნეს დაკავშირებული ბიოლოგიურთან, ე. ი. იმ მდგომარეობებთან, რომელნიც გამოირიცხავენ შეგნებისა და ნორმალური ნებელობის უნარს. ამ მდგომარეობებში ლ. ანდრონიკაშვილი, სულით ავადმყოფობასა და სხვა ავადმყოფურ მდგომარეობასთან ერთად, გულისხმობდა ჭკუასუსტობასაც, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართალში პირველად გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ საბჭოთა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებში.

ჩვენ არ შევჩებებით შერაცხადობისა და შეურაცხველობის პრობლემის სხვა საკითხებს, რომლებიც ლ. ანდრონიკაშვილს ფილოსოფიისა და იურიისპრობლემების დრმა ცოდნით და ოსტატურად აქვს დამუშავებული აღნიშნულ მოხსენებაში და ლექციებში (არსებობს რამდენიმე ვარიანტი). აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ ლ. ანდრონიკაშვილის ნაშრომთა გამოქვეყნებამ როგორც ამ პრობლემაზე, ისე სისხლის სამართლის ზოგიერთ სხვა საკვანძო პრობლემაზე შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების ძირითად და ურთულეს საკითხთა გარკვევაში.

## პიკვედი იუკირიუდი ჟუკნადი საქართველოში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლის თავზე, 1926 წლის მარტში, შესაძლებელი გახდა ქართულ ენაზე გამოცემულიყო პირველი იურიდიული ჟურნალი სახელწოდებით — „საბჭოთა სამართალი“. მისი გამომცემელი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარიატი და იურიდიული საზოგადოება. რედაქციის მისამართი იყო: თბილისი, სასამართლოს ქუჩა № 32.

ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ ორკვირეული ორგანო იყო, მას ჰქონდა მუდმივი განყოფილებები: საბჭოთა კანონმდებლობის მიმოხილვა, სასამართლოს ცხოვრება, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია და იურიდიული დახმარება.

1926 წელს გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი.

1927 წელს ჟურნალი ტექნიკური მიზეზების გამო არ გამოსულა. რედაქცია თავის მკითხველებს შემდეგს აუწყებდა: „გასულ წელს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა გამოსცა „საბჭოთა სამართლის“ ერთი ნომერი. სხვადასხვა დაბრკოლებათა და აგრეთვე ტექნიკური მიზეზების გამო ჟურნალმა დროებით შეწყვიტა არსებობა, მაგრამ არა საბოლოოდ, დღეს ახალი ძალებით და ენერგიით ვუძღვებით ჩვენი ჟურნალის განახლებას“.

ჟურნალში სხვადასხვა დროს თანამშრომლობდნენ იუსტიციის მოწინავე მუშაკები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. ესენი იყვნენ: ს. ამბლობელი, ლ. ანდრონიკაშვილი, ალ. ვაჩიშვილი, ირ. სურგულაძე, გ. ნანიშვილი, ი. ვარძიელი, ფ. მახარაძე, შ. ნუცუბიძე, შ. მესხიშვილი, დ. გაბაშვილი, თ. დოლიძე, ა. კაჭარავა, ა. კოსტავა, კ. მიქელაძე, ი. როინიშვილი, ივ. სურგულაძე, გრ. რცხილაძე, კ. ბაქრაძე, ს. სიჭინავა, ი. ტალახაძე, ე. ტატიშვილი, პ. ქავთარაძე, მ. ქორქაშვილი, ს. ქავთარაძე, ა. გელოვანი, ლ. შურღაია, ს. ჩხეიძე, პ. ჯაფარიძე, გ. ქილიფთარი, შ. ზედგინიძე, ი. კაციტაძე, მ. დვამიანა, გ. ბააზოვი, კ. ლოლობელი, ი. მასხულია, გ. ხერხეულიძე, ბ. ფურცხვანიძე, ს. დადიანი, ე. როდონაია, გ. გიორგაძე, გ. ერისთავი, ი. ავაქიძე, ი. პავლიაშვილი და სხვ.

მართლაც უკვე 1928 წლიდან ჟურნალი სისტემატურად იწყებს გამოსვლას: ამ წელს სულ გამოვიდა 24 ნომერი, ხოლო 1929 წელს კი რვა ნომერი.

ჟურნალს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიოდნენ: ი. ვარძიელი, ა.

კაჭარავა, პროფ. შ. ნუცუბიძე, ი. ტალახაძე, ი. როინიშვილი, ს. ჯაფარიძე, კ. მიქელაძე და პ. ქავთარაძე. რედაქტორი იყო ი. ვარძიელი.

1928 წლის მეხუთე ნომრიდან ჟურნალს რედაქტორობდა იუსტიციის ახალი სახალხო კომისარი შ. მათიკაშვილი. ამ დროს ჟურნალის სარედაქციო კოლეგია ნაწილობრივ შეიცვალა, მასში იყვნენ: ი. ტალახაძე, თ. დოლიძე, ბ. ბერიძე, შ. ნუცუბიძე, კ. მიქელაძე და ევდ. ენუქიძე.

ჟურნალის ამოცანები პირველსავე მოწინავე წერილში შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „ჟურნალმა უნდა მოგვეცეს რევოლუციონური კანონიერების სწორი გაგება, უნდა გადაათვალიეროს ყველა ის მეთოდი, რითაც დღეს ეს კანონიერება ტარდება ცხოვრებაში, გამოიკვლიოს მათი ავტორიანობა და ყოველი დონე იხმაროს მათ გასაუმჯობესებლად. უნდა ცხადყოფს აგრეთვე ყოველივე შესაძლებელი დამახინჯება ამ სფეროში. გარდა ამისა ჟურნალის დანიშნულებას ყოველმხრივ გააშუქოს იუსტიციის და ადგილობრივ ორგანოთა მოქმედება, ასევე იურიდიული საზოგადოებისა და დამცველთა კოლეგიის მოღვაწეობა, დაბოლოს მიაწოდოს იუსტიციის მუშაკთა საჭირო საკანონმდებლო, საინსტრუქციო სახელმძღვანელო მასალა, რომელსაც ადვილს დაუთმობს თავის ოფიციალურ ნაწილში. ყველა ამით ჩვენი ჟურნალი არა მარტო გაუმახვილებს იუსტიციის პრაქტიკულ მუშაკს გონებას, არა მარტო გაუფართოებს მას მხედველობის არეს და გადაუღმის შეგნებული აღმშენებლობის ფართო ასპარეზს, არამედ მიაღწევს კიდევ ერთს, მეტად მნიშვნელოვან მიზანს: შეაკავშირებს ორგანიზაციულად და იდეურად იუსტიციის ყველა მოღვაწეს, შეამჭიდროებს და განამტკიცებს მათ რიგებს იმისათვის, რომ მათ თავისი ამხანაგური, შეთანხმებული შრომით, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მიზან-ამოცანების სრული შეგნებით ხელი შეუწყონ ჩვენი ქვეყნის განმტკიცებას პოლიტიკურად და ეკონომიურად“.

ჟურნალის ფურცლებზე ასახვა ჰპოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებულმა ისტორიულმა მოვლენებმა.

ჟურნალში სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები და სტატიები მთელ რიგ საინტერესო საკითხებსა და პრობლემებზე, როგორცაა: სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის, სამოქალაქო სამართლის, საოჯახო კანონთა კოდექსების პროექტებზე, პრო-



კურატურის, სასამართლოს, ადვოკატურის სტრუქტურის, მათი ამოცანების შესახებ და სხვ.

ფრად საინტერესოა, რომ 1922 წლის 20 მაისს ვ. ი. ლენინის მიერ დაწერილი წერილს „ორმაგი დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ“ პირველი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ამ ჟურნალის ფურცლებზე (1929 წ. № 2). ლენინის ამ წერილმა, როგორც ცნობილია, დიდი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა სამართლის განვითარებაშიც.

ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა სერგო ამადლოზელის მეტად საინტერესო წერილი „ლენინი როგორც იურისტი“, რომელსაც წინ წამძღვარებული აქვს ეპიგრაფად პროფ. ვ. ბოშოს სიტყვები: „ყველაზე მცირეა დაწერილი როგორც იურისტზე“. ეს ის დრო იყო, როდესაც ლენინზე როგორც იურისტზე პირველად ყალიბდებოდა შეხედულებათა სისტემა. ამ დროისათვის დაწერილი იყო მხოლოდ პროფ. ვ. ბოშოს პატარა წერილი, ე. პაშუკანისის „ლენინი სამართლის შესახებ“ და პროფ. ა. გოიხბარგის რამდენიმე წერილი, რომლებიც თვით ს. ამადლოზელის თქმით მოგონებების ხასიათს ატარებდნენ.

ქართულ (და არა მარტო ქართულ სინამდვილეში) ს. ამადლოზელი პირველი იყო, რომელმაც მთელი სერიოზულობით მოჰკიდა ხელი თემის „ლენინი როგორც იურისტი“ ყოველმხრივ შესწავლასა და დამუშავებას.

როგორც ცნობილია ს. ამადლოზელმა ამ თემაზე დაწერა და გამოაქვეყნა კიდევ მეორე წერილი „ლენინი და რევოლუციონური სამართალი“. (ჟურნალი „მნათობი“, 1928 წ. № 10). „არსებითად, — წერს ს. ამადლოზელი, — ლენინის როგორც იურისტის შესწავლა მრავალმხრივ არის საინტერესო. საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის დარგში ლენინის როლი როგორც თეორეტიკოსისა და რევოლუციის ბელადისა, განუზომელია... საბჭოთა საოჯახო სამართლის ჩამოყალიბება არსებითად ემყარება ლენინის სწავლას ქალის გათავისუფლების შესახებ. აქ უფლებრივ ხასიათს იღებს ის პოლიტიკური და ეკონომიური ზომები, რომლებიც ლენინის მიერ მიჩნეული იყო ქალის სრული გათავისუფლებისათვის.

ლენინი სოციალისტური სამართლის პოლიტიკის დარგის გიგანტური მოაზროვნე და მეგრძობლია.

ლენინის როგორც იურისტის შესწავლით შეიძლება გაცნობა არა მარტო იმ კონკრეტულ იურიდიული მასალისა, რაც ლენინის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა, არამედ იმ იურიდიული თვალსაზრისის მეთოდისა, რითაც უნდა ვხელმძღვანელობდეთ იურიდიული აზროვნების დროს.

სამართლის ფილოსოფიის ისტორიას ლენინის ბაღალი პიროვნება არა ჰყავს“ — დასკვნის ავტორი.

ამ წინატიერესო წერილების ავტორს, როგორც თვითონ წერდა, განზრახვა ჰქონდა დაეწერა ვრცელი მონოგრაფია თემაზე „ლენინი როგორც იურისტი“. განახორციელა თუ არა თავისი განზრახვა ავტორმა, დღემდე ცნობილი არ არის. შესაძლებელია ასეთი შრომა დაიწერა კიდევ, მაგრამ გამოქვეყნებული არ ყოფილა.

ჟურნალში შუქდებოდა იურიდიული საზოგადოების მოღვაწეობაც რაც, როგორც ირკვევა, ფართო მასშტაბით წარმოებდა.

1926 წელს თებერვალში იურიდიული საზოგადოება მთელი ერთი კვირის განმავლობაში თავის სხდომებზე იხილავდა წყლის კოდექსის პროექტს ამიერკავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისათვის და მიიღო სათანადო რეზოლუცია.

ჟურნალი ასევე თავის ფურცლებზე ადგილს უთმობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო იურიდიული წრის მუშაობის ამსახველ მასალებსაც. ამ საკითხისადმი მიძღვნილი ა. ჭინჭარაძის წერილი.

საყოველთაო ინტერესი და მოწონება დაიმსახურა პროფ. შალვა ნუცუბიძის წერილებმა „შინაგანი რწმენა, როგორც განაჩენის უზუნავესი საფუძველი“, „მატერიალური ქეშმარიტება და სამართლის თაოსნობა“ და იონა ბოჭორიშვილის წერილმა „ფსიქოლოგიური მხარე მოწმის ჩვენებაში“. ამ წერილებს დღემდე არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

ჟურნალში დაიბეჭდა მასალები იურიდიული ტერმინოლოგიის შესახებ, რომელიც პირველად საქართველოში დაამუშავა პ. ქავთარაძემ. იურიდიული ტერმინოლოგიის მასალებმა გამომხატურება გამოიწვია, გამოქვეყნდა ბ. ფურცხვანიძის წერილი — „ზოგადი მოსაზრებანი პ. ქავთარაძის შრომის შესახებ“.

გამოქვეყნდა აგრეთვე საინტერესო წერილები, როგორცაა: მირ. მაჭავარიანი — „პროსტიტუცია როგორც დანაშაული“, ს. ამადლოზელი — „საბჭოთა სახელმწიფო, სამართალი და უნივერსიტეტი (სოციალისტური ზნეობის სამი ფაქტორი)“, ს. დადიანი — „იურიდიული და ფაქტობრივი სიმართლე და დამცველი“, თ. დოლიძე — „პრესა და პროკურატურა“, კ. მიქელაძე — „სასამართლო შემოქმედება სამართლის სფეროში“, გრ. რეხილაძე — „მორალური ზიანის ანაზღაურება“, ირ. სურგულაძე — „საჯარი უფლებრივი ხელშეკრულების პრობლემა“, ი. კაციტაძე — „პირობითი მსჯავრის შეფარდების შესახებ“, გ. ბააზოვი — „ქართული უნივერსიტეტის ათი წელი“ და სხვ.

1926-28 წლებში პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი კანონის სტაბილიზაციისათვის. ამავე წლებში დაიწყო გაცხოველებული მუშაობა კანონთა კოდექსების შესაქმნელად. როგორც ცნობილია ასეთი მუშაობა

დიდი წარმატებით დაგვირგვინდა. 1928 წელს გამოცემული კანონთა კოდექსები რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მოქმედებდნენ.

1926 წელს ჟურნალმა თავის ფურცლებზე ჟურნალის რედაქტორის ი. ვარძიელის წერილით „საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა ახალი კოდექსის პროექტი“ გახსნა დისკუსია, რომელსაც წერილები მიუძღვნეს: ა. კოსტავამ — „ახალი რამ საქორწინო და საოჯახო კოდექსის პროექტზე“, კ. დანელიამ — „ქორწინება საოჯახო სამართლის კოდექსის პროექტში“, ე. მირიანაშვილმა — „ქორწინების შეკვრის წესი“ და სხვ.

ჟურნალმა ასეთივე დისკუსია გაშალა სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტებზე. ამ საკითხებს ჟურნალმა მიუძღვნა შემდეგი წერილები: ი. როინიშვილის — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი“, შ. ზედგინიძის — „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145 მუხლის შესახებ“, გ. ტატიშვილის — „მოკლევი ორგანოები სსსკ 105, 106 მუხლებით“, ივ. სურგულაძე — „რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტი“, ი. აფაქიძე — „ქონებრივი დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსში“, ი. როინიშვილი — „სისხლის სამართლის პროცესის გამარტივების გარშემო“, ივ. სურგულაძე — „სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ზოგადი ნაწილის შესახებ“, კ. ბაქრაძე — „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამარტივებისათვის“, შ. ღვამიჩავა — „სისხლის სამართლის პროცესის გამარტივება“, ე. როდონაია — „პროცესის გამარტივებისათვის“, ი. ვადაჭკორია — „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი პროექტის გამო“, გ. ხერხეულიძე — „სისხლის სამართლის კოდექსის გამარტივებისათვის“, ი. გულორდავა — „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამარტივებისათვის“, გ. ქილიფთარი — „პროცესის გამარტივებისათვის“ და სხვ.

ჟურნალში (1928 წ. № 5) დაიბეჭდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავგუდომარის ალექსანდრე კაჭარავას წერილი, რომელიც ეხებოდა პროკურატურის, სახალხო სასამართლოს და საბჭოთა ადვოკატურის დაარსების ისტორიასა და იმ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე იყო დასახული.

როგორც ცნობილია, ადვოკატურა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეიქმნა, იგი საბჭოთა საქართველოს პირმოთა.

პირველ ათეულ წლებში ადვოკატურის წინაშე მრავალი საკითხი დისკვა. ახალი, განახლებული ცხოვრება, რევოლუციის ინტერესები ახალ ამოცანებს აყენებდა. იმ დროს ბევრს კარგად არც კი ესმოდა ადვოკატურის როლი და მნიშვნელობა საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

1928 წელს გამოჩენილმა ქართველმა ადვოკატმა მიხეილ ღვამიჩავამ ჟურნალში დაბეჭდა სადისკუსიო წერილი „ადვოკატურა“. ამ წერილს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. წერილის ავტორი მოკლედ იხილავდა ადვოკატურის ისტორიას. მას მოყვანილი აქვს დიდი ფრანგი იურისტისა და რევოლუციონერის რობესპიერის ცნობილი სიტყვები: „მხოლოდ ადვოკატურის პროფესიაში იყვნენ ვაჟაკები, რომელნიც სინიღისით და სისხლით ეძებდნენ ჭეშმარიტებას, მხოლოდ აქ იყო შესაძლებელი მოქალაქეობრივი კეთილშობილების დაცვა. აქ პოულობდა ნიჭი საშუალებას ხალხის ინტერესების დაცვისათვის“.

წერილში გამახვილებული იყო ყურადღება ყველა დროის ადვოკატურის ისტორიაში ცნობილ საკითხზე — შეიძლება თუ არა სამართალში მიცემულის დაცვა ყველა შემთხვევაში. ამის გარშემო წერილის ავტორს მოყვანილი აქვს ცნობილი რუსი იურისტების კონისა და კაზარინოვის სიტყვები: „არ არის ისე დაცემული და ისეთი ბოროტ მოქმედი ადამიანი — ამბობდა კონი — რომელშიც სრულიად დანართილული იყოს ადამიანის სახე და რომლის შესახებ შეუძლებელი იყოს შედაგათზე სიტყვის თქმა“.

ადვოკატი კაზარინოვი, რომელიც იცავდა ოღალე შტინს, თავის სიტყვაში ამბობდა: „ბრალდებული ჩაეფლო დანაშაულის მორევში, ყოველგვარი კეთილშობილება მას ჩამოშორდა. მოსამართლეთა გული სავეა სიბრძნით და გამამტყუნებელი განაჩენი უკვე მზადა. ასეთი საქმე, ვადა იმ არის სიმპატიური, მაგრამ იმის ფიქრი, რომ დაცვა ან მონაწილეობა ამ საქმეში შავ ჩრდილად ედება დამცველს, რომ ასეთი საქმის მიღება შეუძლებელია, ეს იქნება სრული შეუგნებლობა დამცველის როლისა და მოვალეობისა. სწორედ ასეთ საქმეშია საჭირო ძლიერი დაცვა, რომელმაც უნდა ადადგინოს ბრალდებულსა და საზოგადოებას შორის შეწყვეტილი ურთიერთობა, კავშირი, მან უნდა აჩვენოს ყველამ, რომ ბრალდებული ადამიანია, მას აქვს მისი სახე, რომ ის არის მსხვერპლი უბედური შემთხვევისა, გააღვიძოს მასში გრძნობა მონანიებისა, რწმენა და სიყვარული ადამიანისადმი, შეამსუბუქოს მისი ხედი“.

1928 წლისათვის იურიდიულ წრეებში მომწიფდა აზრი დამცველთა კოლეგიის კოლექტიურად მოწყობის შესახებ. იურისტ კამბრეკ ურუშაძის თაოსნობით იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაიწყო მზადება დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის. ახალი დებულების პროექტში დამცველთა კოლეგიის შესახებ ნათქვამი იყო: „კოლეგია თავისდროულად და მომწიფებულად სოფლის იურიდიული დახმარების აღმოჩენის კერძო შეთანხმების სისტემიდან კოლექტიურ სიტემაზე გადასასვლელად და ამი-



ტომ უახლესი მომავალში სათანადო ნაბიჯების გადადგმას“.

მაღე ყურნალის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა თეზისები დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის (დისკუსიის წესით), რომელსაც ხელს აწერდა იუსტიციის კომისარი ი. ვარძიელი.

თეზისებმა გატყვევებული დისკუსია გამოიწვია იურიდიულ წრეებში. ყურნალის ფურცლებზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტორთა წერილები: ს. ქავთარაძე — „დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის“, კ. ბაქრაძე — „დამცველთა კოლეგიის კოლექტიურად მოწყობისათვის“, ა. ქორქია — „დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის“, ივ. მისურაძე — „კოლექტივი თუ დამცველთა კოლეგია“, ი. გულორდავა — „დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისათვის“, გრ. ვიორგაძე — „დამცველთა კოლეგიის კოლექტივიზაცია“, ი. კალანდაძე — „დამცველთა კოლეგიის შესახებ“ და სხვ.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა ადვოკატთა კოლეგიის დებულება და ჩამოყალიბდა ადვოკატურის ახალი კოლექტიური სტრუქტურა.

1927 წლის 20 ნოემბერს შედგა საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრთა ახალი შემადგენლობის საერთო კრება, რომელზედაც არჩეული იქნა პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა 13 წევრისა და ხუთი კანდიდატისაგან.

ამავე წლის პირველი ოქტომბრისათვის, ე. ი. კოლეგიის რეორგანიზაციის პერიოდისათვის კოლეგიის წევრთა რიცხვი მთელ საქართველოში იყო 398, მათ შორის თბილისში — 239, აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში — 57, დასავლეთ საქართველოში — 82.

თბილისში მოწყობილი იქნა 8 იურიდიული კონსულტაცია, აღმოსავლეთ საქართველოში — 17 და დასავლეთ საქართველოში — 16.

1928 წლის 29 ოქტომბერს შედგა დამცველთა კოლეგიის წევრთა საერთო კრება. ამ დროს კოლეგიაში 383 წევრი ირიცხებოდა; მოსმენილი იქნა პრეზიდიუმის მუშაობის ანგარიში და ჩატარდა ახალი პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ი. სიჭინავა, შ. მესხიშვილი, ი. დოლუხანოვი, გ. ენიკოლოფოვი, ევგ. ჩერქეზიშვილი, პ. ქავთარაძე, გრ. გოგოტიშვილი, ალ. რიყაძე, ივ. მისურაძე, ი. ბარათაშვილი, კორძაია, კ. მიქელაძე; კანდიდატებად არჩეულ იქნენ: კოსტანოვი, ლ. გრიგოლია, ნარიმანოვი, რობაქიძე, მ. ტატიშვილი; სარევიზო კომისიაში: ა. კოსტავა, კ. ანდრონიკაშვილი, დ. ვაშაკიძე; კანდიდატად თ. ლაზარევა.

პრეზიდიუმთან შეიქმნა იურიდიული სექციები. საერთო კრებამ აგრეთვე დასახა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი დამცველთა კოლეგიის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ყურნალის რედაქცია დიდ ყურადღებას ანიჭებდა ბიბლიოგრაფიას. რედაქცია ხშირად ბეჭდვდა საამისო მასალებს. სხვადასხვა დროს აქ გამოქვეყნებული იქნა ბიბლიოგრაფიები: კ. მიქელაძის—სერგი ჯავახიძის წიგნზე „სავაჭრო სამართალი“, ს. ამაღლობელი—პ. დერნუზრის „პანდექტების“ პირველი ტომის ქართულად გამოცემის გამო, ა. გელოვანი — ა. პიონტკოვსკის „საბჭოთა სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)“, მირ. მაჭავარიანი—ა. პიონტკოვსკის „საბჭოთა სისხლის სამართალი“ (განსაკუთრებული ნაწილი), ი. ძაძაშიძე—პროფ. ალ. ვაჩიშვილის „სამართლის ზოგადი თეორია“; ბიბლიოგრაფიის ავტორი წერდა: „სარეცენზიო შრომის გამოსვლას, რომელიც ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის თეორიის კათედრის ლექტორს, არ შეიძლება სიამოვნებით არ შევხვედეთ, რადგან ჩვენი თეორიული იურიდიული ლიტერატურა საერთოდ და ექბოდ იმ პრობლემების შესახებ, რომლებსაც კვება ავტორი, უკიდურესად ღარიბია“, ა. გელოვანი — „კელზენის სწავლა სამართალსა და სახელმწიფოზე“ და სხვ.

ყურნალში მოთავსებულია აგრეთვე ვრცელი ნეკროლოგი დიდი ფრანგი იურისტის სახელმწიფო სამართლის პროფესორის ლეონ დიუგის გარდაცვალების გამო.

ყურნალის რედაქცია მოსახლეობას აძლევდა კონსულტაციას მნიშვნელოვან იურიდიულ საკითხებზე.

საინტერესოა, რომ რედაქციის უფლებები ასე იყო განსაზღვრული: „რედაქცია იტოვებს რედაქციული შესწორებებისა და შემოკლების უფლებას, თუ კი არ არის პირდაპირი წინააღმდეგობა“.

ასევე მოსაწონია რედაქციის დამოკიდებულება ავტორებისადმი. იგი პერიოდულად ყურნალის ბოლოს დართულ ქრონიკაში აუწყებდა რედაქციაში შემოსული წერილების ავტორებს: „ქართული კაცობაქეს — თქვენი წერილს მოგათავსებთ შემდეგ ნომერში“.

„კ. ბაქრაძეს — თქვენი წერილი „პროცესის გამარტივების შესახებ“ დაიბეჭდება შემდეგ ნომერში“.

„ჩხარი, ვ. აბესაძეს — თქვენი წერილი გ. საყვარელიძის წერილების გამო“ არ იბეჭდება. რადგანაც რედაქციას კამათის ვაგარძელება ამ საკითხზე მიზანშეუწონელად მიაჩნია“.

მართალია ყურნალი „საბჭოთა სამართალი“ ფაქტიურად სამ წელიწადს (1926-1928-1929 წ.წ.) გამოდიოდა, მაგრამ მან დიდი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა სამართლის განვითარებასა და იუსტიციის მუშაკთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

# ინფორმაცია

## საპარტიოლს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

მიმდინარე წლის 4-5 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. მაისურაძის მოხსენება — „საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში სოციალისტური კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებში უკანასკნელ წლებში გატარდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის.

შემდეგ ამხ. ვ. მაისურაძემ ჩამოაყალიბა სასამართლო ორგანოების ამოცანები თანამედროვე ეტაპზე. კონკრეტული მაგალითების ანალიზზე აჩვენა თუ რა იწვევს იმ შეცდომებს, რაც ჯერ კიდევ გააჩნიათ სასამართლო ორგანოებს თავიანთ მუშაობაში; გააცნო პლენუმს ღონისძიებანი რაც ხორციელდება ამჟამად ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებმა ი. ჟორდანიამ, ა. ფალავანიშვილმა, თ. პაიჭაძემ, ტ. ჯაფარიძემ, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. კაჩმაზოვამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში კანონიერების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ“<sup>1</sup>.

პლენუმზე მოხსენებებით — „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ანგარიში 1952 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ“ და „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის ანგარიში 1962 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ“ გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები — ს. ქაჯაია და გ. იოსავა.

პლენუმმა განიხილა საკითხი „საქართველოს სს

რესპუბლიკაში ნასამართლობის მდგომარეობის შესახებ“ და მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ პროკურორის პ. ბერძენიშვილის წარდგინება „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 19 ივნისისა და 31 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ თავისუფლების აღკვეთა მისჯილ პირთა მიმართ შრომაგამასწორებელი კოლონიის სახის განსაზღვრის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ი. გოგაშვილმა, საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლო ორგანოებში სისხლის სამართლის საქმეების ზედამხედველობის განყოფილების უფროსმა ლ. ზაინიკამ.

პლენუმმა აღნიშნულ საკითხებზე მიიღო დადგენილება.


საქართველოს სსრ პროკურორის პ. ბერძენიშვილის წარდგინებით პლენუმმა მიიღო დადგენილება „რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მიერ გამსვლელი სესიების ჩატარების შესახებ“.

პლენუმმა საქართველოს სსრ პროკურორის პ. ბერძენიშვილის წარდგინებით მიიღო დადგენილება „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების თვითნებურად მშენებლობის საქმეებზე და პროექტების დარღვევით აგებულ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევაზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის დ. ბალათურისა და ალ. დულუნიშვილის მოხსენებების განხილვის შემდეგ პლენუმმა მიიღო დადგენილებანი „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ და „სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო ხარჯების და ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდვინების სასამართლო პრაქტიკის შესახებ“.

პლენუმმა აგრეთვე განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ პროკურორისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტები სისხლის

<sup>1</sup> პლენუმის აღნიშნული დადგენილება სხვა დადგენილებებთან ერთად დამატების სახით გამოქვეყნდება უფროსი მორიგი ნომერში.



სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგემ ო. ლოლაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფი-

ლების გამგის მოადგილე ზ. რატინამა, საქართველოს კომპარტიის ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორმა თ. ონოფრიშვილმა.

**გ. მესხაშვილი,**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

### სამოქალაქო კანონმდებლობის შექმნის სრულყოფისათვის

საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტების განხილვას მიეძღვნა თათბირი, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ინიციატივით გაიმართა თბილისში მიმდინარე წლის 22 თებერვალს.

თათბირს დაესწრნენ სასამართლო — პროკურატურის, ადვოკატურის, სამინისტროებისა და უწყებების, სახელმწიფო არბიტრაჟის, პროფესიული კავშირებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაჭავაძემ.

მოსხენებით — „საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტების შესახებ“ გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ყ. ლომიძე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, სამართლებრივი ნორმების სრულყოფას.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლებით გადაწყვეტილია მხოლოდ ძირითადი, პრინციპული დებულებანი, რომლებიც საერთოა ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის. „საფუძვლებში“ მოცემულია ბევრი ახალი დებულება, რომლებიც ნაკარნახევი ცხოვრებით და დასაბუთებულია საბჭოთა იურიდიული მეცნიერებით.

„საფუძვლებში“ განსაზღვრულია საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის მნიშვნელობა კომუნისტური მშენებლობაში. მის პრეამბულაში

ჩაწერილია: „საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას. იგი ხელს უწყობს მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას და ამ საკუთრების ფორმების განვითარებას ერთიან კომუნისტურ საკუთრებად, მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული ინტერესების სწორ შეხამებას მთელი საზოგადოების ინტერესებთან, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში“.

ამხ. მ. ლომიძე ვრცლად ჩერდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის ძირითად დებულებებზე და იძლევა იმ ნორმების ანალიზს, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა.

კანონმდებლობის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს პროექტის მე-7 მუხლი — პატივისცემა და ღირსების დაცვის შესახებ. ამ მუხლის მიხედვით მოქალაქეს ან ორგანიზაციას უფლება აქვს აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისცემა და ღირსების სახელგამტეხი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი შეესაბამებიან სინამდვილეს.

თუ აღნიშნული ცნობები გავრცელებულია პრესაში, სინამდვილისადმი მათი შეუსაბამობის შემთხვევაში, ისინი უარყოფილი უნდა იქნეს პრესის საშუალებითვე. სხვა შემთხვევაში უარყოფის წესს დაადგენს სასამართლო. კანონის ამ ნორმას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქალაქის პატივისცემა და ღირსების დაცვის რეალურად უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა იურიდიული მეცნიერების დასკვნების საფუძველზე, სასამართლოსა და არბიტრაჟის პრაქტიკის გათვალისწინებით, პროექტში უფრო სრულად ვიდრე 1923 წლის სამოქალაქო

ლქო კოდექსში არის განხილული საკითხი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის რეკომენდაციით პროექტის მე-13 მუხლს დაემატა მითითება იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანს 15-დან 18 წლამდე უფლება აქვს დამოუკიდებლად განკარგოს როგორც ხელფასი, ასევე სტიპენდია, შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს საერთო და აღმოჩენის უფლება თავის ნაწარმოებებზე, აღმოჩენებზე, რაციონალიზატორულ წინადადებებზე, უფლება გამოგონებაზე.

პროექტი ანვითარებს „საფუძვლების“ ნორმებს და ახლებურად აშუქებს ისეთ უმნიშვნელოვანეს დებულებას, როგორცაა იურიდიული პირის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი და სხვ.

„საფუძვლების“ მე-14 მუხლს ანვითარებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტი, სადაც გათვალისწინებულია რიგი წესებისა გარიგების ფორმათა დაუცველობის შედეგების შესახებ.

სამოქალაქო სამართლის პროექტში დაწვრილებით არის დამუშავებული ბათილი გარიგების შემთხვევები და მასთან დაკავშირებული შედეგები.

პროექტი შეიცავს ორ ახალ თავს: „წარმომადგენლობა და მინდობილობა“, „ვადების გამოთვლა“.

„საფუძვლების“ შესაბამისად მეორე კარში მოცემულია შემდეგი მნიშვნელოვანი დებულება:

„სახელმწიფო ქონება, რომელიც მიჩნეული აქვთ სახელმწიფო ორგანიზაციებს, იმყოფება ამ ორგანიზაციების ოპერატიულ მმართველობაში, რომლებიც კანონით დადგენილ ფარგლებში, მათი საქმიანობის მიზნების, საგემო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად ახორციელებენ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლებას.

...მიწა, მისი წილი, წყლები და ტყეები, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა, შეიძლება გადაცემულ იქნას მარტოოდენ სარგებლობაში“ (102-103 მუხ.).

პირადი საკუთრების თავში ხაზგასმულია ის აუცილებელი მომენტი, რომ მოქალაქის პირადი საკუთრების ქონება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას არაშრომითი შემოსავლის მისაღებად. მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლის ზღვრულ ზომად დადგენილია არა უმეტეს 60 კვ. მეტრი. ამასთან დაშვებულია გამოწვევის ისეთი პირებისათვის; რომელთა ოჯახის წევრების რიცხვი სანიტარული ნორმების

მხედველობაში მიღებით საგრძნობლად აღემატება 60 კვ. მეტრს და ისეთი პირებისათვის, რომლებიც თავიანთი პროფესიული საქმიანობის მიხედვით საჭიროებენ დამატებით ფართობს. ამ შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის 115-ე მუხლი უფლებას აძლევს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაწესონ საცხოვრებელი სახლის ზღვრული ზომა ოჯახის წევრთა რაოდენობისა და პიროვნების პროფესიული საქმიანობის გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს იმ ზომისა, რასაც ეს ოჯახი დაწესებული ნორმის მიხედვით მიიღებდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლში.

ამასთან, თუ 1958 წლის 1 აგვისტომდე აგებული სახლის ზომა აღემატება კანონით გათვალისწინებულ ზღვრულ ზომას პირადი საკუთრების უფლება სახლზე დატულ უნდა იქნას.

მოლდავიის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსების პროექტებისაგან განსხვავებით, რომლებიც მისაგებელ გადაცემას ითვალისწინებენ, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის პროექტის 116 მუხლის მიხედვით, თუ მოქალაქეს ან ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს აღმოაჩნდებათ პირად საკუთრებაში ერთ საცხოვრებელ სახლზე მეტი, მაშინ მესაკუთრეს უფლება აქვს თავისი სურვილის მიხედვით დიპტიკოს საკუთრებაში ერთ-ერთი სახლი, დანარჩენი კი ერთი წლის განმავლობაში გაყიდოს, გააჩუქოს ან სხვა საშუალებით გაასხვისოს.

თუ მესაკუთრე ერთი წლის განმავლობაში არ ისარგებლებს გასხვისების შემართოთვლილი უფლებებით, მაშინ ეს სახლი (ან სახლები), ქალაქის, რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, გაიყიდება იძულებითი წესით.

იმ შემთხვევაში, როდესაც იძულებითი წესით სახლის გაყიდვა მყიდველის არარსებობის გამო ვერ მოხდება, მაშინ რაიონის, ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გადაწყვეტილებით სახლი გადადის სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ და ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის ფონდში.

შემდეგ მომსენებელი გადადის პროექტის იმ მუხლების დახასიათებაზე, რომლებიც აწესრიგებენ საკოლმეურნეო კომპლის საკუთრებას. ამა. ლომიძე ვრცლად შეჩერდა იმ ნორმებზე, რომლებიც საერთოდ ახალია სამოქალაქო კანონმდებლობაში, არ არის გათვალისწინებული „საფუძვლებში“ და 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში.

პროექტი პირველად ჩვენს კანონმდებლობაში არეგულირებს ურთიერთობას, რომლებიც აღმოცენდებიან კონკურსის გამოცხადებასთან დაკავშირებულ ცალმხრივი გარიგებიდან.

ახალია აგრეთვე პროექტში შეტანილი ნორმები საკოლმეურნეო კომლის პირადი საკუთრებზე შესახებ. ნორმები ეხება საკუთრების, საკოლმეურნეო კომლიდან გამოყოფისა და კომლის გაყოფის საკითხებს.

პროექტის მიხედვით საკოლმეურნეო კომლის ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლება ხორციელდება საკოლმეურნეო კომლის წევრთა საერთო თანხმობით. უთანხმოების შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს წესით, საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთ ან რამდენიმე სრულწლოვანი წევრის სარჩელით.

მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით, სამოქალაქო კოდექსის პროექტში კოდიფიცირებულია ცალკე კარად საავტორო სამართლის ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტორის როგორც პირად ან რაქონებრივ, ისე ქონებრივი ინტერესების დაცვას. ასევე ცალ-ცალკე კარადაა აღმოჩენის უფლება და საგამომგონებლო სამართალი.

მომხსენებელი ახასიათებს სამეცნიერო სამართლის მომწესრიგებელ ნორმებს და ხაზს უსვამს იმ ცვლილებებს, რომლებიც ასლებურად აწესრიგებენ მეცნიერობითი სამართლის საკითხებს.

შემდეგ კი გადადის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტის განხილვაზე. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი, ამჟამად მოქმედი კოდექსისაგან განსხვავებით ითვალისწინებს სამოქალაქო საქმეთა განხილვის ერთიან წესებს პირველი ინსტანციის ყველა სახის სასამართლოში, რაც სწორი და გამართლებულია როგორც თეორიულად, ისე სასამართლო პრაქტიკით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტში სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ სახალხო სასამართლოების კომპეტენციაში გადადის განქორწინების საქმეების არსებითად განხილვა — გადაწყვეტა.

მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტი (მუხ. 235) ითვალისწინებს სასამართლოს არამართო უფლებას, არამედ ვალდებულებასაც დაუყოვნებლივ მოიყვანოს სისრულეში სასამართლოს გადაწყვეტილება სამუშაოზე აღდგენის, აღმშენის გადახდევინებისა და ერთი თვის ფარგლებში შრომის ხელფასის ანაზღაურების შესახებ.

გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია დაუ-

ყოვნებლივ, საქმის საკასაციო წესით განხილვამდე სისრულეში მოიყვანოს გადაწყვეტილებები დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, საავტორო უფლების, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებისათვის გასამრჯელოს გადახდევინების საქმეზე და აგრეთვე სხვა საქმეებზეც, თუ მიჩნეული იქნება, რომ გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნება გამოიწვევს მნიშვნელოვან ზარალს ან შეუძლებელს გახდის მის შემდგომ აღსრულებას (მუხლი 235).

მეტად მნიშვნელოვანი შენიშვნები და საინტერესო წინადადებები შემოიტანეს კამათში გამოსულმა ამხანაგებმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. დედუარიანი შეჩერდა სასამართლო პრაქტიკის რამდენიმე საკითხზე. იგი მიუთითებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის 135-ე მუხლზე და აღნიშნავს, რომ ამ მუხლის შესახამისად კომლში სრულ ქმედუნარიანობას კომლის ქონების მიმართ აღწევს 16 წლის ასაკს მიღწეული პირი. ამავე კოდექსის მე-2 მუხლით კი სრული ქმედუნარიანობა წარმოიშვება სრულწლოვანების დადგენისთან ერთად, ე. ი. 18 წლის ასაკს მიღწეულ პირთათვის. მართალია, 16 წელს მიღწეული პირი შეიძლება იყოს კოლმეურნეობის წევრი და ჰქონდეს დამოუკიდებელი შემოსავალი (შრომადღებები), მაგრამ ეს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს 16 წლის კომლის წევრის სრულ უფლებუნარიანად აღიარებს. გ. დედუარიანის აზრით, 16 წელს მიღწეული კომლის წევრს უნდა მივანიჭოთ მხოლოდ შეზღუდული ქმედუნარიანობა შრომადღებზე კუთვნილ გასამრჯელოზე, კომლის წევრებისათვის სრული ქმედუნარიანობა უნდა იწყებოდეს 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ.

საინტერესო იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თ. ცაგურიას გამოცხადება, რომელმაც ყურადღება გაამახვილა სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხზე და სავალდებულოდ არ მიიჩნია სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის 82-ე მუხლის არსებობა.

საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორი გ. ცირამუა მიზანშეწონილად თვლის 117 მუხლიდან ამოღებულ იქნას ის ნაწილი, რომელიც ეხება სახლების თვითნებურ მშენებლობას.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ბ. ქლენტი თავის გამოსვლაში შე-

ესო საავტორო სამართლის მოწესრიგების საკითხს.

ქ. მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ მუშაკმა ა. მაკოვსკიმ ხაზი გაუსვა იმ უპირატესობას, რაც აქვს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტებს რსფსრ-ს პროექტებთან შედარებით; ამასთან მაკოვსკიმ გამოთქვა თავისი მოსაზრებანი ცალკეულ ნორმებზე.

ზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ აშხ. კ. ჩახინოვმა ანალიზი გაუკეთა პროექტების ცალკეულ მუხლებს, შეჩერდა ექსპედიციის ხელშეკრულებაზე, კავშირგაბმულობის წარმომადგენლებთან დადებულ ხელშეკრულებებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ლ. ჯომარჯიძე ლაპარაკობს სამოქალაქო სამართლის პროექტის მე-12 მუხლზე და მიზანშეწონილად მიიჩნევს კოდექსში უფრო კონკრეტულად იქნეს მითითებული, რა შემთხვევაში შეიძლება მოქალაქეთა უფლებათუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შეზღუდვა.

პროექტის 358 მუხლის პრაქტიკასთან შეუსაბამობაზე ილაპარაკა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა ა. დუღუნაშვილმა. მან მთელი რიგი საინტერესო წინადადებანი შემოიტანა სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტის ნორმებთან დაკავშირებით.

რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტმა რ. კალანტაროვმა გააკეთა შენიშვნები სამოქალაქო სამართლის კოდექსის პროექტის მე-8 მუხლის ირგვლივ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ი. მრეველიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პროექტის ცალკეული მუხლები არაიურიდიული ენით არის დაწერილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. მოროზოვმა, მშრომელთა დებუტატებს თბილისის საბჭოს მთავარმა იურისკონსულტმა ნ. ბარდაველიძემ, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ა. ლალიანმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრებმა ნ. გივინეიშვილმა, ჯ. ბაქრაძემ, სახელმწიფო არბიტრაჟის უფროსმა კონსულტანტმა თ. დადიანმა და სხვებმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა მ. ყ. ლომიძემ. მან აღნიშნა, რომ თათბირი მიმდინარეობდა მაღალ თეორიულ დონეზე, დასმული იყო მთელი რიგი საინტერესო საკითხები. თათბირის შედეგები უთუოდ შეუწყობენ ხელს საქართველოს სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შემდგომ სრულყოფას.

მ. ზივანაშვილი,  
ლ. კეჯელიშვილი.

## მკვეთრად შეაქვს ირმით დანაშაული პრესულფლოვანთა შიშის

1963 წლის 11 აპრილს საქართველოს სსრ პროკურატურაში გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

თათბირს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების ინსტრუქტორი გ. ბელოვი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილე ა. პანკრატოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. ანაშკინი, სსრ კავშირის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსი ნ. გუსკოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე თ. ლოლაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. გურგენიძე, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე დ. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების პროკურორები და სხვ.

მოხსენებით — „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა უზედამხედველობისა და დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გ. ბიჭაძე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, აღნიშნა მომხსენებელმა, დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობის აღზრდას შრომისმომყვარობისა და კოლექტივიზმის, სოციალისტური მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით.

ჩვენს ქვეყანაში იზრდება კარგი, ჯანსაღი ახალგაზრდობა, რომელიც მთელ ხალხთან ერთად გვიჩვენებს საზოგადოების წინაშე თავისი

მოვალეობის მოხდის ნიმუშებს. ეს კი საბჭოთა კანონიერების განუხრელად დაცვის და დანაშაულის მიმართ ჩვენი ხალხის შეუთრეველი დამოკიდებულების საწინდარია.

დანაშაულობათა, სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ამ საქმეში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოებრიობის აქტიურ მონაწილეობაზე. ცხოვრებამ უკვე წარმოშვა სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევებზე საზოგადოებრივ შემოქმედების მტად მნიშვნელოვანი ფორმები და საშუალებები.

საკავშირო კომკავშირის XIV ყრილობაზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ „მთავარი ძალა ნაკლოვანებებთან ბრძოლაში არის საზოგადოებრიობა. ჩვენ რომ მთელი შესაძლებლობით გამოვიყენებდეთ იმ ძალას, რომელიც ჩვენს ხელშია, მაშინ ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ იქნებოდა აღმოფხვრილი“.

მომხსენებელი შეჩერდა 1962 წელს არასრულწლოვანთა შიშის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე.

წინა წელთან შედარებით, რეგისტრირებულ უზედამხედველო ბავშვთა რაოდენობა საგრძობლად შემცირდა. ამასთან ნაკლებია მილიციის ბავშვთა ოთახებში უზედამხედველობათა წარდგინების შემთხვევები მცირე მნიშვნელოვანი ხასიათის დარღვევისათვის. უმრავლეს შემთხვევაში შეტყობინება დარღვევის შესახებ ეგზავნება სკოლებისა და სასწავლებლების დირექტორებს საჭირო აღმზრდელითი ღონისძიებების გასატარებლად.

ამხ. გ. ბიჭაძე აკრიტიკებს იმ რაიონებს, სადაც არაადაამკაყოფილებლად წარმოებს მუშაობა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის აცილებისათვის.

მომხსენებელი ყურადღებას ამახვილებს

არასრულწლოვანთა საქმეების უხარისხოდ გამოძიებაზე, მოჰყავს საგამომძიებლო ვადების უხეშად დარღვევის ფაქტები. ასე მაგალითად: 26 კომისრის სახელობის რაიონის პროკურატურაში 1962 წლის 19 აპრილს აღიძრა საქმე ქ. თბილისის № 83 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეების ვ. კი-ს და რ. მ-ის მიმართ. მათ ბრალად ედებოდათ არასრულწლოვან მოსწავლეების — ტ. კ-ის და ლ. შ-ოს გაუბეატურების მცდელობა. გამოძიებას აწარმოებდა ა. აფხაზიშვილი.

საქმეზე გამოტანილი განაჩენი გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლო იმის გამო, რომ დანაშაული საქართველოს სსკ 17-117 მუხლის მეცამე ნაწილის ნაცვლად არასწორად იყო დაკვალიფიცირებული ამავე კოდექსის 17-117 მუხლის მეორე ნაწილით. საბოლოოდ გამოძიება დაამთავრა თბილისის პროკურორის თანაშემწემ შ. გაგუნაშვილმა 1963 წლის 8 იანვარს. ამრიგად, უხარისხოდ გამოძიების გამო საქმე პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების წარმოებაში იყო რვანახევარი თვის განმავლობაში.

მომხსენებელი ლაპარაკობს ისეთ სერიოზულ დარღვევებზე, როგორცაა არასრულწლოვანთა უსაფუძვლოდ მიცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, ვრცლად ჩერდება სასამართლოში საქმეთა განხილვისა და საპროკუროროზ ზედამხედველობის საკითხებზე.

კონკრეტულ საქმეთა შესწავლით ირკვევა, რომ ამ დარგში სასამართლო ორგანოების მუშაობაშიც აქვს ადგილი მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, არასრულწლოვანთა უსაფუძვლოდ დასჯის შემთხვევებს, საქმეების განხილვა ყოველთვის არ წარმოებს სრულყოფილად.

სასამართლო სამსჯავრო სხდომებზე ხშირად არ იწვევენ წარმოება-დაწესებულებებისა და სასწავლებლების წარმომადგენლებს; ხშირად არასწორად განსაზღვრავენ რეჟიმს და სხვ. მაგალითად: გალის რაიონის სახალხო სასამართლომ გასული წლის 27 ივლისს განიხილა არასრულწლოვან ს. გ-ის საქმე, რომელსაც 2-წლით პატიმრობა შეეფარდა, განაჩენში კი არ აღინიშნა თუ სად უნდა მოეხადა ს. გ-ს სასჯელი. იგი გადაიგზავნა გაძლიერებული რეჟი-

მის კოლონიაში, სადაც სასჯელის ნახევარზე მეტის მოხდის შემდეგ, როგორც არასრულწლოვანი, გადაყვანილი იქნა ბავშვთა კოლონიაში.

ამ საქმეში დამნაშავე პირთა მიმართ აფხაზეთის ასსრ პროკურატურამ მიიღო სათანადო ზომები.

ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის პროკურორები არ ესწრებიან სასამართლოში არასრულწლოვანთა საქმის განხილვას. ასე მაგალითად: სიღნაღის რაიონის სახალხო სასამართლომ 1963 წლის 14 მარტს განიხილა არასრულწლოვან ს. თ-ის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა მოქ. დ. ვ-ის გაუბეატურების მცდელობაში. სასამართლომ ბრალდებულს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. საქმის განხილვაში პროკურორის მონაწილეობა არ მიუღია.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მეტად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მშობლებს, განათლების ორგანოებს, კომკავშირულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, კულტურის სამინისტროს ორგანოებს.

მომხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

ქ. თბილისის პროკურორის მოადგილემ ვ. ხმალაძემ ილაპარაკა იმაზე, რომ არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობაში მიცემა, მათი გასამართლება და საზოგადოებისაგან მათი იზოლაცია უკიდურესი ღონისძიებაა, რაც განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული. არასრულწლოვანებთან, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, საჭიროა ინდივიდუალური და მეტად სათუთი მიდგომა.

აუცილებელია რაიონის პროკურორები ანალიზს უკეთებდნენ რაიონში არასრულწლოვანთა მხრივ ჩადენილ დანაშაულობათა ფაქტებს, სწავლობდნენ მის გამომწვევ მიზეზებსა და სახვედენ სათანადო ღონისძიებებს მათ აღსაკვეთად. არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების გამოძიება უნდა სწარმოებდეს პროკურატურაში. საჭიროა ამ საქმის გამოძიება მიენდოს ყველაზე გამოცდილ გამოძიებელებს.

გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. ვ. ხმალაძემ მიუძღვნა არასრულწლოვანთა საქმე-



ების განხილვის დროს ზოგიერთი პროკურატურის მხრივ კანონის მოთხოვნათა დარღვევებს; აღნიშნა, რომ ხშირად ისინი გულგრილად ეკიდებოდნენ ასეთი კატეგორიის საქმეების გამოძიებასა და მათ სასამართლოში განხილვას.

ქ. რუსთავის პროკურატურა თავის მუშაობაში არასრულწლოვანთა მიმართ ხელმძღვანელობს სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურატურის მითითებებით. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 27 მარტის ბრძანებულების შესაბამისად, თქვა ქ. რუსთავის პროკურორმა ს. იმედაშვილმა, რუსთავის მშრომელთა დემუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შექმნილია არასრულწლოვანთა საქმეების კომისია ათი კაცის შემადგენლობით, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირებისათვის. შემდეგ აშხ. ს. იმედაშვილი ლაპარაკობს რუსთავის ქალაქის მილიციის ბავშვთა ოთახის მუშაობაზე, აცნობს თათბირის მონაწილეებს რუსთავის საწარმოებსა და დაწესებულებებში მოზარდთა მიმართ შრომის კანონმდებლობის დაცვის შემოწმების შედეგებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსმა ვ. ჩინჩალაძემ განაცხადა, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედობის მკვეთრად შემცირებისათვის აუცილებელია უახლოეს ხანში მოწვეულ იქნას საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასკომების არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირი. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული და საქალაქო კომისიების გადაწყვეტილებები, ბავშვების საბავშვო სახლში ჩარიცხვის შესახებ, უკეთესია თუ გადაისინჯება რესპუბლიკური კომისიის მიერ და მხოლოდ ამ უკანასკნელის გადაწყვეტილების საფუძველზე მოხდება მათი ჩარიცხვა საბავშვო სახლებში აღსაზრდელად. საბავშვო სახლები, განაგრძობს აშხ. ვ. ჩინჩალაძე, ძალზე გადატვირთულია. ამიტომ საჭიროა დამატებით გაიხსნას სამი ახალი საბავშვო სახლი მინც თითო ასი აღსაზრდელით.

არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ლიკვიდაციისათვის, ამბობს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლ. გურგუ-

ნიძე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროკურატურის ორგანოების მკიდრო კავშირს ქალაქის კომკავშირის კომიტეტებთან და საწარმოებისა და ორგანიზაციების პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებთან. საჭიროა ყოველი დანაშაულებრივი ქმედობის ფაქტი ეცნობოთ მათ, რის შედეგადაც ისინი იმსჯელებენ ამ საკითხზე კომკავშირულ და ახალგაზრდობის კრებებზე, განახორციელებენ ღონისძიებებს დანაშაულებრივ გამოვლინებათა აღმოფხვრისათვის.

თათბირზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის მოადგილე ვ. შადური, სსრ კავშირის პროკურატურის არასრულწლოვანთა საქმეების განყოფილების უფროსი ნ. გუსკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე ვ. ანაშკინი და სხვ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა. ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი, ამბობს აშხ. პ. ბერძენიშვილი, დანაშაულის ამ კატეგორიის სრული ლიკვიდაცია. დიდ ნაკლად უნდა ჩითვალოს ის, რომ პროკურატურის ორგანოები მხოლოდ ფაქტებს აღნიშნავენ, აღრიცხვას აწარმოებენ და ამით ამოწურულად თვლიან თავიანთ მოვალეობას. გამოდის, რომ ჩვენ მხოლოდ ფაქტების რეგისტრაციისათვის ვმუშაობთ. არასრულწლოვანთა მიერ ყოველი დანაშაულებრივი გამოვლინება დაუყოვნებლივ უნდა გახდეს ცნობილი ყველა ორგანოსათვის — რესპუბლიკის პროკურატურისათვის, განათლების სამინისტროსათვის, კომკავშირული ორგანიზაციისათვის და ა. შ. ამ საქმეებზე ეს ორგანიზაციებიც უნდა ახდენდნენ სათანადო რეაგირებას.

ჩვენ ღრმად უნდა შევისწავლოთ ეს საკითხი და შევიდეთ წარდგინებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, განათლების სამინისტროში, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში. ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უახლოეს ხანში საცხებით მოვსპოთ დანაშაულებრივი გამოვლინებები არასრულწლოვანთა შორის.



# ღუაკსაბ ანდრონიკაშვილის ხსოვნას

მიმდინარე წლის 20 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ გამართა საღამო, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, სწავლული იურისტისა და სახელოვანი დამცველის პროფესორ ლუარსაბ ნიკოლოზის-ძე ანდრონიკაშვილის დაბადების 90 წლისთავს.

საღამოზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა. მან ილაპარაკა ლ. ანდრონიკაშვილის მრავალმხრივ საზოგადოებრივ და მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობაზე.

მოსხენება — „ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ — გააკეთა პროფ. თ. წერეთელმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ლ. ანდრონიკაშვილმა იურიდიული განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. შემდეგ ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა გერმანიაში, სწავლობდა ფილოსოფიას პეიდელებერგისა და სტრასბურის უნივერსიტეტში. მუშაობდა ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსებთან კუნო ფიშერთან და ვინდელბანდთან.

თავისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ლ. ანდრონიკაშვილმა იმ დროს დაიწყო, როდესაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცილა მოსახლეობის ფართო ფენები. მეფის ხელისუფლება სასტიკად უსწორდებოდა რევოლუციონერებს, გაფიცულებს, დემონსტრატებს, აჯანყებულებს; მიმართავდა მასობრივ რეპრესიებს, გადასახლებებს და სხვ. განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი გულგრილად არ დარჩა ლ. ანდრონიკაშვილი. იგი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ჩაეწერა პეტერბურგის ადვოკატურაში, რათა რევოლუციონერთა დაცვით თავისი წვლილი შეეტანა განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ლ. ანდრონიკაშვილი ერთ-ერთი ფუძემდებელია იურიდიული განათლებისა საქართველოში. მის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის შექმნა. იგი მონაწილეობდა საბჭოთა სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტების შედგენაში, ეწეოდა საკონსულტაციო მუშაობას.

საბჭოთა იურისტები — აღნიშნავს მოხსენების დასასრულს პროფ. თ. წერეთელი — ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოიგონებენ დიდი მეც-

ნიერისა და პედაგოგის, იშვიათი ზნეობრივი მიზიდველობით მოხილი ადამიანის — ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ნათელ სახეს.

ლ. ანდრონიკაშვილზე მოგონებით გამოვიდა მისი ყოფილი სტუდენტი, დოც. ფ. გოკიელი. ლ. ანდრონიკაშვილი რუსეთიდან თბილისში ოჯახით გადმოვიდა უნივერსიტეტის არსებობის მეოთხე წელს. დაძაბული გონებრივი შრომით, მძიმე ცხოვრების პირობებით მიღედ გაჭაღარავებული ლ. ანდრონიკაშვილი ფიზიკურად უკვე მოტეხილი წარსდგა ქართველი სტუდენტების წინაშე. სამწუხაროდ, ლ. ანდრონიკაშვილის ლექციების ჩაწერა არ ხერხდებოდა. თან არასდროს ჰქონია დაწერილი ლექციის ტექსტი, ან თეზისების მოკლე ნუსხა. მისი ლექცია ხმამაღლა აზროვნების პროცესი იყო. ლექციის კითხვას იგი იწყებდა დინჯად, ნელა; ისე როგორც ადამიანი იწყებს ფიქრს რაიმე საგანზე. 5-10 წუთის მანძილზე თითქმის სიტყვა-სიტყვით შეიძლებოდა ყველაფრის ჩაწერა, მაგრამ რაც უფრო მეტად ზღვავედებოდა რიტმი, თავისუფლად იგრძელოდა მეტყველება. ათეული წლების მანძილზე რუსულად მეტყველებას მიჩვეული, სიტყვებს აღარ ეძებდა, საჭირო სიტყვები თვითონ ჩნდებოდა, სტუდენტებსაც კალამი ხელიდან უვარდებოდათ და სმენად იქცოდნენ. ლ. ანდრონიკაშვილის ლექციები საინტერესო და თავისებური იყო კომპოზიციურად. ლექციის შემდეგ სტუდენტები გამოდიოდნენ არა მარტო ახალმოდებული ცოდნით გამდიდრებულნი, არამედ გაღვიძებულნი დამოუკიდებელი აზროვნებისათვის.

ფ. გოკიელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხდებოდა საინტერესო კაზუსების გაარჩევა საშოქალქო და სისხლის სამართალში.

ბუნებით სტუმართმოყვარე, ოჯახში გამეფებული ჭეშმარიტი მეგობრობის ატმოსფეროც უწყობდა ხელს. ლ. ანდრონიკაშვილთან იკრიბებოდა ნაცნობ-მეგობართა წრე — ცნობილი ქართველი მოღვაწეები. იმართებოდა საინტერესო საუბრები, მსჯელობა. სტუდენტებს იგი უყურებდა, როგორც თავის მომავალ კოლეგებს, ამიტომ მომხრე იყო ამ სასარგებლო საუბრებს ისინიც დასწრებოდნენ, ახალგაზრდებსაც მიეღოთ მონაწილეობა კამათში. თვითონ მრავლისმცოდნე ადამიანი ლ. ანდრონიკაშვილი დაბეჯითებით ადევნებდა თვალყურს მისი მოწაფეების საერთო განვითარებას, მათი ესთეტიკური გემოვნების დახვეწას. დასასრულ ფ. გოკიელმა დამსწრეთ მოკლედ უამბო ლ. ანდრონიკაშვილთან თავის საასპირანტო მუშაობაზე.

სიტყვით გამოსულმა ადვოკატმა გ. თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ ღრმადმოაზროვნე, ნიჭიერ და ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილმა ლ.



ანდრონიკაშვილმა ცოტა წერილობითი მასალები დაგვიტოვა, რითაც მისი სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელი ხდება.

ლ. ანდრონიკაშვილი იყო ძველდროინდელი რუსეთის ადვოკატურის იმ მოწინავე მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელნიც თავის კორპორაციის საქმიანობაში აპკვიდრებდნენ მაღალზნეობრივ საწყისებს. იგი შედიოდა რუსეთის იმდროინდელ საუკეთესო ადვოკატთა პირველ ხუთეულში.

ამერიკელი კონცესიონერის ჰარიმანის პრეტენზიების წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად არ გამოინახა ლ. ანდრონიკაშვილზე უფრო ძლიერი იურისტი, თანაბრად დაუფლებული საერთაშორისო კერძო სამართალს, სამოქალაქო სამართალსა და შრომის სამართალს.

ლ. ანდრონიკაშვილი ადვოკატობას უყურობდა არა როგორც შემოსავლიან ხელობას, არამედ როგორც საზოგადოებრივ სამსახურს, მოღვაწეობასა და შემოქმედებას, სადაც მოქმედი სამართლის ცოდნასთან შეთავსებული და შეზავებული უნდა ყოფილიყო მეცნიერება და ხელოვნება. იგი არავითარ შემთხვევაში არ აიღებდა დასაცავად ისეთ საქმეს, სადაც მომმართველის თხოვნა უსაფუძვლო, ან ფორმალურად საფუძვლიანი, მაგრამ ზნეობრივად გაუმართლებელი იყო. სანამ იგი საერთო ხასიათის ბოროტმოქმედებაში ბრალდებული პირის საქმეს მიიღებდა იგი ასეთი პირის მიმართ გამომძიებელიც იყო და მსაჯულიც, და როცა დარწმუნდებოდა ბრალდების უსაფუძვლობაში, გაზვიადებაში ან უსამართლობაში, მოჰკიდებდა ხელს ბრალდებულის დაცვას.

ლ. ანდრონიკაშვილმა კანონმდებლობის ზედმიწევნით ცოდნით, დროულად მისი მომარჯვებით, საქმის მასალების სრულყოფილი ანალიზით, თითოეული წამოჭრილი საკითხის გაშუქებითა და განმარტებით, უაღრესად დამაჯერებელი არგუმენტით არა ერთი სამართალში მიცემული გადაარჩინა სახრჩობელასა და ხანგრძლივ პატიმრობას — პირველ რიგში პოლიტიკური დამნაშავენი.

დასასრულს — აღნიშნავს გ. თარხნიშვილი — საჭიროდ მიმაჩნია გავახსენო საზოგადოებას ერთი გარემოება ანდრონიკაშვილის მოღვაწეობიდან, რაც მართალია მის საადვოკატო მოღვაწეობასთან

არ არის დაკავშირებული, მაგრამ ახასიათებს მას, როგორც დიდი ერუდიციის იურისტს.

ყოფილ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ ვინმე ბოგდატიევის მეთაურობით წარადგინა უმაღლეს ორგანოებში პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შეწყვეტილი ყოფილიყო მდინარე მტკვრის წყლით საქართველოს რაიონების მორწყვა, რათა მთელი წყალი მოხმარებოდა მულანის ველის ზამბის ნათესებს.

საქართველოს საბჭოთა მთავრობის დავლებით, ლ. ანდრონიკაშვილმა შეისწავლა მტკვრის წყლით სარგებლობის უფლებრივი საკითხები, რის შემდეგ გააკეთა საჯარო მოხსენება, რომელშიც ბრწყინვალედ დასაბუთებული დებულებებით დაამტკიცა ბოგდატიევის პროექტის განხორციელების შეუძლებლობა.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ა. ხორავამ თავის გამოსვლაში დაახასიათა ლ. ანდრონიკაშვილი, როგორც თეატრალური ხელოვნების დიდი მცოდნე და დამფასებელი. ა. ხორავამ აღნიშნა, რომ ლუარსაზ ანდრონიკაშვილი ღრმა მეგობრული გრძნობით იყო დაკავშირებული რუსთაველის თეატრთან და თავისი რჩევით ხშირად დიდ დახმარებას უწევდა მას.

ლუარსაზ ანდრონიკაშვილის ყოფილი სტუდენტები — პროფ. ი. მიქელაძე, პროფ. ბ. ფურცხვაინიძე და გ. კორსაველი გამოვიდნენ მოგონებებით საყვარელ მასწავლებელზე, შესანიშნავ მეცნიერსა და პედაგოგზე, რომელიც მთელ თავის ძალღონეს უანგაროდ და დაუზოგავად სწირავდა იურიდიული კადრების აღზრდას.

აკადემიკოსმა ა. ჯავახიშვილმა გაიხსენა თავისი მეგობრის ჭაბუკობის წლები და უამბო საზოგადოებას ეპიზოდი, რომელშიც გამოვიდნენ ლ. ანდრონიკაშვილის კეთილშობილი ტემპერამენტი.

საზეიმო საღამოზე სიტყვით გამოვიდა მოქანდაკე ნ. კანდელაკი.

პეტერბურგელი იურისტების მოგონებები წაიკითხა პროფ. ლ. ანდრონიკაშვილის შვილმა ირაკლი ანდრონიკაშვილმა.

საღამოს დაესწრო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ანხ. დ. გ. სტურუა.

დ. ნანოგაშვილი

## ზეპირი ჟურნალის უარსებზე

მიმდინარე წლის მარტის თვეში კვლავ გადიფურცლა იურიდიული ფაკულტეტის მორიგი ზეპირი ჟურნალი.

კომუნისტური მორალისა და საბჭოთა საოჯახო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე შეკრებილთ ესაუბრა დოც. ს. ჯორბენაძე. საბჭოთა საზოგადოებაში, თქვა მან, ქორწინება ოჯახის საფუძველია. იგი ნამდვილად იქცა ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირად, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულსა და ურთიერთბატონისცემაზე. საბჭოთა საოჯახო სამართლის პრინციპები თავის სრულ ასახვას პოულობენ საქორწინო ურთიერთობაში. მექორწინეთა თანასწორობა, მონოგამია, საქორწინო ურთიერთობის სიმყარე — ეს ის პრინციპებია, რომლებიც ამტკიცებენ და აძლიერებენ ჩვენს საზოგადოებაში ოჯახის სოციალურ მნიშვნელობას. შემდეგ დოც. ს. ჯორბენაძემ ილაპარაკა საოჯახო კანონმდებლობაში საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ.

სამართლისა და ზნეობის ურთიერთობის შესახებ მსმენელებს მოუთხრო დოც. გ. ბანძელაძემ. მან საინტერესოდ ილაპარაკა კლასობრივ სამართალსა და ზნეობაზე, ბრალის ცნებაზე, ქცევის ზნეობრივ და სამართლებრივ შეფა-

სებაზე, განსხვავებაზე სამართალსა და ზნეობას შორის, ზნეობისა და სამართლის მიმართების სხვადასხვა კონცეფციებზე და ა. შ.

ჟურნალის შემდეგი გვერდის შინაარსი იყო „ვიცით სამშობლოს პატრიოტები“, რომელიც წაიკითხა საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. მეგრელიშვილმა. მან ბევრი რამ საინტერესო უამბო დამსრუთე საგამომძიებლო პრაქტიკიდან.

ჟურნალის მესამე გვერდი ტრადიციულად სპორტს დაეთმო. იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, ამჟამად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეფერენტმა, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. ჯორჯიამ ილაპარაკა საბჭოთა კალათბურთელების მიღწევებზე. გამოხვლის დიდი ნაწილი მან დაუთმო პელსინსკში გამართულ ოლიმპიურ ასპარეზობას, რომელშიც თვითონ მონაწილეობდა. ამ ასპარეზობაზე საბჭოთა კალათბურთელებმა დაამარცხეს ჩილის, ურუგვაისა და ბრაზილიის უძლიერესი გუნდები. მათ მეორე ადგილი დაიკავეს და დაიმსახურეს ვერცხლის მედლები.

დასასრულ შეკრებილნი გაეცნენ ხელოვნების ფურცელს — ნახეს ქართული მხატვრული სურათები „ბურთი და მოედანი“ და „მე ვიტყვი სიმართლეს“.

ლ. პარსიანაშვილი

## 1. ქსოვილების მიწოდებაზე ვარიეტების დადების დროს მხარეებმა არ გაითვალისწინეს მისაწოდებელი ქსოვილის ფერი და ამით მყიდველს მოესპო უფლება განაცხადოს უარი ამა თუ იმ ფერის ქსოვილის მიღებაზე

ჩელობინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს მუშათა მომარაგების სამმართველომ და აფხაზეკავშირის საბითუმო ბაზამ დადეს სავაჭრო ვარიეტები 1962 წლის აპრილი-მაისის თვეებში 22000 მანეთის სხვადასხვა ქსოვილის მიწოდებაზე. ვარიეტებში გაპირობებული იყო მისაწოდებელი ქსოვილის რაოდენობა, არტიკული და ფასი. ვარიეტების დადების შემდეგ მუშათა მომარაგების სამმართველომ გააფრთხილა მიმწოდებელი, რომ ის არ მიიღებს შავი ფერის ქსოვილს. მიწოდება არ განხორციელდა და მუშათა მომარაგების განყოფილებამ აღძრა სარჩელი სახელმწიფო არბიტრაჟში, ვარიეტებით გათვალისწინებული ქსოვილის მიუწოდებლობისათვის. ვარიეტის გადახდევინებაზე. თავის განმარტებაში სახელმწიფო არბიტრაჟის სახელზე, აფხაზეკავშირის საბითუმო ბაზამ განაცხადა, რომ მას გამზადებული ჰქონდა მისაწოდებლად მხოლოდ შავი ფერის ქსოვილი, მაგრამ ვინაიდან მყიდველმა უარი განაცხადა ასეთის მიღებაზე იგი მოკლებული იყო საშუალებას შეესრულებინა ვარიეტებით გათვალისწინებული მიწოდება. სახელმწიფო არბიტრმა ძიება დააკმაყოფილა.

საქმის ზედამხედველობის წესით ვარჩევის დროს მთავარმა არბიტრმა იცნო, რომ მყიდველმა, თავისი უარით ვარკვეული ფერის ქსოვილის მიღებაზე, პირველმა დაარღვია ვარიეტების პირობები, რამდენადაც ასეთით არ იყო გაპირობებული ქსოვილის ფერი და ამიტომ მას არა აქვს უფლება მოსთხოვოს მიმწოდებელს სანქციები ამ ვარიეტების შეუსრულებლობისათვის.

## 2. სასარჩელო ხანდაზმულობის ექვესთიანი ვადა დადგენილი დავეებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია არა სათანადო ხარისხის პროდუქციის მიწოდებასთან, ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც უხარისხო საქონლის მიწოდების ფაქტი ცნობილია მიმწოდებლის მიერ დავის არბიტრაჟში აღძვრამდე

1961 წლის ოქტომბრის თვეში ბათუმის ციტრუსკომბინატმა მიაწოდა „როსბაკალიას“ როსტოვის კანტორას სხვადასხვა კომპოტები და მურაბა. მიმწოდებლის ანგარიში განაღდებული იქნა მთლიანად. პროდუქციის ადგილზე მიღების შემდეგ ნაწილი ცნობილი იქნა წუნდებულად; ამასთან დაკავშირებით ქ. როსტოვში გამოცხადდა მიმწოდებლის წარმომადგენელი, რომელმაც მყიდველს წარმომადგენლებთან ერთად მოახდინა მთელი საქონლის დახარისხება, რაც ფიქსირებული იქნა 1961 წლის 27 ნოემბრის აქტით. ამ ორმხრივი აქტის საფუძველზე მყიდველმა მოახდინა გადაანგარიშება და მოსთხოვა მიმწოდებელს წუნდებული საქონლის ღირებულების დაბრუნება. პრეტენზია ნებაყოფლობით არ დაკმაყოფილდა და ამიტომ „როსბაკალიას“ როსტოვის კანტორამ 1962 წლის 3 ოქტომბერს მიმართა სარჩელით სახელმწიფო არბიტრაჟს. სახელმწიფო არბიტრაჟმა საქმის ვარჩევის დროს იცნო, რომ მოსარჩელემ გაუშვა ხანდაზმულობის ვადა დადგენილი არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ სარჩელებისთვის და მაძიებელს ძიებაზე უთხრა უარი.

## 3. არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის დადგენილი ვარიეტის მიმწოდებელს გადახდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც უხარისხო საქონლის ღირებულება გადახდილი არ არის

ქ. ნოვოსიბირსკის კვებვაჭრობამ აღძრა სარჩელი ქარელის ხილკენკროვანი ღვინის ქარხნისაგან 732 მანეთისა და 87 კაპიკის გადახდევინებაზე, რაც წარმოადგენდა ვარიეტის არასათანადო ხარისხის ხილკენკროვანი ღვინის მიწოდებისათვის. ღვინის ფილტრაცია მოხდენილი იყო ადგილზე, თვით მყიდველის მიერ. ხოლო ფილტრაციაზე გაწეული ხარჯი მყიდველმა დააკავა მიმწოდებლის ანგარიშის აქტების დროს. სახელმწიფო არბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა მთლიანად. ზედამხედველობის წესით შემოტანილ საჩივარში ქარელის ხილკენკროვანი ღვინის ქარხანა უთითებდა იმას, რომ მოსარჩელემ მოახდინა ანგარიშის ნაწილობრივი აქტები და ამიტომ მას არა აქვს უფლება მოითხოვოს ვარიეტის გადახდა. თავის პასუხში ზედწესით საჩივარზე მთავარმა



არბიტრმა მიუთითა მომჩივანს, რომ არასათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებით მიყენებულ ზიანის ნებაყოფლობითი წესით ანაზღაურება არ ათავისუფლებს უხარისხო საქონლის მიწოდებულს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობიდან და ამიტომ, მოსარჩელეს მოთხოვნა ჯარიმის შესახებ საესებო კანონიერია.

**4. ყოფილი კოლმეურნეობების ბაზაზე შექმნილი საბჭოთა მეურნეობა არ აგებს პასუხს ამ კოლმეურნეობების წინათ წარმოშობილ დავალიანებებზე**

მარნეულის მებოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობისა და ცხოველდამზადების მარნეულის კანტორის შორის ანგარიშების გასწორების დროს, ამ უკანასკნელმა დააკავა საბჭოთა მეურნეობის კუთვნილი თანხებიდან 908 მანეთი და 70 კაპიკი იმ საფუძვლით, რომ ეს თანხა ირიცხებოდა სოფელ თამარისის „გამარჯვება“-ს სახელობის კოლმეურნეობაზე, ხოლო მარნეულის მებოსტნეობა-მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა შექმნილა მის ბაზაზე, სახელმწიფო არბიტრაჟმა სარჩელი დააკმაყოფილა, რადგან ცხოველდამზადების მარნეულის კანტორას არ ჰქონდა უფლება სხვა ურთიერთობიდან წარმოშობილი პრეტენზიის გამო საღაო თანხა დაეკავებია, ვინაიდან აღნიშნული საკითხი შეადგენს დავის ცალკე საგანს. არბიტრის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ხორციისა და რძის მრეწველობის სამმართველომ, რომელიც თავის საჩივარში ამტკიცებდა, რომ დაკავება მოხდენილი იყო სწორად, როგორც ყოფილი „გამარჯვებას“ სახელობის კოლმეურნეობაზე გაცემული ავანსის დაუფარავი თანხა და არაუროთიერთანგარიშების შედეგად მიღებული ნაშთი; საჩივარი უარყოფილი იქნა მთავარი არბიტრის მიერ. თავის პასუხში მთავარმა არბიტრმა მიუთითა მომჩივანს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1959 წლის 11 აპრილის ინსტრუქციული მითითების № 0-1-28-ს თანახმად, საბჭოთა მეურნეობა არ აგებს პასუხს ყოფილი კოლმეურნეობის დავალიანებებზე. მაშინაც, როდესაც საბჭოთა მეურნეობა შექმნილია ამ კოლმეურნეობის ბაზაზე. ლიკვიდირებული კოლმეურნეობების დავალიანებების დაფარვის წესი გათვალისწინებულია 1956 წლის 3 მაისის დამტკიცებული დებულებით — კოლმეურნეობების მიწების და ქონების საბჭოთა მეურნეობებისათვის გადაცემის წესის შესახებ.

გამომდინარე აქედან, მოცემულ დავისთვის არა აქვს მნიშვნელობა საიდან წარმოიშვა საღაო დავალიანება. საკმარისია ის ფაქტი, რომ ასეთი წარმოადგენდა ყოფილი კოლმეურნეობის და არა თვით საბჭოთა მეურნეობის ვალს.

**5. ისეთი საქონლის მიწოდება, რომელიც არ არის გათვალისწინებული არც საწარმოო გეგმით და არც სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმით, სავალდებულოდ არ ჩაითვლება.**

„საქკულტვატრობამ“ აღძრა სარჩელი „ინგურქალაღკომბინატის“ მიმართ 1962 წლის 1 კვარტალში საწერი (სამომხმარებლო) ქალაღის მიუწოდებლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე თანხით 462 მანეთი. თავის სარჩელში, „საქკულტვატრობა“ ემყარებოდა იმას, რომ ხელშეკრულების დადების დროს მან შეადგინა უთანხმოების ოქმი, რომელშიაც შეიტანა საწერი (სამომხმარებლო) ქალაღის მიწოდება, ხოლო „ინგურქალაღკომბინატმა“ ეს ოქმი არ გადასცა სახელმწიფო არბიტრაჟს განსახილველად ე. ი. მას დაეთანხმა, მიწოდება კი არ მოახდინა. არბიტრაჟში საქმის გარჩევის დროს „ინგურქალაღკომბინატმა“ განაცხადა, რომ საწერი (სამომხმარებლო) ქალაღის გამომუშავება არ არის გათვალისწინებული მისი საწარმოო გეგმით და ამიტომ მას არ შეეძლო მისი მიწოდება, რის შესახებ მან დროულად აცნობა „საქკულტვატრობას“. არბიტრმა სარჩელი დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ რამდენადაც მიმწოდებელმა არ გადასცა უთანხმოების ოქმი განსახილველად სახელმწიფო არბიტრაჟს, ასეთი შევიდა ძალაში მყიდველის რედაქციით და მუშასაღამე, „ინგურქალაღკომბინატი“ აგებს პასუხს საწერი ქალაღის მიუწოდებლობისათვის. საქმის შედამხედველობის წესით გარჩევისას სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო „საქკულტვატრობას“ მის სარჩელში უარი ეთქვა. მთავარი არბიტრის დადგენილებაში მითითებულია, რომ თუმცა „ინგურქალაღკომბინატმა“ დაარღვია დადგენილი წესი იმით, რომ არ გადასცა უთანხმოების ოქმი განსახილველად არბიტრაჟს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთს არ ეთანხმებოდა, მაგრამ რამდენადაც ქალაღი არის მკაცრად ფონდირებული პროდუქცია, ხოლო დადგენილია, რომ ასეთის მიწოდება „ინგურქალაღკომბინატის“ მიერ არ იყო გათვალისწინებული არც სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმით და არც „ინგურქალაღკომბინატის“ საწარმოო გეგმით, მაშასადამე, ხელშეკრულების ეს პირობა ეწინააღმდეგება საქონლის მიწოდების შესახებ დებულების მე-9 და მე-10 მუხლებს.

გამომდინარე აქედან მთავარმა არბიტრმა სცნო, რომ მიმწოდებელს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა ისეთი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, რომელიც არც უნდა ყოფილიყო განხორციელებული.

**6. მიწოდების გეგმის შეცვლა მიწოდების პერიოდის განვლის შემდეგ და იმ მიზეზით, რომ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან პროდუქციის მიუწოდებლობისათვის**

ლენინგრადის სტეფანე რაზინის სახელობის ლუდის ქარხანამ აღძრა სარჩელი ლაგოდების საკონსერვო ქარხანასთან 1962 წლის III კვარტალში დასპირტული წველების მიუწოდებლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. მოპასუხემ სარჩელის საწინააღმდეგო განმარტება არ წარმოადგინა და ასეთი დაკმაყოფილდა მთლიანად.

არბიტრის გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გასაჩივრების დროს, ლაგოდების საკონსერვო ქარხანამ განაცხადა, რომ კვებმომარაგების სამმართველომ 1962 წლის 17 ნოემბერს მოუხსნა მას დასპირტული წველების მიუწოდებელი ნაწილი — 71,5 ტონა და ასეთი შესასრულებლად გადასცა ქარელის ხილკენკროვანი ლენის ქარხანას. მასალები შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ კვებმომარაგება გასაღების სამმართველომ 1962 წლის 17 ნოემბერს მოუხსნა ლაგოდების საკონსერვო ქარხანას მუწოდებელი პროდუქციის მიწოდება და გადაიტახა ასეთი სხვა წარმოებაზე იმიტომ, რომ ლაგოდების საკონსერვო ქარხანამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება III კვარტალში და არა იმიტომ, რომ მას ასეთი არ უნდა მიეწოდებია. მიწოდების გეგმის შეცვლა მოხდა ვასულ წლის IV კვარტალში. გამომდინარე აქედან, მთავარმა არბიტრმა სცნო, რომ ეს არ იძლევა საფუძველს ლაგოდების საკონსერვო ქარხნის ჯარიმის გადახდისაგან გათავისუფლებისათვის.

**7. განწესის წარუდგენლობა არ ნიშნავს საქონლის აუთვისებლობას**

ქარხანა ელექტროენერგია აღძრა სარჩელი ბაზა „გრუზნოზტორგის“ მიმართ 1962 წლის I და II კვარტალში საქონლის აუთვისებლობისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე. სარჩელი დაყრდნობილი იყო იმ ფაქტზე, რომ ფონდით გამოყოფილ 1475,0 ათ. ცალი ბატარეა „კბს“ ნაცვლად მყიდველმა დაუშვა განწევი, მხოლოდ 867,0 ათ. ცალზე, ჯარიმის თანხა განგარიშებული იყო განწესებით დაუფარავი პროდუქციის ღირებულების 2 პროცენტის ოდენობით. სახელმწიფო არბიტრმა ქარხანა ელექტროენერგის ძიებაში უთხრა უარი იმ მოტივით, რომ მიმწოდებელს, განწესის მიუღებლობას შემოხვევაში, უფლება აქვს მიაწოდოს მას საქონელი უშუალოდ ბაზაში, რაც ფაქტიურად მოხდენილი იყო და ამ გზით დასვებული ტრანზიტული განწესების განხორციელების გზით სადაო პერიოდის ფონდი ათვისებულია მთლიანად. მოსარჩელემ შეიტანა ზედწესით საჩივარი, რომლითაც ითხოვდა ძიების მთლიანად დაკმაყოფილებას. სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება შეცვლილი იქნა. საქმის მასალებით დადგინდა, რომ მყიდველმა 1962 წლის ბირველ ნახევარში მიმწოდებელს არ წარუდგინა განწესება მთელ იმ საქონლის რაოდენობაზე, რომელიც მიწოდებული უნდა ყოფილიყო ორი კვარტალის მანძილზე. აქედან გამომდინარე სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 76-ე მუხლის ძალით, მოპასუხემ უნდა გადაუხადოს მამიებელს ჯარიმა 10 მანეთის ოდენობით გადაგადაცილებულ თითოეულ დღეზე, მაგრამ არა ლუმეტეს 100 მანეთისა, ორ კვარტალში განწესის წარუდგენლობის კი — 200 მანეთი. ძიების ამ ნაწილში უარის თქმისათვის არბიტრს არ ჰქონდა საფუძველი.

მამიებელის მოთხოვნა, რათა გადახდეს მოპასუხეს ჯარიმა 2 პროცენტი აუთვისებული საქონლის ღირებულებიდან არ არის სწორი, ვინაიდან განწესის წარუდგენლობა არ ნიშნავს საქონლის აუთვისებლობას.

# მშახის ორგანოების პროექცია

1. იმ შემთხვევაში, თუ მარტოხელა დედის შვილის მშობლები გატარდებიან ქორწინების რეგისტრაციაში, მათი ერთობლივი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში ბავშვის მამის სახელის შესწორება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა მოქალაქე ზ-ს განცხადება იმის შესახებ, რომ ვინაიდან იგი არ იყო გატარებული ქორწინების რეგისტრაციაში ბავშვის დედასთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 2 ივლისის ბრძანებულების 21-ე მუხლის შესაბამისად, მისი შვილი გატარებულ იქნა დაბადების რეგისტრაციაში როგორც მარტოხელა დედის შვილი დედის გვარზე და განაწესებულა დედამ მამის ნამდვილი სახელის ნაცვლად უჩვენა სხვა სახელი. შემდეგში, როცა ისინი დაქორწინდნენ და არსებული წესის თანახმად მოითხოვეს მათი შვილის დაბადების ჩანაწერში შესწორების შეტანა, მამის არქივმა, სადაც იმყოფებოდა ბავშვის დაბადების ჩანაწერი, უარი განაცხადა მამის სახელის შესწორებაზე, რადგან საბუთების დაბადების სააქტო ჩანაწერთან შეჯერებისას მამის სახელში სხვაობა აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მამის არქივს, რომ თუ მარტოხელა დედის შვილის მშობლები გატარდებიან ქორწინების რეგისტრაციაში, მშობელთა ერთობლივი წერილობითი განცხადებისა და ქორწინების მოწმობის საფუძველზე, შეტანილ უნდა იქნას შესწორება ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში სათანადო აღნიშვნის გაკეთებით და საჭირო შემთხვევაში შესაძლებელია ბავშვის მამის სახელის შესწორებაც.

2. მკვდრადშობილი ბავშვის რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ დაბადების სააქტო წიგნებში

მამის ორგანოების მუშაობის შემოწმებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების მეორე ეგზემპლარების დამუშავების დროს გამოიჩინა, რომ მამის ორგანოებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მკვდრადშობილ ბავშვთა რეგისტრაციის წესის დარღვევის ფაქტებს და მკვდრადშობილ ბავშვთა რეგისტრაცია წარმოებს როგორც დაბადების, ისე გარდაცვალების სააქტო წიგნებში, ანდა მკვდრადშობილთა მიმართ ხდება მხოლოდ გარდაცვალების აქტის ჩაწერა.

ქალაქ საგარეჯოს მამის ბიურომ 1963 წლის 25 მაისს საგარეჯოს სამშობიარო სახლის ცნობის საფუძველზე გარდაცვალების რეგისტრაციაში გაატარა მკვდრადშობილი ბავშვი ლ-ლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მამის ბიუროს, რომ მკვდრადშობილი ბავშვის რეგისტრაცია წარმოებს დაბადებიდან 24 საათის განმავლობაში დაბადების სააქტო წიგნებში. სამშობიარო სახლის ცნობა უნდა დაერთოს დაბადების აქტის მეორე ეგზემპლარს. დაბადების მოწმობა მკვდრადშობილზე არ გაიცემა. გარდაცვალების წიგნებში მკვდრადშობილი არ გატარდება.

3. ქორწინების რეგისტრაცია დასაშვებია თავისუფლების აღკვეთის ადგილას, უკეთუ ორივე მექორწინე მხარე ან ერთ-ერთი მათგანი იქ იხდის სასჯელს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა პატიმარ დ-ას განცხადება. იგი იწერებოდა, რომ მოქალაქე ნ-სთან არის ფაქტიურ ცოლქმრულ ურთიერთობაში, ჰყავთ საერთო შვილი და დაუდევრობის გამო პატიმრობაშივე ვერ მოასწრო ქორწინების რეგისტრაციაში გატარება, ხოლო ქორწინების რეგისტრაციის გატარებულ ბავშვი დაბადების რეგისტრაციაში უნდა გატარდეს როგორც მარტოხელა დედის შვილი, რის გამოც პატიმარ დ-ას სურს გატარდეს ქორწინების რეგისტრაციაში ბავშვის დედასთან მოქალაქე ნ-თან, მაგრამ იმ რაიონის მამის ბიურომ, სადაც კოლონია მდებარეობს, უარი განაცხადა ქორწინების აქტის რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ დ-ა პატიმარია და მამის ბიუროს არა აქვს კოლონიაში ქორწინების რეგისტრაციის უფლება.



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროს, რომ პატიმართა ქორწინების რეგისტრაცია ხდება საერთო წესით მხოლოდ არა მმაჩის ბიუროს შენობაში, არამედ თავისუფლების აღკვეთის ადგილას, უკეთუ ორივე მექორწინე ან ერთ-ერთი მათგანი იქ იხდის სასჯელს.

#### 4. ქორწინების რეგისტრაცია გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება მექორწინეთა არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის მმაჩის ბიუროს მიმართეს ქ. რივიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა, რომლებმაც დიდი სურვილი გამოთქვეს ქორწინების აქტის რეგისტრაცია მოეხდინათ ქ. თბილისში. მმაჩის ბიურომ კი იმის გამო, რომ მექორწინეთაგან არც ერთი არ ცხოვრობდა მმაჩის ბიუროს სამოქმედო რაიონში და საერთოდ ქ. თბილისში, უარი უთხრა ახალგაზრდებს ქორწინების რეგისტრაციაში გატარებაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროს, რომ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ქორწინების რეგისტრაცია მექორწინეთა არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის ნებართვით.

#### 5. თუ მოქალაქე ქორწინების რეგისტრაციაში ტარდება არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საჭირო არ არის მმაჩის ორგანოებში ცნობის წარდგენა საცხოვრებელი ადგილის მმაჩის ბიუროდან, რომ იგი ქორწინების რეგისტრაციაში არ ყოვილა

მოქალაქე ლ-ლი ცხოვრობდა ქ. თბილისის ერთ-ერთ რაიონში და საქმროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მექორწინებმა სასოფლო საბჭოს მიმართეს ქორწინების რეგისტრაციაში გასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ მათ განცხადებაში უჩვენეს, რომ პირველად ტარდებიან ქორწინების რეგისტრაციაში, ასევე მათ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში არ იყო არავითარი აღნიშვნა ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, სასოფლო საბჭოს მდივანმა უარი უთხრა ქორწინების აქტის ჩაწერაზე მანამდე, სანამ ქალი არ მოიტანდა ცნობას (თავისი საცხოვრებელი ადგილის მმაჩის ბიუროდან), რომ იგი ქორწინებას რეგისტრაციაში არ იმყოფებოდა.

მოქალაქე ლ-მა მიმართა თავის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმაჩის ბიუროს აღნიშნული ცნობისათვის და მას ბიუროში განუმარტეს, რომ ამგვარი ცნობის წარდგენა კანონით არ არის გათვალისწინებული. სასოფლო საბჭოს მდივანი კი კვლავ ჯიუტად მოითხოვდა ასეთი ცნობის წარდგენას და აფერხებდა ქორწინების რეგისტრაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა სასოფლო საბჭოს, რომ, თუ მოქალაქენი ქორწინების შესახებ განცხადებაში უჩვენებენ, რომ პირველად შედიან ქორწინების რეგისტრაციაში, ასევე მათ პირადობის დამადასტურებელ საბუთებში არავითარი აღნიშვნა არ არსებობს ქორწინების რეგისტრაციის შესახებ, მმაჩის ორგანოებმა ასეთი პირები უნდა გაატარონ ქორწინების რეგისტრაციაში. ის პირნი კი, რომლებიც ქორწინების რეგისტრაციის დროს მმაჩის ორგანოებს დაუმალავენ ქორწინების რეგისტრაციისათვის დამაბრკოლებელ გარემოებებს, პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

#### 6. მექორწინე პირთა ასაკობრივი სხვაობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას ქორწინების რეგისტრაციისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა მოქალაქე დ-ის განცხადება, რომელიც აღნიშნავდა, რომ 1949 წლიდან ფაქტიურ ცოლქმრულ ურთიერთობაში იმყოფება მოქალაქე ჯ-სთან, ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ შვილი. მიმართეს საჩხერის რაიონის მმაჩის ბიუროს ქორწინების რეგისტრაციაში გასატარებლად და მან უარი უთხრა განმცხადებლებს ქორწინების რეგისტრაციაში გატარებაზე იმ მოტივით, რომ მამაკაცი უფროსია ქალზე 26 წლით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროს, რომ უკეთუ არ არსებობს სხვა დამაბრკოლებელი გარემოებანი ქორწინების

რეგისტრაციისათვის, მექორწინე მხარეთა ასაკობრივი სხვაობა ვერ შეაფერხებს ქორწინების აქტის ჩაწერას.

**7. საქორწინო ასაკს მიღწეულ პირთა ქორწინების რეგისტრაციისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს მექორწინე პირთა შვილების ანდა მშობლების წინააღმდეგობა ქორწინების რეგისტრაციაზე**

1. მმაჩის ბიურომ უარი უთხრა და ქორწინების რეგისტრაციაში არ ატარებდა მოქალაქე ტ-სა და ლ-ს იმ მოტივით, რომ ქალის მამა წინააღმდეგი იყო მისი შვილი გაჰყოლოდა ცოლად მოქალაქე ტ-ს. ახალგაზრდებს კი უყვარდათ ერთმანეთი და ერთად მუშაობდნენ.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას განცხადებით მიმართა მოქალაქე კ-მ, რათა მმაჩის ბიუროს ქორწინების რეგისტრაციაში არ გაეტარებინა მისი მამა — მოქალაქე კ-ლი მოქალაქე ი-სთან და თავისი თხოვნის მოტივად მოჰყავდა სხვადასხვა სუბიექტური მიზეზები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროებს და მოქალაქე კ-ს, რომ საქორწინო ასაკს მიღწეულ პირთა ქორწინების რეგისტრაციისათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს მათი შვილების ან მშობლების (მესამე პირთა) წინააღმდეგობა ქორწინების აქტის რეგისტრაციაზე და თუ სხვა დამაბრკოლებელი პირობები არ არსებობს ქორწინების რეგისტრაციისათვის, მმაჩის ბიურომ უნდა მოახდინოს ქორწინების აქტის ჩაწერა.

**8. თუ მოქალაქე წერილობითი განცხადებითა და სათანადო სასამართლოს გადაწყვეტილებით მიმართავს მმაჩის ბიუროს განქორწინების აქტის ჩაწერისათვის, უნდა მოხდეს განქორწინების რეგისტრაცია, მიუხედავად იმისა, მეორე მხარის მიმართ ჩაწერილია თუ არა ეს აქტი და გადახდილი აქვს თუ არა მას სახელმწიფო ბაჟი**

მოქალაქე თ-მა განცხადებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით განქორწინების შესახებ მიმართა მმაჩის ბიუროს ქორწინების შეწყვეტის აქტის რეგისტრაციისათვის, მაგრამ მმაჩის ბიურომ უარი უთხრა მას აღნიშნული აქტის ჩაწერაზე იმ მოტივით, რომ გადაწყვეტილების თანახმად მეორე მხარე — მოქალაქე გ-ს გადასახდელი აქვს სახელმწიფო ბაჟი 50 მანეთი და ვიდრე ის არ გადაიხდის ბაჟს და არ განაცხადებს განქორწინების აქტის ჩაწერას, მანამდე არ მოახდენს არც მოქალაქე თ-ს მიმართ განქორწინების აქტის ჩაწერას და არ მისცემს მას განქორწინების მოწმობას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც განქორწინების მსურველმა ერთმა მეუღლემ გადაიხადა სასამართლოს მიერ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟი ან განთავისუფლებულ იქნა ბაჟის გადახდისაგან, განქორწინების რეგისტრაცია ხდება იმის მიუხედავად, მეორე მეუღლემ სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა თუ არა.

განქორწინების მოწმობა ეძლევა მხოლოდ იმ პირს, რომელმაც გადაიხადა კუთვნილი ბაჟი ან სრულიად იქნა განთავისუფლებული სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

# სასამართლო პრაქტიკა

## სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. სასამართლომ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენისას უნდა გამოარკვიოს, ხომ არ ილაზება ამ ფაქტის დადგენით მესამე პირის ინტერესები და დაინტერესებული მხარე საქმეზე ჩააბას მესამე პირად

სამგორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1961 წლის 8 თებერვალს გ. ზ. სამკუაშვილს დაუდასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი იმის შესახებ, რომ აწ გარდაცვლილა თ. დ. ნაცვლიშვილი 1908 წლიდან იზრდებოდა მოსარჩელე გ. სამკუაშვილთან და რომ იგი ითვლებოდა თ. ნაცვლიშვილის მამობილად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებული იქნა და სამკუაშვილს ძიებაზე უარი ეთქვა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 26 მარტის დადგენილებით გაუქმდა უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 10 ოქტომბრის განჩინება და ძალაში დატოვებული იქნა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 26 მარტის დადგენილება არ არის სწორი შემდეგ გარემოებათა გამო:

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1954 წლის 7 მაისის № 3 დადგენილების საფუძველზე იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის დროს, სახალხო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს რისთვის სჭირდება მოქალაქეს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა, ხომ არ ილაზება მესამე პირის ინტერესები ამ ფაქტის დადგენით. თუ ასეთი გამოირკვევა, მაშინ სასამართლომ დაინტერესებული მხარე უნდა ჩააბას მესამე პირად. სახალხო სასამართლომ დაარღვია პლენუმის აღნიშნული მითითება. სასამართლომ არ გამოარკვია რისთვის სჭირდებოდა მოქ. გ. სამკუაშვილს ამ იურიდიული ფაქტის დადგენა.

როგორც თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ზედწესით საჩივრიდან გამოირკვა გ. სამკუაშვილს ჰქონია ნახევარი სახლი საკუთრებაში და სურდა გარდაცვალებული თ. ნაცვლიშვილის ნახევარ სახლზე მემკვიდრეობის მიღება. სახალხო სასამართლო ვალდებული იყო ასეთ პირობებში საქმეზე მესამე პირად ჩაემა ქალაქის საბჭო. სასამართლომ ზერეულედ განიხილა საქმე და ყოველგვარი იურიდიული მტკიცებების გარეშე დაადასტურა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი. სასამართლომ არ მიაქცია ყურადღება, რომ თ. ნაცვლიშვილი დაბადებულია 1908 წელს. მას სრულწლოვანებამდე ჰყავდა დედა მარია ნაცვლიშვილი, რომელიც გარდაიცვალა 1937 წელს.

სასამართლოს სხდომაზე მოწმეებად დაკითხული იქნენ პირები, რომლებიც დაბადებული არიან 1908 წელს, ე. ი. იმ წელს რომელ წელსაც მომხდარი იურიდიული ფაქტიც დაადასტურა სასამართლომ. თვით სამკუაშვილი დაბადებულია 1891 წელს, 1908 წელს ის იყო 16-17 წლის და არ შეეძლო სხვისი შვილად აყვანა.

ამ საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გააუქმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 26 მარტის დადგენილება მოცემულ საქმეზე და ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის ოქტომბრის განჩინება.

2. ბინიდან ფართობის გამოყოფის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, თუ რამდენი სული ცხოვრობდა ბინაში დავის წარმოშობის მომენტში

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ვ. მაისურაძეს სარჩელზე ნ. ი. და ვ. ი. მაისურაძეებთან ბინის ფართობის გამოყოფაზე უარი ეთქვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 1 მარტის განჩინებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დაჩაძალაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 10 აპრილის დადგენილებით უარყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის აროტესტი.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ნინა მაისურაძე იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში მოპასუხე ნიკოლოზ მაისურაძესთან 1953 წლიდან და ცხოვრობდნენ ქ. თბილისში ორჯონიკიძის ქ. № 85, მაგრამ ქუჩის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით ბინა დაინგრა და მხარეებმა მოპასუხის დედასთან ერთად ე. ი. სამ სულზე მიიღეს ბინა სამი ოთახისაგან შემდგარი 43 კვ. მეტრით — ღერეფნით, სამზარეულოთი და სარდაფით კოლექტივიზაციის ქ. № 9-ში.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსარჩელესა და მოპასუხე ვარვარა მაისურაძეს შორის (რძალ-დედამთილი) შეიქმნა უკმაყოფილება, რის გამოც ნინო მაისურაძემ აღძრა სარჩელი სასამართლოში და მოითხოვა ბინის ფართობის გამოყოფა. მაგრამ მოპასუხე ნიკოლოზ მაისურაძე შეპირდა ცოლს, რომ უშოვიდა საცხოვრებლად ვარვარის ბინას და თვითონაც იცხოვრებდა მასთან.

ასეთი დაპირებით მოსარჩელე შეიყვანეს შეცდომაში და დაუჭირეს წითელ ქუჩაზე № 16-ში საცხოვრებლად უვარვარის ერთი ოთახი 8 კვ. მეტრი, რაშიც სახლის პატრონს ორთავე მხარემ გადაუხადა 10.000 მანეთი.

როდესაც მოსარჩელე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოტყუებულ იქნა, ხელშეორედ დააყენა საკითხი საღო ბინიდან ერთი ოთახის გამოყოფის შესახებ.

რომ მოსარჩელე ნინო მაისურაძეს საღო ფართობზე მოპოვებული აქვს უფლება, ეს საკითხი გადაწყვეტილია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1959 წლის 18 მაისის დადგენილებით.

ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ საღო ბინის სამი ოთახიდან შეიძლება გამოყოფილი იქნას 16 კვ. მეტრის ოთახი, ხოლო დანარჩენი ორი ოთახი 12-12 კვ. მეტრის რჩებათ მოპასუხეებს და მითითება იმაზე თითქოს 16 კვ. მეტრი ოთახის გამოყოფით ილახება მოპასუხის ინტერესები უსაფუძვლოა, რადგან მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის, რომ დავის წარმოშობის მომენტში რამდენი სული ცხოვრობდა ბინაში და არა ის, თუ 4-5 წლის შემდეგ რამდენი ცხოვრობს.

საქმის 45-ე ფურცელზე არის ორდერი გაცემული საბინაო სამმართველოს მიერ 3 სულზე ე. ი. მოსარჩელე და მოპასუხეებზე, რასაც მოპასუხეებიც ადასტურებენ.

10.000 მანეთის შესახებ დადებული ხელწერილი კაბალურია და ფიქტიური, რადგან ის შედგენილია მოსარჩელის მოტყუებით, რაც იმითაც დასტურდება, რომ მოსარჩელესთან ერთად მოპასუხეებმაც იცხოვრა 8 კვ. მეტრის საცხოვრებელ უვარვარის ოთახში ორი ფვის განმავლობაში, რის შემდეგ მიატოვა იგი და გადავიდა სამუშაოდ ახალციხეში.

ამით მოპასუხე მიზნად ისახავდა დაეკარგინებინა მოსარჩელისათვის უფლება იმ ბინაზე, სადაც ცხოვრობდნენ წლების განმავლობაში.

ამის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სასამართლო ორგანოთა ყველა გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება გააუქმა ამ საქმეზე და ძალაში დატოვა თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელე ნ. ვ. მაისურაძეს გამოეყო 16,8 კვ. მეტრის საცხოვრებელი ფართობი.

### 8. სასამართლო უფლებამოსილი არ არის კანონიერად მიიჩნიოს თვითნებური მშენებლობა

ქ. ლ. ცომაიამ სარჩელი აღძრა სახალხო სასამართლოში, რომელშიც მიუთითა, რომ ცხოვრობს ბარნოვის ქ. № 8-ში, მოპასუხეებთან ნ. ვ. კანდელაკსა და ფ. ნ. ბუზარაშვილთან ერთად აქვს საერთო სარგებლობის სადარბაზო შესასვლელი, მოპასუხეებმა თვითნებურად მოაწყვეს ტიხარი, სამზარეულო, დაკეტეს საერთო სადარბაზო შესასვლელი და სადარბაზო შესასვლელით სარგებლობის უფლება წაართვეს მოსარჩელეს. სარჩელით მოითხოვა თვითნებურად მოწყობილი ტიხარის აღება და სადარბაზო შესასვლელით სარგებლობის უფლების აღდგენა. 1961 წლის 9 თებერვლის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ იქნა დაკმაყოფილებული. სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 17 მარტის განჩინებით და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წ. 5 თებერვლის დადგენილებით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოდავეებს აქვთ ერთი სადარბაზო შესასვლელი, რომლითაც უნდა ისარგებლონ სამივემ, აღნიშნულზე არსებობს ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება. 1951 წლის 7 აპრილს გამოტანილი, რომლითაც დადგენილია, რომ კანდელაკი არ აძლევდა სადარბაზო შესასვლელი სარგებლობის უფლებას იმ მოქალაქეს, რომელიც ცომია-მდე ცხოვრობდა იმ ბინაში, სადაც ამჟამად ცომია ცხოვრობს, მაგრამ სასამართლომ კანდელაკის თვითნებობა აღკვეთა. კანდელაკი იჯავე თვითნებობას ამჟამად ცომიას მიმართ იჩენს.

ალმასკომის და სახანძრო ინსპექციის მომართვიდან ჩანს, რომ კანდელაკმა და ბუზარაშვილმა ტიხარი დააყენეს თვითნებურად, უნებართვოდ. სასამართლოს უფლება არ ჰქონია თვითნებური მშენებლობა დაეკანონებინა, არამედ, პირიქით, უნდა აღკვეთა ეს უკანონო და მანაშავე პირის პასუხისმგებლობაში მიეცემო.

ამ საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება მოცემულ საქმეზე გააუქმა და საქმე ხელახლა განსახილველად გადასცა სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

## სისხლის სამართლის საქმეებზე

### 1. დამდგარი მძიმე შედეგი უშუალო მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან

ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 14 თებერვლის განაჩენით ა. ხაჩატურიანი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ-151 მუხლის მეორე ნაწილით, აგრეთვე 202 მუხლით (1928 წლის რედაქციით) და მიესაჯა პირველი მუხლით 10 წლით, ხოლო მეორით 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 7 მარტის განჩინებით.

განაჩენით ა. ხაჩატურიანი ცნობილია დამნაშავედ მასში, რომ 1960 წლის 17 ივნისს მის ამხანაგ ე. სარქისიანს ჩხუბის დროს მარცხენა მხარში ჩაართყა დანა, რომელსაც ის ატარებდა უნებართვოდ, რითაც მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

როგორც განაჩენი აღსტურებს ე. სარქისიანი მიყენებული დაზიანების შედეგად 1960 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა საავადმყოფოში.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილემ პროტესტით მიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს აღნიშნული განაჩენისა და განჩინების უსწრობაზე, შემდეგი საფუძვლებისა გამო:

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ ე. სარქისიანი დაჭრის შემდეგ მოათავსეს რა ქალაქის პირველ საავადმყოფოში, გაეწერა ის 27 ივნისს ამბულატორიული მკურნალობის დანიშვნით.

იმის გამო, რომ ე. სარქისიანს გაურთულდა ავადმყოფობა, ამა წლის 2 ივლისს მოათავსეს რკინიგზის საავადმყოფოში, სადაც ოპერაციის შემდეგ 1960 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით სიკვდილი დადგა არა მიყენებული ჭრილობის შედეგად, რადგან ჭრილობა თავისთავად არ იყო სასიკვდილო, არამედ ის გარდაიცვალა ოპერაციის შემდეგ გულისა და სასუნთქი ორგანოების ავადმყოფობის გამო.

იმის გამო, რომ დაზარალბულის ახლო ნათესავეებმა არ მისცეს საშუალება მოეხდინათ გვამის გაკვეთა, სიკვდილის დადგომის მიზეზები სრულად ვერ იქნა დადგენილი; მაგრამ ექსპერტები მაინც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ე. სარქისიანს მიყენებული ჰქონდა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

ასეთ პირობებში არ იქნა დადგენილი, რომ დამდგარი მძიმე შედეგი იყო უშუალო კავშირში ჩადენილ დანაშაულთან. პრეზიდიუმმა თავის 1962 წლის 6 აპრილის დადგენილებით გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა და ა. ხაჩატურიანის მოქმედება სსკ 151 მუხლის მეორე ნაწილიდან გადააკვალიფიცირა იმავე მუხლის 1-ლ ნაწილზე და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შკა-ში მოხდით.

## 2. დისპეტჩერის მიერ ტრანსპორტზე მოქმედი წესების დარღვევების აღკვეთა და აღკვეთის ღონისძიებების აღკვეთა

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1961 წლის 20 ივლისის განაჩენით ზ. ნაზაროვა ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 186 მუხლის მეორე ნაწილით და მისჯა ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენით ზ. ნაზაროვას მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მუშაობდა რა ქ. რუსთავის ავტოტრანსპორტის დისპეტჩერად, დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, სამგზავრო ავტობუსის მძღოლი ე. ბიკიაშვილი ამუშავა ორ ცვლად. ამან განაპირობა ავტოგარია, რის შედეგადაც დადგა მძიმე შედეგი.

აღნიშნული განაჩენი ზ. ნაზაროვას მიმართ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 9 აგვისტოს განჩინებით დატოვებული იქნა ძალაში ცვლილებით, შემდეგი საფუძვლებისა გამო:

სასამართლოს მიერ ზ. ნაზაროვას დამნაშავედ ცნობა სსკ 186 მუხლის მეორე ნაწილით უსწორია, რადგან ის არ მიეკუთვნება ისეთ თანამდებობის პირს, რომელსაც ითვალისწინებს სსკ 186 მუხლი. მით უმეტეს სამსჯავრო გამოძიებით დადგენილი არ არის, რომ ზ. ნაზაროვას მოქმედებაში იყო სისტემატურობა ან ანგარება პირადი გამორჩენის მიზნით, რაზედაც დასაზღვებული მუხლის დისპოზიცია მიუთითებს.

ტრანსპორტის წესრიგის დარღვევობა, ან ტრანსპორტზე წესების დარღვევა, რამაც განაპირობა მძიმე შედეგი, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას შესაბამისად 242 მუხლისა.

ზემოაღნიშნულისა გამო ზ. ნაზაროვას დანაშაულებრივი მოქმედება სსკ 186 მუხლის მე-2 ნაწილიდან გადაკვალიდირებული იქნა სსკ 242 მუხლით და სასჯელის ზომად განესაზღვრა ერთი წლით შრომა-გამასწორებელი მუშაობა.

### 3. განაჩენი რევიზიის განსაზღვრის ნაწილში ვერ დარჩება ძალაში უკეთუ დაცული არ არის საქართველოს სსრ სსკ საპატიმრო ადგილებისა და შრომა-გასწორების კოლონიების დებულების მოთხოვნა

ყვარელის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 20 მარტის განაჩენით ქ. ა. ჯანიაშვილი, დაბადებული 1937 წელს, ქართველი, ადრე სამართალში ყოფილი, ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსრ სსკ 241 მუხლის მესამე ნაწილით და მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, სასჯელის გაძლიერებული რევიზიის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სსრ სსრ სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 24 აპრილის განჩინებით სახალხო სასამართლოს განაჩენი მოცემულ საქმეზე დატოვებულია ძალაში უცვლელად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 13 აგვისტოს დადგენილებით სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება მოცემულ საქმეზე დატოვებულია ძალაში იმ შესწორებით, რომ ქ. ა. ჯანიაშვილს სასჯელის მოხდა, შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილების მეორე მუხლის „ა“ პუნქტისა განესაზღვრა საერთო რევიზიის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

სახალხო სასამართლოს განაჩენი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ა. ჯანიაშვილის მიმართ უნდა გაუქმდეს შეფარდებული სასჯელის მოხდისათვის დაწესებული რევიზიის სახის განსაზღვრის ნაწილში და ამ მიმართებათ ხელახალი განხილვისათვის საქმე გავგზავნოს იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქ. ა. ჯანიაშვილი წარსულში, 1957 წელს, მსჯავრდებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულების — „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ პირველი ნაწილით, 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების პირველი მუხლის პირველი ნაწილით და ერთობლივად სასჯელის ზომით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვე-

თა 10 წლით, რაც სსკ 48 მუხლის შესაბამისად გაუნახევრდა და მოსახდელად დაეტოვა თავისი სუფობის აღკვეთა ხუთი წლის ვადით. სასჯელი მოიხდა და პატიმრობიდან განთავისუფლდა 1960 წელს. ამჟამადაც ჩადენილი დანაშაულისათვის ჯ. ა. ჯანიაშვილს სასჯელის ღონისძიებად შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა. ასეთი მონაცემების არსებობის შემთხვევაში ჯ. ა. ჯანიაშვილს სასჯელის მოხდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1961 წლის 19 ივნისის № 4 დადგენილების მეორე მუხლას „გ“ პუნქტის შესაბამისად უნდა განსაზღვროდა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით და არა საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოთავსებით.

ამის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ყვარელის რაიონის სახალხო სასამართლოს 1962 წლის 20 მარტის განაჩენი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1962 წლის 24 აპრილის განჩინება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1962 წლის 13 აგვისტოს დადგენილება ჯ. ა. ჯანიაშვილის მიმართ შეფარდებული სასჯელის მოხდისათვის დაწესებული რეჟიმის სახის განსაზღვრის ნაწილში გააუქმა და ამ ნაწილში ხელახალი განხილვისათვის საქმე გავგზავნა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

არასრულწლოვანის ან შრომისუნარო შვილების (მათ შორის შვილად აყვანილების), აგრეთვე მონადერძის შრომისუნარო მეუღლის, მშობლების, შვილად ამყვანებისა და კმაყოფაზე მყოფ მემკვიდრეების გვერდის ავლით დატოვებული ანდერძი ბათილია სულ ცოტა ორ მესამედ ნაწილში იმ წილიდან, რომელიც ეკუთვნოდა თვითულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს

ქ. თბილისის 1-ლ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში 1962 წლის აპრილის რეესტრის № 3-704-ით გაფორმებულია ანდერძი მარიამ ტიმოთეს ასულ თეთრადის სახელით, რომლითაც მონადერძე მისი სიკვდილის შემთხვევაში თავის კუთვნილ ქონებას უანდერძებს ანა მელიქის ასულ მიკიჩიას.

გამოირკვა, რომ მონადერძეს ჰყავს შრომისუნაროკლებული და, რომელმაც მონადერძის გარდაცვალებიდან დაწესებულ ექვსი თვის ვადაში სანოტარო კანტორას აცნობა, რომ იგი ღებულბს მემკვიდრეობას მისი გარდაცვალებული დის დანაშთ ქონებაზე და პარალელურად დააყენა საკითხი გაუქმებულიყო ქ. თბილისის პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში 1962 წლის 6 აპრილს გაფორმებული ანდერძი.

ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა საქმე და თავისი გადაწყვეტილებით გააუქმა ზემოხსენებული ანდერძი იმ მოტივით, რომ კმაყოფაზე მყოფი შრომისუნაროკლებული მემკვიდრის გვერდის ავლით დატოვებული ანდერძი ბათილია სულ ცოტა ორ მესამედ ნაწილში, იმ წილიდან, რომელიც ეკუთვნოდა მემკვიდრეს კანონით მემკვიდრეობის დროს. გადაწყვეტილება დატოვებულია ძალაში საკასაციო ინსტანციის მიერაც. ქ. თბილისის მე-5 სახელმწიფო სანოტარო კანტორაში, 1963 წლის 4 მაისს გაფორმებულია ანდერძი ევდოკია პახვალის ასულ ჭითანავას სახელით, რომელიც კუთვნილ ქონებას უანდერძებს ვინმე ჯიბო ალექსანდრეს ძე მასხარაშვილს, იმ დროს როდესაც მონადერძეს ანდერძის დამოწმების მომენტში ჰყავს შრომისუნაროკლებული და, ქრისტიანა პახვალის ასული ჭითანავა. ანდერძი ბათილად იქნა ცნობილი.

ნაპირობა

ნაპირობა

საქართველოს სსრ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თათბირი.

ს. ჯაფარიძე — არასრომითი შემოსავლით შექენილი ქონების ჩამორთმევის წესის საკითხისათვის.

თ. შავგულიძე — აფექტში ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის ზოგიერთი საკითხი.

ი. სურგულაძე — გამოჩენილი ქართველი იურისტი ირ. სურგულაძე.

უ. ბახტაძე — ლ. ანდრონიკაშვილის საიურისკონსულტო მოღვაწეობის პერიოდიდან.

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველთა კონფერენციაზე.

## ილია გრიგოლის ძე პავლიაშვილი

გარდაიცვალა სასამართლო-პროკურატურის ორგანოების უძველესი მუშაკი, პერსონალური პენსიონერი ილია გრიგოლის ძე პავლიაშვილი. იგი დაიბადა 1885 წელს თბილისში. 1912 წელს დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე მუშაობას იწყებს აზერბაიჯანის შინაგან საქმეთა სამინისტროში, ხოლო შემდეგ სამუშაოდ გადმოდის საქართველოში. პირველ ხანებში იგზავნება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატში, შემდეგ კი უზენაეს რეგტრიბუნალში.

1923—1927 წლებში ი. პავლიაშვილი მუშაობს აღმოსავლეთ საქართველოს საოლქო სასამართ-

ლოსა და პროკურატურაში, ხოლო 1927 წლიდან 1952 წლამდე რესპუბლიკის პროკურატურისა და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში. იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი. 1952 წლიდან სამუშაოდ გადადის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპარატში. 1959 წლიდან პერსონალური პენსიონერია.

ი. პავლიაშვილი პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა. დაჯილდოებული იყო მედლით.

მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების წრეში.

ამხანაგების ჯგუფი.

## მირიან იოსების ძე ფურცელაძე

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე მირიან იოსების ძე ფურცელაძე.

მირიან ფურცელაძე დაიბადა 1921 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინში, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1939 წელს გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიის რიგებში. სამამულო ომის წლებში მ. ფურცელაძე მამაცურად იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე. დემობლიზაციის შემდეგ მუშაობდა გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინში საშუალო სკოლის მასწავლებლად.

1950 წელს მირიან ფურცელაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და დაინიშნა ქ. თბილისის გარეუბნის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებლად. მალე გადაყვანილ იქნა კაჭრეთის რაიონის პროკურორად. ამ რაიონის გამსხვილე-

ბის შემდეგ კი გურჯაანის რაიონის პროკურორის თანაშემწედ. 1957 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მ. ფურცელაძე მუშაობდა გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარედ.

მ. ფურცელაძე იყო თავისი საქმის კარგი მკვლევარი, ენერგიული, თავმდაბალი და გულისხმი მუშაკი. კეთილხინდისიერად ემსახურებოდა მართლმსაჯულების განმტკიცების საქმეს. აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რამდენჯერმე არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიონის წევრად და რაიონული საბჭოს დეპუტატად.

მ. ფურცელაძე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1947 წლიდან.

მ. ფურცელაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

3360 50 333.

ИНДЕКС 76185



## СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР